

აპა

მორჩილადე

მობზაურობა ყარაბაღში



საქართველოს

მოგზაურობა ყარაბაღში

წინასიტყვაობა

ეს წიგნი თორმეტი წლის წინ დაწერილი და საერთოდ პირველი წიგნია, რომ დაწერა და დაემატა. პირველად და უკანასკნელად ის თერთმეტი წლის წინათ გამოიცა, თვითგამოცემით და მეტად სახალისო ამბების თანხლებით, თუ შეიძლება, რომ იმ დროის ამბებში, მაშინ სახალისო რამე გეპოვნა. იმდენი დაიბეჭდა, რომ კიდევ ერთი წლის მერე, მთელ შეკვრებს პირდაპირ ვყრიდით თანხრიდან ნაგვის მანქანაზე: იმიტომ, რომ არ ვიცოდით, ამდენი სად უნდა წაგვეღო.

სიმართლე რომ ვთქვა, იმის შემდეგ არც კი გადამიფურცლავს. მხოლოდ ახლა წავიკითხე გვერდნახევარი და მერე აღარ გამოგრძელებია. საერთოდ, საკუთარი ნაწერების კითხვა მიჭირს. წიგნში აღწერილი ამბები ასე თუ ისე მახსოვს, ვინაიდან, რამდენიმე სურათი (და არა მთავარი ამბავი) ნამდვილ ისტორიებზეა აგებული, ისინი კი არ დამეინყნია.

წიგნში ბევრი ცუდი სიტყვაა, ესეც კარგად მახსოვს. ეს ცუდი სიტყვებიც არსად წასულა. წიგნში ბევრი აგრესია და ცუდი ამბავია. არც ესენი გამეჩრალან.

წიგნის გმირი გაუთავებლად აგინებს ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს, ასევე რუსებსაც და საერთოდ ყველას, ვინც კი გადაეყრება. სამწუხაროდ, ის სრულიად უეცი ვინმეა. ამ წიგნს რომ ვწერდი, თავადაც არ ვიყავი დიდად გამოცდილი მოქალაქე. თუმცა, იმდენს კი ვხვდებოდი, რომ აგრესია სიცარიელისგან, უეცობისგან და ამპარტავნობისგან მოდის. მაშინ დიდად არ ვფიქრობდი ამბზე, მაგრამ ადამიანი, რომელმაც არ იცის, იგინება და ილანძვება. მერე რალაცეებში გარკვევას ცდილობს და მისი უბედურებაც აქედან იწყება. თუ, რა თქმა უნდა, პატიოსანი კაცია.

ამ ამბავს რომ ვწერდი, საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო. იქ ხმამაღლა ისე ამბობდნენ, რომ ყველანი ძმები ვიყავით, სინამდვილეში კი ყველას ერთმანეთი სძულდა. ეგებ ცოტათი უყვარდა კიდევ, მაგრამ მთავარი სიტყვული და უნდობლობა იყო. ქვეყნები და ადამიანები ერთმანეთს არ იცნობდნენ და მხოლოდ რალაც წესებით ურთიერთობდნენ. ეს

წესები სულ ცუდი იყო. მერე ადამიანები და ქვეყნები ერთმანეთს დაერივნენ, იმიტომ, რომ გაირკვა: ერთმანეთის არათფერი იცოდნენ და ამიტომ სძულდათ. ერთმანეთის სწავლა კი გაჭირდა. როგორია, როცა არათფერი ვისწავლია და არავის ენდობი?

წიგნის გმირი გაუთავებლად ლანძღავს თავის მამას და მისი კაცის ხალხს. ამ ბიჭმა არათფერი იცოდა, მაგრამ ცხოვრებაში ერთი ამბავი გადახდა და ეს ისტორია წააგო სწორედ რომ თავის მამასთან. ეს გმირი თითქოს მიხვედრილია, რომ თავისუფალი კაცი უნდა იყოს, მაგრამ არ იცის, ეს საქმე როგორ ხერხდება. ჰგონია, რომ ისევე ჩვენებურად, კავკასიურად, ცუვით და აზრდაკარგული სიჩაუქით უნდა მოახერხოს ცუვობიდან თავის დახსნა. ამ დროს კი ცუვე არ არის, არც პარტიზანებისა და არც საკუთარი ქალაქისა, რომელმაც თავისი ადათებით და სიცრუით დატანჯა. უბრალოდ, მან არ იცის, რომ სამყარო ძალიან დიდია და გამოუმძვიდობებლად შეგიძლია ნახვიდე სადმე, არა მხოლოდ ფეხით, არამედ ფიქრითაც.

ამიტომ, ისევე აგრესიის ამბავია, რომელიც საბოლოოდ მოუთავებს ხელს. ასე მგონია, რომ მოუთავებს, თქვენ კი, როგორც გგონიათ, ისე იყოს.

ჩემი მოკლე ჭკუით, სადაც ქრისტიანობაა, იქ თაობები და მამათა და შვილთა ბრძოლები არ არის. როგორც მახსოვს, წიგნში ერთი ქუჩის ბიჭი მანქანიდან გადასვამს მღვდელს, რომელიც ეცუვის, ჯაბი მწვალელების მუსიკააო. არც ეს ამბავი წასულა სადმე, უფრო ხმამაღლა გრძელდება. ამ წიგნში, პარტიზანების სოფელში მცხოვრები ლოთი მხატვარი ძველ გადაჭრილ თოფს აძლევს მთავარ გმირს, რომელიც იმ ადგილიდან გაქცევას გადაწყვეტს, სადაც შემთხვევით მოხვდება და სადაც თავი ცუვედ მიაჩნია. საჭკვოა, რომ ცხოვრებაში ასე მოხდეს, მაგრამ იმ მხატვრისთვისაც, სამყარო ძალიან პატარა და შეკუმშულია და მანაც არ იცის, რომ შეიძლება არსებობდეს რაიმე სხვა გზა, ცუვით გზის გაკვალვის გარდა. საერთოდ კი, ახლა რომ ვისხენებ, ამ წიგნში ბევრი გულუბრყვილო ადგილია. მაგრამ გულწრფელი ადგილებიც არის.

აგრესიის გარეშე კი არ იქნებოდა: თბილისისა და აფხაზეთის ომებს შორისაა დაწერილი, ანუ ცხინვალის ომის ბოლო ხანებში. აქ ბათუმში ძალით გათხოვილი გოგოც კი, არა მხოლოდ უბედურია, არამედ აგრესიულიც. როცა აგრესიაა, ყველაფერი იღლაბნება და ყველაფერს ერთ ფერში ხედავ. ამ დროს კი, ყველაფერი ერთნაირი არ არის. როგორც ერთ ძველ ფილმში იცუვიან, არჩევა ყოველთვის შეგიძლია. ეგ არის, რომ ვერ ხედავ და მერე სხვაზე ბრაზობ. მგონი, ეს წიგნიც ამბავია.

როგორც მახსოვს, უფრო ზღაპრის, ხალისიანი, ორი ვაკელ-ვერელი ბიჭის თავგადასავლის დაწერა მინდოდა, ოღონდაც სრულიად გამოუცდელი ვიყავი წიგნების წერაში და ტონი ვერ შევარჩიე. ანუ ერთი-ორი გვერდი რომ დაწერე, იმდენი აგრესია

გაღმთვრევა, რომ ამბების რბილად მოთხრობა შეუძლებელი შეიქნა. შეიქნა და მიყვევი, ამბზე აღარ მიდარდია. მგონი, ხდება ხოლმე ასეთი რაღაცეები.

ახლა კავკასიაში ყველა ომი შეწყვეტილია და წაგების, გაქცევის, გარიდების, სისულელესა და სიმყარაღეში გრილის ისტორია შეიძლება სულ სხვანაირად დაინეროს. ბიჭებმაც მეტი შეიგყვეს სამყაროსა და თავისუფლების შესახებ, ცხადია, გოგობმაც და მამებმაც, რომლებიც უკვე ბაბუები არიან, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ მამები იყვნენ. ამ დროს კი, მე ასე მიჩვენება, რომ ბაბუები მამებზე მაგარი ბიჭები იყვნენ, ჩვენს ქვეყანაში და ბოლო დროს, რა თქმა უნდა. მამებმა ძალიან შემოღობეს და რაღაც წესებიც მოიგონეს. ეს წესები მათთვის ალბათ კარგი იყო, მაგრამ უმცროსებს აღარ გამოადგათ და ნამუსიან თუ უნამუსო, თოფიან თუ უთოფო ბრძოლებში მათი სამყაროები სულ მთლად დაპატარავდა. სიმართლე რომ ითქვას, ზუსტად არ ვიცი, რატომ გამოდის ხელახლა ეს წიგნი. ის რაც იქ არის, მე დიდი ხანია დავამთავრე და ისიც არ ვიცი ხეირიანად, რატომ ვწერ ამ წინასწარმზადებას. ალბათ იმიტომ, რომ წიგნი თორმეტი წლის არის და გამომცემლის თხოვნის მიუხედავად, გადახედო, გული ვერაფრით დაუდევ. მის გადახედვას, ისევ ორიოდ გვერდის დაწერა მირჩევნია.

მაინც მგონია, რომ ქალაქელი ბიძის შვილისა და მეძავი გოგოს სიყვარულის გრივალური ისტორიით, სამხედრო ნაწილიდან დაუკრებელი, სათავგადასავლო წიგნების წესით მომხდარი გაქცევის ამბით, ომით არეული ქალაქის ცხოვრების სურათებით და სამი-ოთხი სხვა ცნობილი ილეთით შედგენილი ეს წიგნი, მაინც გამოვიდა ამბავი რაღაცაზე — ალბათ, ხელფეხშებორკილ, უბედურ და პატიოსან ბიჭზე, რომელმაც ბევრი არაფერი იცოდა ქვეყანაზე, თუმცა ხვდებოდა, რა არის ცუდი და ძალიან უჭირდა.

იმას კი ნამდვილად ვერ მოგატყუებთ, რომ ყოველივე ამბზე ვფიქრობდი მაშინ, როცა ამ წიგნს ვწერდი. წერისას იმას მიუხვდი, რომ საიდანღაც უკიდევანო აგრესია მოდიოდა. არც მიცდია რომ მოვრეოდი, ვერც მოვერეოდი.

აგრესია კი ურდულებმა და კლიტეებმა, ბოქლომებმა და საკეტებმა, მაღალმა გალაუნებმა და აჭედელმა კარ-ფანჯარებმა, ბანდუკებმა და სკივრებმა, ასევე, ბნელმა დერეფნებმა და სარდაფებმა იცის.

მეტი არაფერი.

აკა მორჩილაძე

2004 წ. 30 მარტი

თავი პირველი

თებერვლის ბოლოს დაიწყო ყველაფერი.

აქ ომი იყო თუ რაღაც, რაც ჰქვია — აი, ის რომ გაიქცა და მერე რომ... მოკლედ, ეგ ამბები საერთოდ არ მიზიდავდა აქამდე, ახლა — მით უმეტეს. თებერვლის ბოლო იყო და გოგლიკო შემომიხნდა, წავიდეთ, წავიდეთ, აჩიკო ყიფიანის ფული წავიღოთ, წავიდეთო... მებარებოდა. თან, ამ ზამთარში, გადადი-გადმოდი. თან, რაგომ უნდა წავსულიყავი. ბენზინიც არ იყო. მაინც არ მომეშვა, კარგი ფეხი გაქვს, წავიდეთ, ჩამოვიტანო და შემოდგომამდე უფასო კაიფში ვიქნებითო.

არ მინდოდა. აღარ მინდა ხოლმე კარგა ხანია. წელიწადში ოთხჯერ-ხუთჯერ თუ მომენატრება. სად მიმართევ, ბავშვი ხომ აღარა ვარ. წადი და ჩამოიტანე, მერე ყველგან იბაზრე, წამალი და მოსაწევი ავიღე განჯაში, ავიღე განჯაში, განჯაში და ა.შ. წამიყვანე, წამიყვანე, — დაიჩემა. თან, საერთოდ, მეტყველებას იჭედება. ჯანდაბას გოგლიკოს თავი. წავიდა და საღამოს ყიფიანი მოიყვანა. დიღია ეგეთი, ბიზონივით. ორი მარცო შარფი აქვს ჩაფენილი, კრიალოსანს ათამაშებს.

— გიუშვი, — მეუბნება, — გამიგე, ძმურად, ნახევარი სათათრეთი გადაგდებული მყავს, ძაღლიან-ბარიგიანა. გოგლიკოს ძმა ხარ და ჩემი ძმაც ხარ. ორი დღე რა არი... კაცურად გავისტუმრებ ყველაფერს... ეგეთია, მკერავი.

ბენზინი-მეთქი. უკვე გადაწყვეტილი მქონდა წასვლა.

იქეთ არის ბენზინი, ჩაახხამთ, ოც ლიტრს კი ეხლავე მოგცემო. ეს მამაჩემის ნაჩუქარი „ძევიატკა“ ახახუნე ახლა ნითელ ხიდზე.

ყიფიანის ბენზინი მარნეულში ამინთებდა, ნახევარი ბალონი არ იყო. დავჯექი, წაველი მამაჩემთან.

აველი.

ნანაა სახლში და ირაკლი. ირაკლი შვარცენგერს უყურებს, არც ჩანს საფარძელში. მივედი, ვაკოცე. თვალები აქვს გაფართოებული, ხელში ავტომატი უჭირავს. რა თქმა უნდა, სათამაშო. ირაკლი ჩემი ძმაა, ხუთი წლის. ნანა მამაჩემის ცოლია. სანამ არ გავიზარდე, არ შეირთო. ისე, ბავშვობიდან მახსოვს, მოყავდა ხოლმე სახლში. მერე მე აქ დამტოვა, კავსაძებზე, თვითონ გადავიდა ნანასთან ერთად. მამაჩემი ორმოცდაცამეცისაა, ნანა — ოცდათხუთმეცის.

თითქმის გოგოა, რა. როგორც ღუდა ამბობს, მოაჭდა თენგიზას მილიონებს და მოსვა გიუშუკი „ძევიატკაზე“. ირაკლის მისი თვალეები აქვს, რბილი და ბინდიანი.

მამაჩემი მარად ახალგაზრდა თბილისელი ბიჭია. აი, რომ არიან, კიკას რომ ფულს ჩუქნიან ხოლმე. კლანია მთელი. „ამ ქალაქში ყველა ჩათლახი როგორ უნდა გავახაროთ,“ — აი, ეგეთი ტიპისა. მთელი დღე — საქმეებზე და ძმაკაცებში, ღამე — სახლში. ახლაც სადმეა წასული.

— სადაა?

— პიკეტზე, — ამოიოხრა ნანამ.

— რა პიკეტზე?

— აი, ღამით მანქანებს ამონშებენ. იარაღს ართმევენ.

სიცილი ამიგყდა.

— რა, მილიციაშია?

— არა, რაღაც შტაბია. ეგენი, მიქაბერიძეები, ჟილბერა რამიშვილი, საშა, ბუბა. მოკლედ, ყველა იქაა...

— და იცავენ წესრიგს...

— გაგიჟდა, ბიჭო, ატრიალებს ამ პისტოლეტებს... გაჭმევ, არ გინდა?

— არა, ბენზინი აქვს თუ იცი?

— ექნება, ქვემოთ. გასაღები აიღე და ნახე.

ეს კარგი. ახლა კი გავიჭედე.

— ნან, როდის მოვა?

— რა ვიცი. დილით. რა იყო?

— მივდივარ და რა ვიცი...

— სად?

— ერევანში. ორი დღით. ბიჭები და რა ვიცი... აქ ყოფნას...

ნანა ჩაფიქრდა.

— მოდი, გაჭმევ, რა? ის ხომ არ მიგყავს?

— არა.

— აბა, რა გინდა ერევანში?

— აბა, აქ რა მინდა?

— რა კარგია, რომ იმას დაანებე თავი. გადარეული იყო თენგიზი.

— ო, ო-ოოოოო.

— შენ ფული გინდა და მე არ გინდა, მთხოვო.

— ცოტა, — გამეცინა მე.

ნანა გავიდა და ჰოლიდან გამოძახა:

— რამდენი გინდა?

— ცოტა.

— ათასი, ორი?

— ერთი, ერთი ძეყოფა.

— ათას ოთხას რაღაცაა. სულ წაიღე.

ათასი ავიღე. ირაკლის ვაკოცე, ნანას თვალი ჩაუკარი და ქვემოთ ჩავედი. ბალონების გრძელი მწკრივი დამხვდა სარდატში. იმპერიალისტია, რა.

ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე — ნანა იყო.

— მე არ ვეცევი, რომ მიდიხარ. გაბრაზდება.

— კარგი.

— ტელეფონი გადადე. ვითომ იყავი და ვერ რეკავ, არ მუშაობს. ვეცევი, ვილაც სხვა გოგო ჰყავს და ჩაკეტილია-მეთქი. ჰო?

— ნანა, თენგიზს რომ ბეთქონ ახლა ცეცია, რა ვქნათ?

— სულელი ხარ, როგორი თქმა იცი ხოლმე...

— აბა, რა დროს მაგის რეველუციონერობაა?

— რა ვიცი, მეც ისე მეშინია. ამბობს, შარშან ამ დროს რომ დაგვერცყა, ახლა კარგად ვიქნებოდითო.

— ქალაქი ჩემი სახლია, და რამე... — გამეცინა მე.

სახლში მოვედი. ძლივს ავედი მაღლა, ისეთი სიბნელე იყო. ამ უშუქობამ საერთოდ მომიღო ბოლო. ერთი დეკორატიული სანთელი მაქვს, იაპონური, გარშემო რაღაც ტოტებით. იკებანა თუ რაღაც ჯანდაბა. მთელი ზამთარი მინთია და საშველი ვერ დაუაყენე. ეს ტოტებიც რაღაც იაპონურად დარტყმული რამეა, არც ცეცხლი ეკიდება, არც სუნი ასდის. მოკლედ, ავანთე ეს ჩემი სანთელი და მიფუტექი გვერდით. ამ ომის დანყებიდან, ლოგინში არ ვწოლილვარ. სავარძელში მძინავს. აქეთ სანთელი მიდგას, იქეთ — რადიო. მე არც რადიო მაინტერესებს, მაგრამ ყოველლამე მამაჩემი რეკავს:

— უსმინე? რა თქვეს... აჰა, აჰა, „სვაბოლამ“, აჰა. მეტი არაფერი? ჩვენზე თქვეს? ჰა...

პრესცენტრი ვარ, თენგიზ მიქაგაძის დაიჯესტ-ყმა.

მერე მეძინება ამ რადიოს სმენაში და სანთელი დილით ისევ ანთებული მხვდება, ისევ დაუმწვარი. მოკლედ, მაგიჟებენ, რა, ცალკე სანთელი, ცალკე ყვევრების დაგუდული ბარიტონები, ცალკე „პუტჩისტი“ მშობელი.

იმ საღამოს მთლად ჩაფიფერებულე სანთლის ყურებაში. თან ჩემი მთავარი საფიქრალი ჩამეხუტა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. არ ვიცი, ნანამ ამრია თუ ისეთი რამეები გამახსენდა, რომ გულში სულ გოგლიკოს გინება დავიწყე. როცა ვიბოლმები, გულში სულ გოგლიკოს ვაგინებ. ბნელია, რა, და ალბათ, იმიტომ. არ მახსოვს, რამე ნორმალურად ეთქვას ან გაეკეთებინოს.

მოკლედ, გუშინდელივით კი არა, და რაღაც სისულელეები, ისე ლამაზად მახსოვს ყველაფერი, ისე ტკბილად და გემრიელად, რომ ახლაც რაღაც მივლის გულ-მუცელში.

ოქტომბერი იყო, მაშინ არც მანქანა მყავდა და არც არათფერი. ნავედით ქალაქში მე, გოგლიკო, დუდა და ვატო ამირეჯიბი. ბორდელში კი არა, სადღაც ბაითში, ვარკეთილში თუ სადღაც, არეული სახლი, ქალებით დაძეძგილი და რამე. დუდამ თქვა, ჩემი კონტინგენცია და ყველა იძლევა, თუ დავეგვასებით, ისევ გაგვაძრობენო. ავიღეთ დასალევი, ნამცხვარი, სიგარეტი, ყველაფერი და ავედით. ისინიც ოთხნი იყვნენ, მოკლედ, შვეუბერეთ, ვსვით, ვჭამეთ. მერე ვატომ ერთი გაიყვანა, დუდამ — მეორე. დაფრჩით მე და გოგლიკო და ორნიც ისინი. ნააგლო გოგლიკომ ხელი ერთ-ერთს და მიჰყავს. ისიც ნამოდგა, ზანტად, დაღლილი თვალებით. ახლაც მახსოვს, შავი „მაიკა“ ეცვა და უამრავი ბეჭედი ეკეთა თითებზე.

— ჩვენ სუთა ჰაერს ჩაველაშავთ, — გაიკრიჭა გოგლიკო.

გადმოყარა თავისი დაღრეცილი ეშვები. არ ვიცო, უცებ რამ დამკრა თავში. შემეცოდა გოგლიკოსთვის ეს გაუცინარი და დაღლილი გოგო. გოგო რა, ჩემზე სამი წლით იყო უფროსი.

ასე, ქალების სახელებს იშვიათად ვიმახსოვრებ ხოლმე, არც მისი მახსოვდა. რაღაც არაქართული კი იყო. ნამოვდექი უცხად და გოგლიკო ჰოლში გავიყვანე.

— პლანი გაქვს? — შემომცინა გახარებულმა.

ეგ ქალი დამიგოვე-მეთქი, ვუთხარი. ეგეთია, ბინძური, პირდაპირ უნდა უთხრა.

— ხომ არ გევასა? — უბედური, უხერხული თქმა იცის. კუდიანია, რა. თუმცა, მაშინ სასაცილო ჩანდა ეს ყველაფერი.

შევიდა და მეორე გამოიყვანა.

მეც შევბრუნდი ოთახში.

ის მაგიდასთან იჯდა, ხელებში თავჩარგული და თმაჩამოშლილი. თვალები არ უჩანდა და ქვედა ტუჩის კიდე კბილებში მოექცია.

— რა გქვია? — ვკითხე მე.

— იანა, — თქვა და ნამოდგა. ძალიან კარგი გოგო იყო, ვიცოდი, რომ პირდაპირ დივანისკენ არ გაქანდებოდა.

უცებ კარი გაიღო და დუდა შემოვარდა ზენარშემოხვეული.

— სიგარეტი მინდა, რა... — გუშინდელივით მახსოვს, როგორ დაავლო ხელი მოჭმუქნულ კოლოფს და როგორ ჩამიკრა თვალი.

მერე გავიდა და კარი გაიხურა.

იანა თანჯარასთან მივიდა. იქითაც განათებული თანჯრები ჩანდა.

მივარღნილი უბნის დათეხვილი კორპუსების თანჯრები.

მივედი და ხელი მოვხვიე მხარბე. არასდროს არ მიქნია მსგავსი რამ. ასე არასდროს დამმართნია. რა მეთქვა, არ ვიცოდი. ქალებში რომ მიდიხარ კაცი, ყოველთვის წინდანინ იცი, იქ როგორ დაგხვდებიან, რას გეცევიან, სად გიბნევენ და შენც ასე იქცევი. ეს კიდევ... მერე ვიხსენებდი, ოღონდ, ვეღარ გავარკვეე, სუფრაზე ვაკვირდებოდი თუ არა, თუმცა ყველაზე ჩუმად ვეგ რომ იყო, მახსოვს. ჩვენ არ ვფიქრობთ ხოლმე ქალებზე. მიხვალ, იქეიფებ, გაისწორებ, რაც უნდა დაბოლმელი იყო, მაინც კარგ ხასიათზე დადგები. ქალი კიდევ, ვთქვათ, არ უნდა, რომ ვიღაც გოგლიკოსნაირი ბანჯგვლიანი მაკარონი შეაბობდეს და ბედ „ვარციხეს“ ასუნთქებდეს.

მოკლედ, ვდგავართ ასე, თანჯარასთან, როგორც ქაჯურ სიმღერებშია. უცებ აუკანკალდა მხრები და მერე ჩუმად, ძალიან ჩუმად ატირდა. რაღაც შეკავებული ისტერიკა სჭირდა. ძლივს გასაგონად ქვითინებდა. ეცეობა სანთებელეებით რომ გავცვალეთ ის და მისი დაქალი, ამან საბოლოოდ მოუთავა ხელი. უცნაურად მოიკუნტა, დაპატარავდა და მომეკრო მკერდზე. თავჩარგული ტიროდა.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. უცებ გადავწყვიტე, სახლში წამეყვანა. ასე ჩახუცებული გამოვიყვანე გარეთ. კარგი ღრო იყო, ტაქსი გავაჩერე და წამოვედი.

სახლში რომ შემოვედი, როგორღაც შეყოვნდა, ისევ თმაჩამოშლილი იდგა კარებთან, ისევ არ უჩანდა თვალები. საწოლ ოთახში შევიყვანე, მაგრამ სულ არ ვფიქრობდი იმაზე, ლოგინზე დაემხო თავქვე და ისევ ასლუკუნდა. არასდროს შემცოდებია ასე ვინმე. საერთოდ, იშვიათად ვფიქრობდი ამაზე. ვიჯექი და ვუყურებდი.

— ყავას დაგალევიან, — მოვიფიქრე ბოლოს რაღაც და ოთახიდან გავედი. თინჯანი რომ შევიტანე, ისევ ისე იწვა, ოღონდ აღარ ტიროდა. იქვე დაჯექი, სარკის წინ და კედელს მივეყრდენი. აღარ მახსოვს, რაზე ვფიქრობდი და როდის ჩამეძინა.

ხელის შეხებამ გამომალვინა.

ჩემ წინ იდგა. მონყენილი, ძლივს შესამჩნევად მოლიმარი და სახეზე მეფერებოდა თითებით. მახსოვს, ხელზე ვაკოცე. როგორღაც, ისე გამომივიდა, არც მიფიქრია ამაზე. თითქოს შეცბა.

— მე წავალ, — მითხრა უცებ.

უცებ წამოვდექი და ვაკოცე. ბიჭები არ კოცნიან ხოლმე ასე გაცნობილ გოგოებს. ვითომ ძალიან სუფთები არიან თვითონ. ქალი უნდათ, მისი ტუჩები კი ეზიზღებათ. თუმცა, ამის თავი სად მქონდა მაშინ, რაღაც უცნაურად ვიყავი. თითქოს კმაყოფილი და სავსე ყველაფრით. არ ვიცოდი, რა იყო. საბავშვო ბაღის მერე არაფერს მყვარებია და რა ვიცოდი. მშრალი ტუჩები ჰქონდა და მეც მშრალი მქონდა, ალბათ, რა ვიცი.

— მე წავალ, — თქვა ისევ და ფრთხილად მოიშორა ჩემი ხელი.

იანა წავიდა.

მე არ დამეინყნია. სულ ვიხსენებდი მის ნაკვთებს, თითებს, სველ თვალის უბეებს. არც მახსოვდა წესიერად, როგორი იყო. თავიდანაც ვერ ამოვივდე. ისიც არ მინდოდა, რომ მომეძებნა, დაინყებდნენ ესენი... ბიჭებზე ჭორიკანა ხალხი ხომ ქვეყანაზე არაა. გოგლივით ათჯერ მაინც მოჰყვა, როგორ გავუცვალე ქალი და ყველა მოყოლაზე ვგიჟდებოდი, თუმცა ვიციხნოდი.

იანა დაიკარგა.

ერთი-ორი თვე და, ალბათ, მიმავინყდებოდა კიდევ.

ისევ ვიხსენებ. შობა იყო. თბილისური ცივი, უფერული დილა. გავათენეთ და მანქანიდან სადარბაზოსთან ჩამომავდეს მთვრალი. კიბე ავირბინე და ისე უცბად დავკარგე წონასწორობა, რომ თავი ძლივს შევიმაგრე.

ჩემს სართულზე, კიბის თავში, იანა იჯდა. უფერული მოკლე პალტო ეცვა და ბერეტი ეხურა. თვალები ისევ დაღლილი ჰქონდა, ტუჩები მთლად გაფითრებული. ისე, ზამთრის ჩიტივით მიყუჟულიყო მოაჭირთან. ჩაპლინის ფილმებში არის ხოლმე ეგეთი კადრები...

ყველაზე კარგად ის მახსოვს, რომ ცივი იყო, მთლად გაყინული.

მერე, სახლში, როცა ვინექით და ვწნოდით ჭიბეში ჩარჩენილ ერთადერთ სიგარეტს, მე ისე თავისუფლად ვსუნთქავდი, რომ მეგონა, სადღაც სხვაგან, გაურკვეველ, საოცრად მშვიდ

და დამანყნარებელ ადგილას ვიყავი და აღარასოდეს გავიღოდი არც ქუჩაში და არც სადმე სხვაგან.

იანა ჩუმი იყო. ისე გადიოდა ოთახიდან ოთახში, ხმას ვერ გაიგებდი. საერთოდ, ცოცხალ ვლასპარაკობდით, ამინდებიც ისეთი იყო, არაფერი რომ არ ხდებოდა ხოლმე. სამი დღე არ გავსულვარ გარეთ. ჯერ გოგლივით დარეკა, მერე ნანა მოვიდა — ნახევარი ცორტი და რალაც-რალაცები მოიტანა. იანა რეცხავდა. აბაზანის კარი ღია იყო და იანას ჩემი ჯემპრი ეცვა, მეტი არაფერი. არც გაუგია კარის ხმა. ხომ არ დაუწყო, იქ შედი, ეს მიითარე და რალაცები.

ნანა შეცბა. ძალიან თავშეკავებულია, მაგრამ, შევატყვე, რალაც სკანდალურმა გადაურბინა სახეზე. ხუთ წუთს არ გაჩერებულა, გაიქცა. კარი რომ დაეხურე და შემოვბრუნდი, იანა აბაზანის კარებში იდგა, სველი ხელები უცნაურად ეკიდა. თითქოს გასაქცევად იყო გამზადებული.

— მე ნავალ, — ზუსტად მაშინდელივით მითხრა.

მიხვდით, უფრო სწორად, წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა, ის რომ წასულიყო. გავიღოდი გოგლივით, მერე იქიდან კიდევ სადმე წავიდოდით, იქედან — კიდევ სადმე. დაესხდებოდით, მოწვევით ორ კოლოფს, კიდევ რამეს, თუ იქნებოდა. მერე იქედან სადმე, ქეიფში ავიდოდით ხუთი-ექვსი კაცი და გოგლივით თუ ვინმე არ დაჭრიდა ან თვითონ თუ არ გამოუსვამდა ვინმეს დანას, ნაშუალამევს მოვიდოდით სახლში. გადადებულ გელეფონს დაგვიდებდი და ზუსტად ორ წუთში ნანა დარეკავდა:

— თენგიზმა გიკითხა და ა.შ.

იანა ჩემთვის ყველაფერი იყო. ის იყო, რაზედაც არასდროს მიფიქრია, რაც არასოდეს მდომებია. ის იყო, რისთვისაც, ალბათ, ცოცხლობენ ადამიანები. მე ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს ოჯახი, და რას გულისხმობენ, როცა წარმოთქვამენ: „დიდებული ოჯახიაო“ და რალაც სისულელეებს, ყოველ შემთხვევაში, მე არასდროს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, დაწყობილი და მშვიდი, როგორც მაშინ. არასდროს იმდენი არ მიფიქრია და მიოცნებია, როგორც იმ ზამთარს. ვიდრე არ ჩამირთავს არც ერთხელ. ბიჭებს კარს არ ვუღებდი და პურზე დავდიოდი ყოველ დღით. ვიმუშავებდი კიდევ, რომ დავამთავრებდი. დიპლომზე ვიყავი უკვე და საპროექტოში ერთი გაქუცული ძია მიხაზავდა. იანა მხოლოდ შაბათ-კვირას მიდიოდა ჩემგან, სადღაც მოსკოვის პროსპექტზე ცხოვრობდა მამიდასთან თუ ბიცოლასთან. მისი უბრალო, მწვანე ყელსახვევი მქონდა შემოხვეული კისერზე და ისე დავდიოდი წინ და უკან, უაზროდ და უმისამართოდ. ბიჭებმა უკვე იცოდნენ, რომ ჩემთან ცხოვრობდა, მაგრამ ვითომ არაფერი.

ისევ გოგლივო თუ გაიკრიჭებოდა და იცყოდა, ამის ქალი უნდა მოვიდეს და წავიდეთო. არ ვპასუხობდი, გოგლივო კი არა, რომის პაპი ვერ გაიგებდა, რა და როგორ. მხოლოდ დუდა იყო შემცხარი. ეცყობოდა, რომ სულ რაღაცას ფიქრობდა ჩემზე და იანაზე. მახსოვდა — მისი კონტინგენტი იყო. რამდენი რამე იცოდა, ალბათ, ჩემზე ასჯერ მეტი. მაგის ჭოროკანა მამას... სულ არ მაინტერესებდა, ისე კარგად არასდროს ვყოფილვარ. ყველაფერი მომწონდა და მიხაროდა.

სად არ დავდიოდით, სიცვიეში, ჭყაპში, თოვლში და რამე. სულ ფეხით. გრიბოედოვზე ერთი სარდაფი იყო, „მეგრული სამზარეულო“ ერქვა. სულ იქ ვისხედით. იანა ილიმებოდა, მე მიხაროდა, ჩვეულებრივად, ადამიანურად ვლაპარაკობდით. ხელი სულ ჩემს ჭიბეში ედო და მაგრად ვუჭერდი ხოლმე. სახლი შემიყვარდა. იანას ჩემი პულოვერები და თავისი უფერული პალტო ეცვა. ჭინსი ვუყიდე, რაღაც იტალიური. ვიდექით და ვიცინოდით.

მამაჩემს დავადექი ერთხელ. დილით. ლოგინში იწვა, ირაკლი შემოესვა ღიპზე და ეჭიდავებოდა. ხუთი ათასი მანეთი მჭირდებოდა-მეთქი. ირაკლი ჩამოსვა და წამოჭდა.

— ნააგე? — საყვირლად იყო გამზადებული.

— კურტკა უნდა ვიყიდო.

— ხომ გაქვს კურტკაც, რაღაც ისიც, პუხოვკა თუ რა ჰქვია...

— მინდა.

— სად მიდიხარ? — გიჟია, სულ ჰგონია რომ სადღაც მივდივარ, ნაზრანში ან სადმე. ერთხელ რომ დავგიჭირეს პირველ კურსზე მე და მორჩილა მლეთის აქეთ, იმის მერე სულ რაღაც ჰგონია. ისე, მაშინაც გყუილად გვაყურყუტეს. სულ სხვა რამე იყო.

— არსად. კურტკა მინდა, სად უნდა წავიდე?

— არ ვიცი. კაცები კი არა, ნაბიჭვრები ხართ.

მერე წამოღვა, ღიპი მოითხანა და დაიყვინა:

— ნანა!

ნანა შემოვიდა.

— სად მიდის?

— სად უნდა მიდიოდეს, კურტკა უნდა.

— სულ რაღაცეებს გეჩურჩულებს, როგორც შემოვა, ჯერ შენთან გამოვბის. ერთად უნდა მატყუოთ.

— ჩაი გინდა, თენგიზ?

— წაყვები და ერთად იყიდით, — თქვა უცებ და მე მომიბრუნდა: — გოგლიკოსთვის გინდა?

— არა, არა, რით ვერ გაიგე... ჩემთვის მინდა.

— გასაღები აიღე და მანქანით წადით. არ ჩამოავდოეს სადმე და არ დამინყო მერე ინსპექციიდან რეკვა.

კიდევ გამიხარდა. კურტკა, თურქული თუ რაღაც, იანასთვის მინდოდა, ვერაზე ეკიდა, მარგიშვილის საკომისიოში და შევანახვინე, თემურა თანხულიძე და ვიღაცეები იყვნენ მაშინ იქ. თანხულიძემ ჩამოხსნა და მაძლევდა, წაიღე, გიუშ, და ფული კვირის ბოლოს ჩამოიგანეო. იცის ბიჭმა, აბა, აჩიკო ყიფიანს კი არ ეტყოდა. იცის, თენგიზა მიქატაძეს თუ მოუნდა, კურტკას კი არა, თავის შოკოლადებიანად იყიდის მარგიშვილის სარდაფს.

ნანამ კურტკა შეათვალიერა და მერე მე ამხედ-დამხედა.

— ეს არ მოგერგება. ჰატარა ზომაა.

კურტკას ღილები მარცხნივ ეკვროდა. ნანამ კიდევ ერთხელ ამხედ-დამხედა, ფული დახლზე დაუდო თემურას და მე მომიბრუნდა:

— მიდი, წაიღე, მე ძალე გამოვალ.

მე და ნანა ნახევარ საათს ვისხედით მანქანაში, მარგიშვილის საკომისიოს წინ. ყველაფერი მოუყევი. თვითონ მკითხა. თავისებურად, რბილად. ძალიან შემინებული ჩანდა.

— თენგიზი გადაირევა, — მითხრა ბოლოს. თენგიზი, რა თქმა უნდა, გადაირეოდა.

— სულ ასე ხომ ვერ იქნებით, რაღაც შეიცვლება...

— რა შეიცვლება?

— გიუშვი, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ თენგიზი მაგას არ მოგაყვანინებს.

არ მოგაყვანინებს. მაგათ ჰგონიათ, იანა და მე რიგულებში უნდა აგვიყვანონ, ვარდებით და მიხაკებით. თან ჩემი ორასი და მამაჩემის ექვსასი ძმაკაცი უნდა გვახლდეს. „ივერია“ დახურონ, მოძრაობა გადაკეციონ და მტრედებიანი და შიბაქიანი ბებერი შემოვარდეს დარბაზში.

— მე არ ვეცყვი, იყავით, სანამ იქნებით. თვითონ რომ მოვა შენთან, რამეს მოხლავ.

მერე თვლებით მორთული თუჯის სამაჯური ამოაძვრინა ჩანთიდან, სირიული თუ თურქული და კურტკის ჯიბეში ჩადო.

— შენ არ იცი, გოგოს რა უნდა აჩუქო, — მითხრა ღიმილით და თვალი ჩამიკრა. მეგონა, რომ ნანა საკუთარ თავს ჩუქნიდა ამ სამაჯურს.

იანას ეძინა. ვაკოცე. მერე კურტკა ჩავაცვი ნახევრად მძინარეს. ის სამაჯურიც ამოვადვრინე და გაუკეთე ხელზე. სანოლზე ვისხედით და ვიცინოდით. სულ ვფიქრობ და ვიხსენებ, თან კიდევ ვერ გამიგია, ნეტავ მართლა თუ არსებობდა ის დღეები. მართლა თუ უხაროდა იანას და მართლა თუ ვისხედით ფანჯარასთან წვიმიან დღეებში და ბავშვობას ვიხსენებდით. ახლა ისე შორსაა ეს ყველაფერი, რომ ამაზე ფიქრისას, სულ რაღაცეებს ვეპოტინები. იანა, იანა, იანა, — სხვა არაფერი მიგრიალვდა თავში და ერთხელ არ დავფიქრებულვარ რამეზე. არც უკან დამიხევია. რა იყო ამაზე კარგი, არ ვიცოდი, მორჩა და გათავდა. არც ის ვიცოდი, როგორ ვიცხოვრებდით, რა მოხდებოდა ან როგორ. იანა თითქოს ბუმბულისა იყო, თბილი, მსუბუქი. ძილში აუცილებლად მხარზე დამადებდა თავს, თან სულ რაღაცეებს ჩურჩულებდა, სიზმარში ჩაფლული. თვალდახუჭული ვინეჭი ხოლმე და ველოდებოდი, როდის ჩამჩურჩულებდა რაღაც ტკბილ სისულელეს ღამის სიჩუმეში...

იმ დღით თოვდა. ორდღიანი ტილიანი თოვლი რომ იცის თბილისში, ცოცხა ხანს რომ ვარგა და მერე ცალახს რომ მიაქვს ყველაფერი, სწორედ ის ღრო იყო. რომ გამეღვიძა, იანა ფანჯარასთან იდგა. გონს მოსვლა არ მაცალა, თავისებურად, ხმადაბლა და სწრაფად მითხრა:

— მგონი, ფეხმძიმედ ვარ.

მე ვიცოდი, რომ ეს ძალიან კარგი იყო, მაგრამ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. მეგონა, რომ რაღაცეები ენატრებათ ასეთ ღროს და მარწყვიც რომ მოუნდეს ზამთარში, უნდა მოუგანო. რაღაც უცნაური კი იყო, თითქოს მზადება, თითქოს ახალი განცდები, მანამდე უცნობი რაღაცის, უზარმაზარი, ფრთხილი ფიქრები. მთელი დღე დავდიოდით თოვლში. გარშემო ბავშვები ირეოდნენ, დეიდები ძაღლებს ასეირნებდნენ, მოხუცები ნელა დაჭრილებდნენ გაყინული შადრევნის გარშემო. ცა ჩვენს თავზე თეთრი იყო, ქათქათა და

მშვიდი. პარკის დათოვლილ ხეივნებში ისე მსუბუქად ვგრძობდი თავს, რომ მეშინოდა, იანა ხელიდან არ გამძროძოდა, არ გამდნარიყო და არ შეერთებოდა ცივ, საოცრად გემრიელ ჰაერს, მოკლედ, ეგეთი ფიქრებიც მქონდა. შოკოლადს და რაღაც სისულელეებს ვატენიდი ხოლმე, ესეც სადღაც გამეგონა.

მოკლედ, არათურმე ვფიქრობდი, არც თენგიზზე, არც იმაზე, რაც თურმე, ამას მოჰყვება ხოლმე და რაც თურმე, ამ მშვენიერ ქალაქში ბავშვის სიცოცხლეზე და ადამიანების ბედნიერებაზე, გოგოსა და ბიჭის სიყვარულზე უფრო მთავარია. მთავარი, თურმე, წესებია. თურმე, გოგლივო რომ ჩემი ძმაკაცია, ეს ნორმალურია და რამე, იანას ჩემთან ყოფნა — არანორმალური. თურმე, მამაჩემს უნდა მოვეკალი, გოგო რომ შემეცოდა, რომ შემეყვარდა, რომ სახლში მოვიყვანე, სადღაც გაბოლილ ბაითში დაგდებული, საცოდავი, მთრთოლარე, რბილი და ფაქიზი. თურმე, ეს ყველაფერი უნდა მცოდნოდა, რადგან თენგიზა მიქატაძე გაქსისტი არაა.

არ ვიცოდი.

თურმე, იანას ნაბობარი დაქალები იმიტომ არსებობდნენ ქვეყანაზე, რომ ღუდას ქვეშ განოლილებს მისთვის მოეყოლათ ჩვენი ბოლოდროინდელი ამბავი. თურმე, ღუდა უნდა გადარეულიყო, იმპოტენცია უნდა დანყებოდა და არ ვიცი, კიდევ რა. შაბათ საღამოს გოგლივომ დარეკა.

— მარტო ხარ?

ამოვალთო, მითხრა და დაკიდა. ოც წუთში ამოლაგდნენ, ეცეცობა, სადმე იყვნენ, ახლოს. გოგლივო, ღუდა, ტატო, ვიკა და ჭათარა. თავიდან ვერც მივხვდი, რა უნდოდათ. მარტო გოგლივოს ჰქონდა გამაძღარი და კმაყოფილი სიფათი. ღუდა იყო შავი, შავი, სადღაც ქვესკნელში იყურებოდა. ესენიც დაყენებული სიფათებით, მღებავებივით კედლებს ათვალიერებდნენ.

— რას აპირებ გიუშვი? — მკითხა ღუდამ.

— რისას?

— ქალისას, ძმაო, რისას, — თქვა ჩუმად.

ტატომ გადმოძხედა.

— რავი... — ვთქვი მე უაზროდ.

— ბოზიშვილი ვიყო, გიუშვი, არა ხარ მართალი.

— რა გინდა?

— ბოზიშვილი ვიყო, გიუშვი, არა ხარ მართალი, არც ძმობაში, არც კაცობაში, ბოზიშვილი ვიყო...

ყველამ რაღაცა მითხრა, მე არათუერი მიპასუხია წესიერად, ღუდას ხელები აუკანკალდა. თენგიზას რას ეუბნებო, მითხრა. არათუერს-მეთქი. გვიან გაგებას, ეხლა გაიგოსო. რა ვიცი-მეთქი. ისხდნენ ასე დამგლოვიარებულები, მიკიციანებდნენ. ჩვენებურად მართლებიც იყვნენ, მათთვის ბოზი იყო იანა. მხოლოდ გოგლიკოს არ ამოუღია ხმა, კმაყოფილი სახე ჰქონდა, როგორც ყოველთვის. ეგ ხომ თავიდანვე მიხვდა. დებილობის მიუხედავად, საოცარი, წარმოუდგენელი რაღაცეების შეგრძნების უნარი ჰქონდა. ასეთ ღროს ჩუმი იყო ხოლმე. ვგრძნობდი, ფეხებზე ვკიდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი, იცოდა, მაინც სულ ერთად ვიქნებოდით ყველანი, ბოლომდე ერთად.

წავიდნენ. რომ გადიოდნენ, ღუდა კარებში შეყოვნდა და გადამეხვია.

— გიუშვი, ბოზიშვილი ვიყო, ჩვენი ძმობა არ გაცვდა...

გამეცინა, გიჟის თვალები ჰქონდა, ალბათ, ძალიან ნერვიულობდა.

— გიუშვი, მე ჩემი უნდა გაგაკეთო. მე რომ არ ამეგება...

— შენ რომ არ აგეგება, ახლა ასე კარგად არ ვიქნებოდი.

— გიუშვი, გამიგე, მე თენგიზას უნდა ვებაბრო... მე, შეიძლება, თავი მოვიკლა...

ქალაქელი ხალხი ვართ. ვიცით, ცუდი რა არის და კარგი რა არის. კარგი ყველაფერი ჩვენთანაა, ცუდი — ჩვენგან შორს. ვინც ცუდია, „სებე“ იყოს, ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევა, თავი გაგვანებოს. თენგიზ მიქატაძის ყველა ნაბიჯი ამას ემყარება. მე არ მესმის ქალაქელი ძიებისა და საერთოდ, ჩვენი ცუდი და კარგი. ცუდი ვერ გაგაბედნიერებს, ვერ დაგამშვიდებს, ლამაზი ვერ იქნება.

მე არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი, თუმცა ბედნიერებას ვიხანგრძლივებდი. ეგ იყო და ეგ.

იანა, იანა, იანა...

მე რომ რამე მცოდნოდა, რამის აზრზე რომ ვყოფილიყავი საერთოდ. ან შენ რომ ასეთი პატარა და მკრთალი, უსუსური არ მეპოვე მაშინ. კიდევ კარგი, რომ ერთად ვიყავით, კიდევ კარგი, რომ შობალამე კიბებზე გაატარე ჩემს მოლოდინში.

იანა, ჩემო პატარა გოგო. მე ველოდი რაღაცას, მაგრამ ასე არა.

...ორშაბათს ნაშუადღევს მოვედი სახლში. კარი გაგაღე და უკვე რაღაცას მივხვდი. სასტუმრო ოთახში შუქი ენთო. იანა შუქს არ ანთებდა ხოლმე. შევედი. სავარძელში ნანა იჯდა, ცახცახ მიეფინა ქურქი. იჯდა და ეწეოდა. სულ გაეხუტა იქაურობა.

დაგვეყვი. ნანამ სიგარეტი ჩააქრო და შემომხედა.

— რაღა ხართ? — ვკითხე უაზროდ.

ნანას თითები მოექცია მეორე ხელის მუჯში.

— გუშინ დედა იყო, — მითხრა ჩუმად.

— მერე?

— თენგიზი გადაირია. დალენა ყველაფერი. მორბოდა. პისტოლეტით... ირაკლი ვაფიცი. ყველაფერი დაამტვრია.

რა უნდა მეთქვა. ასე უნდა ყოფილიყო წესებით და კანონებით. უნდა დაეღენა ყველაფერი. მივხვდი და არაფერი მიკითხავს. თენგიზი დააბეს და ნანა წამოვიდა. ნანამ ლაპარაკი იცის, თენგიზმა — ღრენა. ამიტომ ნანა წამოვიდა. უსისხლოდ რომ მოეთავებინა ყველაფერი. არიან ეგეთი ქალები, რბილი, შემპარავი ლაპარაკი იციან. თან ნანამ ხომ იცოდა, იანა როგორი იყო. სიგყვას არ უბრუნებდა არავის. ყველაფერი წარმოდგენილი მქონდა. როგორ დაუნყებდა ნანა, ყველაფერს როგორ გადმოუღაგებდა, რომ თენგიზი ასეთია, რომ გიუშვი კეთილია და რომ ყველას უყვარს, მაგრამ არეულია, არ იცის არაფრის კეთება, არაფრის განსაზღვრა, არაფერზე თიქრი. რომ მამამისი უფრო მოკლავს, ვიდრე თქვენ დაგაქორწინებთ. იანა ჩუმად წამოდგებოდა, ბერეგს ჩაჭმუჭნიდა ჭიბეში და ამ დროს ნანა მიეფერებოდა, ეტყოდა, რომ მთავარი ბავშვია, თორემ ჯერჯერობით შეგვიძლია, ერთად ვიყოთ. რადგან, ალბათ, თენგიზი თიქრობს, რომ გადამივლის და თავს დავანებებ. იანა ჩანთას აიღებდა და...

— ფული მიეცი? — ვკითხე უცებ.

არც მახსოვს, როგორ ავღრიალდი.

— ფული მიეცი?! მიეცი ფული?! მიეცი ფული?! — უაზროდ ვლრიალებდი.

— ჩემი შვილის მოსაკლავი ფული თუ მიეცი?! კონსერვებში გაკეთებული ფული თუ მიეცი?!

მერე არ მახსოვს. ცახტბე ვეგდე გულდაღმა. ნანა არ მიდიოდა. იჯდა და ციროდა. ძლივს გავისტუმრე.

რა აზრი ჰქონდა იანას ძებნას. პოვნით კი ვიპოვიდი ადვილად, მაგრამ რა აზრი ჰქონდა. ჩვენ იმიტომ ვიყავით კარგად, რომ არავინ არ ერეოდა ჩვენს საქმეში, ჩვენს სიცოცხლეში. ბავშვი, არც ვიცოდი რა უნდა მეფიქრა. ვიცოდი, მე და იანა ერთად ველარ ვიქნებოდით. როგორც ვიყავით, ისე ვერ ვიქნებოდით. უბრალოდ, ასეთები ვიყავით, მარტონი, სიჩუმეში ყოფნისთვის გაჩენილები. იანა არ აიღებდა ნანას ფულს, ბავშვს არ მოიშორებდა და ამის მერე არ დარჩებოდა ჩემთან. არ მომატყუებდა უბრალოდ, მორჩა და გათავდა. ის ახვარი დაქალები შეჭამდნენ. ისევ დაუნყებდნენ აქეთ-იქით თრევას, აბორცმახერებში ცარებას.

იანა, იანა, იანა...

ასე დამთავრდა თითქოს. მაგრამ ჩემთვის არათფერი დამთავრებულა. არათფერი მახარებს იმ ორ თვეზე ფიქრის გარდა. რა საოცარი ბამთარი იყო. ერთი წელი გადის იმ დროიდან.

გოგლიკო ისევ ზის კმაყოფილი სახით. ჯათუარას ბიჭი გაუჩნდა. მე კიდევ არათფერი მახადია. მარტო ვარ რა, ალბათ ისევ მარტო ვიქნები, ამ დევენერატულ იაპონურ სანთელთან მჯდომი, ხელში „ელემის“ ჩამწვარი ღვრით.

იანა, იანა..

რალა დარჩა ჩვენგან. ალბათ არათფერი.

თავი მორა

წავედით, რა.

დავანეცი თბილი ქვეყნებისკენ, როგორც გოგლიკომ თქვა. იმ დღით საკმაოდ ციოდა თბილისში და ჩვენი ძმა, ალბათ, ამიტომ იყო უგუნებოდ, თუმცა მაინც ვერ იქნებოდა მთლად თამამი და მხიარული. სხვისი ფული მიგვექონდა ამხელა გზაზე და უნდა წამოგველო სხვისი საქონელი. გოგლიკოს იქედან ბევრი არათფერი შეხვდებოდა, მაგრამ წუნუნის და მოცეხვის

გროსმაისტერი იყო და ყველას ეზარებოდა მისი გადაკიდება. აჩივო ყითიანისთანა თიცრებს, რა თქმა უნდა, არ ვთვლი, იმიტომ რომ, გოგლივო, მაგასთან შედარებით, ჭკუის კოლოფია.

ერთხელ, მახსოვს, ჭათარას ქორწილია და ვილაცა კლიენტების პირდაპირ მოვხვდით სუტრაზე. ჭათარას ცოლის ნათესავები თუ ვილაცეები, მოკლედ, ერთი ბიზნესმენია, სულ მელოტი, ასე, ორმოც წლამდე, მეორეც მისი კორეში მწვანე კოსტუმში, წვერიანი და რამე. აი, თავი რომ უნდათ, გაჩვენონ, ყანწებს ატრიალებენ და თან ჩურჩულებენ ერთმანეთში. გოგლივო ცხოვრებაზე ფილმებით მსჯელობს და მათი მოყოლის გარდა, ჩვეულებრივ, არაფერს აკეთებს. ბაშუმობიდან აქვს გამოყოლილი. მაგრამ თუ საქმე მოსაწევს ან გასაკეთებელს ეხება, ვერაფერს გამოაპარებ. კაგებია, რა. თან სულ უფულოა და ამის გამო თუა ასეთი: მე, პირადად, არ მახსოვს მისი ფულით აღებული რამე. თუმცა ბარიგებთან სულ ეგ დარბის. ჩემი მანქანით, რა თქმა უნდა.

მოკლედ, ეს კლიენტები უცებ წამოდგნენ. ერთი საათის დამსხდრები არა ვართ. გადიან. ჩემთვისაც გასაგებია, რაზე გადიან, საპირფარეშოში თითო მასტერკას მონევენ, შემოვლენ და ჩაბუჭებულებიან.

გოგლივო ისეთი ხმაურით წამოვარდა, ხალხმა გადმოგვხედა.

— ჩვენი ძმა, — ხმადაბლა ეუბნება იმ მელოტს, — მეც გამოვდივარ.

— არა, ძმაო.

— მაიცა, თუ ძმა ხარ, — გოგლივომ უკვე მაგიდას შემოუარა.

— ცოტაა, ძმაო, — წაიბურტყუნა მწვანეკოსტუმიანმა.

— წამო, კაცო, — გოგლივომ ხელკავი გამოსდო და გავიდნენ.

ათ წუთში შემობრუნდნენ. გოგლივო, როგორც ყოველთვის, კმაყოფილი, მწვანე სიტათით. ისინი — ღირსეული, რომ შეეფერებოდათ, ისეთი გამოძეგველებით. დასხდნენ. ერთი, ნახევარი საათი გავიდა.

უცებ გოგლივო მეუბნება:

— გადი და გამოვალ. პლანს მოგანევენებ. — გამიკვირდა. ვითქვრე, რამე, აღბათ, ცოტა წაართვა-მეთქი. თურმე, არა.

— სამი პაპიროსის იყო, — წამურჩულა და მუჭი გაშალა მაგიდის ქვეშ. — სამში შევაკეთე, ვერ აკეთებდნენ, სიმონ, იმდენი ხანი, გამოვშტერდი. ტარიანიც ქონდათ და რამე, ხოდა, ვანეგინე ის ტარიანი. შევაკეთე ორში და მოვნიეთ. ორად მოვუტყხე, პაჩტი ცარიელი პაპიროსები მოვნიეთ...

ისინი კი ისხდნენ გაჭვიშულები. ამ ხნის ხალხი. ექვსი კაცი დაბოლდა იმ საღამოს მაგათი მოსანევით. აბრზეც არ იყვნენ, ისე.

აი, ეგეთია გოგლიკო. „მოგზაურთა კლუბს“ უყურებს ხოლმე შაბათობით და ველურების მეფობა უნდა.

— ზიხარ, სიმონ და ყველაფერი მოაქვთ, ქალები მოყავთ, მარათი დარბიან, და რამე.

ამის მეტი არაფერი უნდა.

— თული მომინდება და გაყიდი ერთი ათ ქალს, რა, არ იყიდებიან? და ა.შ.

ეგაა მაგის მთავარი ოცნება.

არასდროს მივლია ასე უგემურად. ყოფილა დრო, როცა მე და გოგლიკოს ას ორმოცი აგვინეგია ტრასაზე. ახლა კიდევ ამინდიც უგემური იყო, გზაც ტალახიანი, მანქანებით გადაძეძილი. დილით რვა საათზე გამოვედით და უკვე შუადღის ტრასა იყო. უამრავი სამხედრო მანქანა, თურგონები, მილიცია, გვარდია, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამე. ეს გვარდია მაგიჟებს. სულ ორასნი იყვნენ „თბილისში“ და ამდენი საიდან მოგროვდნენ, ვერ გავიგე. თან რა ბატალიონები აღარაა. ათი ძველი ბიჭი შეიკრიბება ბირჟაზე, დაირქმევს „დელტას“ და რაღაცას და მიაღვება კომენდატურას ზვიადას გინებით. დაურიგებს კომენდატურა ავტომატებს და მიდიი, ავოე!

კოტიკა არაშიძემ, პირველი შემადგენლობის „მხედრონელმა“, მითხრა ერთხელ, სექტემბრის ამბებს რომ მიყვებოდა სადღაც, ვიღაცასთან, ამ გვარდიისა ვერ გავიგე, ეგეთი დაბნეული კანცორა მე არ მინახავს და უძრავლესობა ძალიან პატარები არიანო. თუმცა კი იომეს, რა გინდა...

ერთი სარქისოვი იყო ჩვენს უბანში. გილი რა, კაითარიკი, ნათეხბურთელარი, მერე თიბკულტურის მასწავლებელი იყო, ქალები მიყავდა სკოლაში და გამოავდეს. გვარდიის მაიორია, ზღვაზეც იყო და რამე, გოგლიკოს პლანი მოანეგინა იმ დღეს.

ნერვები ამიშალეს იმ დღეს, თორემ რას ვერჩი. რაც სხვაა — ისიც ისინი. როგორც მე ვარ და გოგლიკო, ისინიც ისეთები არიან, ოღონდ ჩანან და ეგაა. სხვაგან რა, ყველაფერი წესრიგშია?

ათის ნახევრამდე ოთხჯერ გაგვაჩერეს. სულ პიკეტებია გზებზე. თვითონ სოფლებიციკი დგანან. გაგვაჩერებენ, ვითომ საბუთებს უყურებენ, ვითომ მანქანას ჩხრეკენ. თვალს ვერ წყვეტენ შინდისფერ ცალახიან „ძევიაკას“. ბოლო ქალაქელი გვარდიელიც ხვდება, რისთვის მივდივართ და სად. ძმური ბაზარი მიდის, გოგლიკო სტიქიაშია, ჩეჩელასთვის გამორთმეულ „მხედრიონულ“ მედალიონს ათამაშებს ხელში, თითებზე იხვევს ძნკვს და ლაყობს გაუპარსავ გვარდიელებში. ერთი კასტა ვართ, ერთი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ერთნაირად ვართ გაზრდილები ვაკის, ვერის და საბურთალოს ბირჟებზე. მაგათთან პრობლემა არ გვაქვს გზებზე, მაგრამ მაინც...

ცელოფანში გახვეული ყიფიანის ფული სავარძლის ქვეშ შეაგდო გოგლიკომ. ზის და ეწევა, შავი ნაქსოვი ქუდი „ნიკოლსონი“ ცხვირამდე აქვს ჩამოფხატული, ჩემი სათვალე უკეთია და რალაცეებს ბუტბუტებს. საერთოდ, გოგლიკოს იშვიათად აცვია თავისი რამე. შავი მაისურებისა და ერთი ველვეტის შარვლის გარდა, არაფერი აქვს. სულ ჩვენი რალაცეები აცვია. რა ვქნათ, ძმავ ჩვენი, უფულო და უპატრონო. ბებიამისისთვის მეზობლებს მიაქვთ პური. ეს კიდევ, რომ დათვრება, დიდი სიამაყით ამბობს, ქალაქელი „ბრაძიავა“ ვარო. ყოველ გაზაფხულზე დიდი მუნჯი ამოსდის ცხვირზე, ტაქსისტებს აგინებს და პარიკმახერებს სცემს ხოლმე.

ეგეთია და რა ვქნა. უცნაური სიყვარული იცის, უთქმელი.

არ არსებობს, უკან დაიხიოს რამეზე ან რამისა შეეშინდეს. რაც ეგ ნანვალები ჰყავთ ჩვენი უბნის ნარკომანია-პროსტიტუციის არნივებს.

ჰო, მართლა, რომელიღაც სოფელთან (სახელი, რა თქმა უნდა, არ მახსოვს) პიკეტმა გაგვაჩერა. ორი ფორმიანი იყო, დანარჩენები — გლეხები თოფებით, ავტომატებით, დაფახფახებული ვილისით, ცალახში ამოგელილები იდგნენ და ღვინოს სვამდნენ. ანათორიანი მღვდელი ერიათ. ჩაისვით, წაიყვანეთ, გზაზე ჩამოვარო, ამ ნასვამმა მოპიკეტებმა გვითხრეს. თავიანთი ბოციდან ჩამოუსხეს გოგლიკოს მღვრიე ღვინო, ხუთი ლიტრი ბენზინი გვითხოვეს და გაგვიშვეს. მღვდელი უკან ჩაგვიჯდა. იქნებოდა, ასე, ოცდაათხუთმეტი წლისა. კაი გემრიელი ნასვამი იყო. მისი უდიდებულესობა ქართველი ერი გალანძღა, ღმერთი დაიფინყესო. მერე გაჩუმდა, შეაგყო, არც ერთს არაფერი გაგვეგებოდა ქართველი ერისა. ბოლოს მაგნიტოფონი ამოიღო მიზანში, ჯერ თქვა, ჩაუწიეთო, მერე, მწვანელებლის მუსიკას

უსმენტო. გოგლიკო ეწოდა და ფანჯარაში იყურებოდა, სულ მეგონა, ახლა გადააგდებს მანქანიდან და მიაგინებს-თქო. უცებ არ ეკითხება?

— ბიძაჩემო, მონშობა თუ გაქვს?

რისი მონშობაო.

აი, მღვდელი რომ ხარო.

მართლა არ გააძრო მამაომ რაღაც წიგნაკი?

მერე მაგ მონშობაში არ გინერია, ხალხი თავისთვის დააყენე, პატივს რომ გცემენ, შეირგეო. პირდაპირ გათილოსოფოსებული იყო. მამაო ჩაჩუქდა, ალბათ, იფიქრა, ესენი ამ ღვინოს ძმრად მადენენო. ფანჯარასტიკური მღვდელი იყო. რაღაც გადასახვევს მივუახლოვდით და მეუბნება:

— ძმოსა, აქ უნდა ჩაუხვიო, თორემ ან მონვიმს, ან მოთოვს და გავწვალდები. ნახევარი საათის სავალია და გავწვალდები ამ ტალახში.

— გააჩერე! — იყვირა უცებ გოგლიკომ და არც მიბრუნებულა, ისე უთხრა, დაახვიე ახლა აქედან შენი მონშობიანადო. რას იზამდა. გადავიდა. დაუნყო გოგლიკომ გინება. ძლივს გავაჩუქე.

ასეა, როგორც ის მღვდელი ამბობდა, ღმერთი დავიფიქეთ და მორჩა.

ისე, მეგონია, იმ მღვდელმა რაღაცეები იცოდა, ოღონდ არ უნდა ყოფილიყო მღვდელი. დიპლომების მხაზველივით იყო, იქ რომაა, საპროექტოში. მივიდოდი და დაინწყებდა ატეხაზების წარმოშობაზე, მეფე ერეკლეზე, ნავთობის ტექნოლოგიაზე. თან ძალიან ნერვიული იყო, სულ ვილაცხვებს ლანძღავდა.

ასე ვიარეთ.

გადავედით თუ არა საზღვარზე და დიდი საგუშაგო უკან მოვიტოვეთ, გოგლიკომ სიმღერა დაიწყო:

„გვახსოვს დაბრედილი,

შოთა რუსთაველი

და ვენებდაგლეჯილი,

იაკობ ცურტაველი...“

— კარგ ფეხზე წამოვედით, გიუშ, არა? ძაღლები არ არიან. ზეიადას გზით წამოვედით, სიმონ. უკან ისე გადაგიყვან, ვერც გაიგებ. ავილოთ და ეგრევე მოვდივართ. ხომ იცი, ღამე სახლში უნდა ვიყოთ.

ორი საშვი გვექონდა. მე — ნაღდი, მამაჩემმა მომცა, ლანჩავას ხელმონწერილი. გოგლიკოს — „მხედრონის“ მედალიონი, თავის „ჯ“-თი და მთელი ამბებით. მოკლედ. იოლი იყო, რა. „სვოისკი“ კლანი ვიყავით, მორჩა და გათავდა.

— სად უნდა მივიდეთ, იცი? — ვკითხე მე.

— კირავაბად, ულიცა ახმედოვა, — მომიგო ამაყად.

— გიანჯა, — გავუსწორე მე.

— რაც არი, მაგათი დედაც, — და მერე უცებ დაამატა: — უნდა გადავავლო, ჰა? გამოექცევი?

— თუ ძმა ხარ... — გამეცინა მე.

— ჩვენი ფული რომ იყოს, ასიანი გადავავლებდი. იმის ფულზე, რავე, რო გავგწენონ, რა ვქნა. ხომ იცყვიან აჩიკო და დაუშა, დასაბრედიანო.

— რა ჰქვია?

— ვის?

— ბარიგას.

— მიზანა.

— რა, ქართველია?

— რავე, ყითიანმა, მიზანანო, თათარიანო და რა ვიცი. ცაუბში ბარიგა იყო ერთი, სკოლის დირექტორი, წერეთელი იყო გვარად, რა ჩაის აკეთებდა, იცი, მაგის დედაც... მარა მაგარი ჩათლახი. ცოლიც მაგარი ჩათლახი, ბოლოს ოთხასი მანეთი მოფარე და წამოვედი. მაგრად ვწოვდი ორი წლის წინ...

ენციკლოპედიაა, რა.

— პლანი ჰქონდა, მიმიქარავს გოელრო. გოელრო რა არის?

— რა ვიცი.

— ეგრე ამბობდა ხოლმე. მიმიქარავს გოელრო. ალბათ, ადგილია სადმე, რა.

— ალბათ.

— ბიჭო, სიმონ, ბათესულში სტალინაბადში უნდა წავიდე, წამოხვალ?

— სადაა?

— არ ვიცი, კასპიის ზღვაზეა. მაგარი იათია თურმე. მარა შორია.

— ლენინგრადში წავიდეთ.

— ოღონდ მარტო მე და შენ, სიმონ. არ გვინდა რია-რია. საკაითოდ ჩაგვტყდეთ და რამე, ხო?

ასე მივდიოდით.

ტალახიან თათრულ გზაზე, თათრულ სუნში, ვითომ არათყერი. მაინც არ მომწონდა, ძალიან იოლად გამოგვდიოდა ყველაფერი.

— ბარიგა ტერორში უნდა გყავდეს, ყველას ჯობია, ან მკვლელი ეგონო, ან ძალღი, — ცნობილ ამბებს ყვებოდა.

უხაროდა. გოგლივო ამ საქმისთვის იყო დაბადებული.

წითელ ხიდს იქეთ ჰყერი უფრო მყარია, მაგრამ სიმშვიდე მეტია. წითელ ხიდს იქით დაბრეცილი ქვეყანა იწყება. იქ არასდროს მინახავს რაიმე სწორი — არც გზა, არც კედელი, არც ბოძი. მთვრალი, სასაცილო, ჭუჭყიანი, შემცყუებული მათრობელა და რა ვიცი, ბინძური, მაგრამ მაინც რაღაცით მიმზიდველი. ზოგს ჰგონია, მხოლოდ იმით, რომ ყველაფერი იშოვება. მაგრამ არა, არის იქ რაღაც, თათრულად უაზრო და უაზრობით შვების მომგვრელი. გოგლივოს რომ ჰკითხო, ასე იმიტომ, რომ ყველა ქართული საგუშაგო ზურგს უკან დარჩა და თან განჯა ქალაქია, ბელაქანთან შედარებით. რა ვიცი ერთი, შორს იყოს ეს განჯა და კარგად იყოს. მეც გავილექსე, რა.

მაგრამ ახლა განჯაში ვართ.

შავი თათრები, ზამთრის საზიზღარი სიცივე, არც თოვლი, არც რაღაც განსაკუთრებული ყინვა, მხოლოდ ქარი, საზიზღარი ქარი. თბილისთან შედარებით, იათუ სიგარეტი, ქაჭური კოსტუმები, ჭუჭყი, ჭუჭყი. მონიკელებული, ხავერდით განყობილი მანქანები. ჩემთვის მაინც ასე ჩანს განჯა ზამთარში.

ხალხი — შეკეტილი, ქალაქი — მიშენებულ-მოშენებული, ხრუშჩოვის კორპუსებით. ნამდვილი საქათმეა, რა. აღრე აქ ერთი სომეხი ბარიგა ცხოვრობდა, გიგრანა, მერე თურმე თათრებმა მოკლეს. სხვა მენამლეს თუ მეყვავილეს მე არ ვიცნობ ამ დათეხვილ და სუნიან ქალაქში.

გოგლიკო შეთოთავს, ქუჩას ეძებს, თუმცა ასჯერ მაინცაა ნამყოფი აქ. რა იპოვის, ყველაფერი ისე დაბრეცილად და მღვრიედ ახსოვს, როგორც უნდა ახსოვდეს. თხიბელი ამ ქალაქიდან არასოდეს წამოსულა და ძირითადად ახსენდება ელმირას ებოს მწვანე ჭიშკარი, მერმუნას ზაპროოფეცი რომ იდგა ქუჩის კუთხეში და მსგავსი ნაგლეჯები. ახმედოვის ქუჩა კი არა, ერთხელ სკოლაში ანკეგა ვერ შეავსო, მისამართის აღვილას „მესამე სართული“ დანერა.

ახლა კიდევ ახმედოვის ქუჩა, ჰატარა სახლი, უნდა დავიძახოთ და გამოვიდეს ვილაც ყურებდაჭეჭილი, ნაყვავილარი ჩია თათარი. ებოში შეგვიყვანოს და მოგყუება დაგვინყოს. მერე გოგლიკომ ან სასწორი უნდა წაართვას, ან ცოტათი შეაშინოს და რაღაც სისულელეები.

რა ვიცი.

როგორაა მონყობილი ეს ქვეყანა, ღმერთმა იცის. ვინ ვისთან მიდის, ვის ვინ სჭირდება. როგორ ჩამოვეკიდეთ და გადავებით ერთმანეთს ამდენი ხალხი ჩვენ-ჩვენი სურვილებით და საქმეებით.

— ულიცა ახმედოვა გდე? — ყეთს გოგლიკო ამოთხერილი „ძევიატკის“ ფანჯრიდან.

— ნათრაგო, ნალეგო, ჩერეს მოსთ, ჩერეს ულიცა ყიურბანოფ... — რას გაიგებ ამათ ჩიფჩიფს.

— თამ მილისია იესთ...

— ბობიშვილი ვიყო, — ნერვიულობს გოგლიკო, — თათარ ძაღლებზე ჩათლახები მარგო ქართველი ძაღლები არიან...

ბოლოს ვილაცა გვეუბნება:

— დრუგოი ქანეს, ფასილოლე, თამ სფროსიშ, თოჩნა სქაჟუთ... — მივდივართ. მშია და აღარ ვიცი, რა ვქნა. მშია, მწყურია. ხათრისა და ძმობის დედა ვატირე. ყიფიანის ხათრისა და ძმობისა. რანაირად ვართ ერთმანეთში, რატომ ვუკეთებთ ერთმანეთს ამას, არ ვიცი.

ბოლოს მივედით.

გოგლიკოს კიდევ ერთი რამე სცოდნია — ხის ჭიშკარია და ზედ თეთრად ხუთიანი აწერია.

— იოლი მისაგნებია, სიმონ, რა გინდა...

გოგლიკო გადავიდა. ღირსეული, ქურდული, თბილისური ნაბიჯით მივიდა ჭიშკართან და დასჭყვივლა:

— მიზან!

არავინ გამოსულა. არც გამოგვპასუხებია ვინმე.

— მიზან! — დაიძახა ისევ გოგლიკომ და სიგარეტს მოუკიდა.

მანქანიდან გადავედი და ჭიშკარს მივაღექე. ბინძური ეზო იყო, ქათმები მიდი-მოდიოდნენ დიდი ამბით და სახლიც — დაფახფახებული, ცალი ფანჯრით და რამე თათრული სარეცხით. რა ვიცი, ეგეთი სანაგვე ბევრი არ მინახავს.

— გონა ოქრო ექნება ჩაფლული ეგერ იმ ხის ძირში, — თქვა გოგლიკომ და ისევ დასჭყვივლა:

— მიზან!

კარი გაიღო და ორად მოკეცილი მოხუცი ქალი გამოფორთხდა, ბინძურ თავშალეებში გამობევეული შავი, შავი, დანაოჭებული. ნაღდი ქიმშიში.

ჯერ შორიდან დაგვიწყო ყურება და მერე წამოჩოჩდა ჭიშკრისკენ და ლობებე გადაკიდებულებს დაგვიწყო თვალიერება.

— მიზან, მიზან, — ამოიხავლა გოგლიკომ.

ბებერმა რაღაც გვანიშნა თითებით, შეგრიალდა და ისევ სახლისკენ წაჩოჩდა.

— მიდის, — ჩაიფერფლა გოგლიკო.

— სად წავა, — გავამხნევე მე და მიმოვიხედე. ასეთი ჩუმი, მყრალი და გახუნებული ადგილი არც მინახავს არასდროს. მანქანა კი ნესვში ჩავარდნილი ბრილიანტივითაა, როგორც გოგლიკომ აღნიშნა.

სახლის კარში ახლა ჭრელხალათიანი გასიებული თათრის ქალი გამოჩნდა. თვალები ძლივს უჩანდა წითელ სახეზე. ფეხზე იყო დამხობილი.

— ამას ვინ უწვება ლოგინში, მაგის დედა ვატირე, — ჩაილაპარაკა გოგლიკომ.

— მიზანა უწვება.

— მაგის დედა.. როგორ უწვება?

ქალმა ჭიშკარი გამოგლიჯა და გვარდიელივით ჩადგა შიგ. დიდი, ცალახიანი ფეხსაცმელი ეცვა და ძალიან ბრაზიანი ჩანდა. რამდენადაც ბარიგები მშიშრები და ფრთხილები არიან, მაგათი ქალები — ათჯერ ვირები და საზიზღრები.

— ჩიო ნადა?

— მიზანა დომა?

— ნეთ.

დაგვიბარაო, უთხრა გოგლიკომ.

— ნეთ.

მალე მოვაო?

— ნეთ.

სად წავიდა-მეთქი, ახლა მე ვკითხე.

— ჩიო ნადა?

და გოგლიკომ დაიწყო. მე არ ვიცი, როგორ ხერხდება ეგეთი რაღაც. როგორ უნდა შეკერო, როგორ უნდა შეახვიო, რა უნდა ელაპარაკო გამოქლიავებულ თათრის ქალს, რომელიც არ გიცნობს, არ გენდობა და თან აზრზე არ არის, დედამინა მრგვალია, ბრუნავს, არ ბრუნავს, და რა ვიცი, ათასი სისულელი.

თხუთმეტი წუთი ილაპარაკეს. თათრის ქალი წითელ ხალათში და წითელი სახით ისე ახითხითდა, რომ კინაღამ გული ამერია.

გოგლიკო ჩაჯდა.

— დაგვენძრა, — თქვა ბოლოს, — აქ აღარ იღება.

— რა ვქნათ? — აქ აღარ იღება. აქედან სოფელია, ათაქენდი, ერთი საათის გზა, რა. ამის ქმარია ის ნაბობარი. იქ იღება. ახლა ბაზარში იქნებაო, თუ მიუსწრებთ, წაიყვანეთ და ბარემ მოგცემთო. ბაზარშიაო, რა, ჩაიხანაშიაო, სალამოს წავაო. ძროხები გვეყავს იქ. ქალაქში ძროხა არ შეიძლებაო, მაგის ძროხებს გავარცყი. რა გვიქნა, ნახე. მაგას გამოვწვოვ შავ ჭიგარს, მაგის სუნიანი...

დავტრიალდი.

— ბენზინი უნდა ავიღოთ, გოგლიკ, ისე ვერ ვივლით.

— ჯერ ბაზარში გავიდეთ, სიმონ, ჯერ ბაზარში, თორემ წავა ეგ ჩათლახი...

— ბაზრის აზრზე ხარ?

— კი, ცო, საბამთროები მაქვს აღებული, მე და ვალგერამ საბამთრო ავიღეთ ერთხელ.

იმ ბაზარში ცხვრებისა და ჩირის გარდა, აღარაფერი იყო. სამ ჩაიხანაში შევიდა გოგლიკო და გამოვიდა აბურძენილი, კიდევ უფრო გამწვანებული და აღრენილი.

— წასულა.

ისევ დავქოქეთ. სანამ ეს მანქანა მყავს, ჩემი მოსვენება არ არის. სანამ არ შეჭამენ, შეხრავენ, დაამტვრევენ, დალენავენ და რამე, არ მომეშვებიან. დაჭრილი დათვივით ღმუის უკვე. თენგიზას ბენზინმაც ვერ გაამართლა მაინცდამაინც. „ვოლგა“ იოლია, ჩაასხი, იარე. ოხრად კი წვაფს, მაგრამ „ვოლგა“, რა.

მანქანას ხომ არ დავმაღავე. არადა, შოფრობა რომ მდომოდა... ეჰ, გოგლიკ, გოგლიკ, შე ძველო, შე ნერვიულო დეგენერატო. სულ შენ რომ გაგინებ გულში, არც იცი.

— გიუმ, გიუმ...

— ჰა?

— გამოქლიავებულია ეს ყიფიანი, სახელი მაინც სცოდნოდა.

— რა იყო?

— მიზანა არა, შავი, ნიზამა ჰქვია. გავშავდი იმ ქალთან, იმის დედასაც...

ვიცინი. მე კი ვიცი, რომ ყიფიანმა ნიზამა უთხრა, მაგრამ ახლა ამას ხომ ვერ დავაჯერებ. მაცის მოსმენა მაგან არ იცის და რამე.

— ლამე ვერ ვივლით, სიმონ, კომენდანტის საათია, თუ რაღაც საგანგებო ნაბიჯებია.

— რატომ?

— ომია თუ რაღაცა, ყარაბაღი, რამე, მაგათი დედა... კაროჩე, იმ ნიზამასთან დავრჩებით. მაგ ჩათლახს მოვწოვ თავისი ძროხების რძეს, რა გვიქნა, კაიფობ?

ერთი უშველვებელი პური ვიყიდეთ, ბინძური შადრევნიდან ვსვით წყალი და მუცლები ამოვივსეთ. არ იყო ქაბაბისა და რაღაცეების დროს. თან გამოვშტერდი ამდენი სიარულით. გოგლიკოს დასმაც არ მინდოდა, ბოლომდე არათფერი არ იცის წესიერად. თან უფერული, ბნელი ღლე იყო, აღრე ლამდებოდა და დავინწყეთ ბენზინის ძებნა. ყიფიანმა რომ თქვა, იქით ბენზინი არისო, არ ვიცი, ჩვენ კი გავწვალდით. ბოლოს გავაფსე ყველაფერი და სანამ იმ ათაქენდის თუ რაღაც ჯანდაბის გზას დავადექით, ჩამოვამდა კიდევ, ფეხები დამიბუჟდა ჯდომით. იმ ქარში და უბედურებაში დამცხა და გავგიჟდი. ნერვები სულ შეჭმული მაქვს. მაშინ დამენყო, შარშან ამ დროს. ყოველდღე, როგორც წესი, ვიკვებოდი საპირფარეოში და ვალეზინებდი. მერე თანდათან კი არც ვიცოდი, რა იყო. ბევრი ნამწვავები როა საფერფლეში, გული მერევა და რა ვიცი, ისეთი რაღაცეები, რასაც ვერც მოყვები.

იანა, იანა...

ბავშვობისას, როცა წიგნებს ვკითხულობდი, ყოველთვის მეგონა, რომ ამნაირი რამეები, თავგადასავლები, დაღლა, გაჭირვება, ნერვები, ქალის სიყვარული მოგონილი იყო. ძნელად მოსატყუებელი ბავშვი ვიყავი. ახლა რომ ვუყურებ, რაღაცეები ისე მართლდება, მიკვირს კიდევ. ოღონდ ვერ გავარკვიე, ეს მწერლები იგონებენ ასეთ რამეებს თუ კიდევ რაღაც სხვა ხდება.

— ქალი მომინდა, — ამბობს გოგლიკო. უცებ დავამუხრუჭე. კუდიანია რა, ნამდვილი კუდიანი. ისე, ქალებში აღარ დავდივარ. კაი ხანია. რა და როგორ, არ ვიცი, თან გული არ მიმდის თან, სულ რაღაცეებს ვფიქრობ. სექსემბერში ფეხი რომ ვიღრძე მთვრალმა და რომ დამახვია ნანამ ვიღაც ტრავმატოლოგები, ბოლოს მასაჟი დამინიშნეს, ვითომ კოჭი გაეჩვიოსო,

თუ რაღაც სულელური გერმინი თქვეს. ეშმაკის ფეხია ეს ნანა, გოგო მოიყვანა, ეს გაგიკეთებსო. მორჩილა იყო მოსული იმ დილით, „ნაიკები“ უნდოდა, კინალამ გაგიჟდა და იქვე ეტაკა, რუსი იყო, მართლა კარგი გოგო, ნანას სულ თვალეები უბრწყინავდა, ესაა და დაგავინყე ყველაფერიო. ეგონა, ის იყო მთავარი. ათი დღე მოდიოდა, მაგრამ ვერც დაველაპარაკე, არც მქონდა არანაირი სურვილი, არ შემიძლო, რა, ცხოველი ხომ არა ვარ.

ნანას კიდევ უხაროდა, ალბათ, ფიქრობდა, რა მშვენივრად გამომყავს მდგომარეობიდანო.

ჰაა-ჰა-ჰა-ჰა...

არ გამოვალ, არც მინდა და ვერც გამოვალ, თავიც რო მოვიკლა, ამ მდგომარეობიდან. მე უკეთესი არაფერი მაქვს.

...რაღაც საშინელი გზა იყო, თან ბნელოდა და მაგან დაგვლუბა, ალბათ. დაგვლუბა რა, ყველაფერი მაგით დაიწყო, თორემ ისე, მეცის ღირსები ვიყავით, მეც და გოგლიკოც, თუმცა, ყველაზე მეტად აჩიკო ყიფიანი და ჭორბენაძეები გადაირივნენ.

ეხლა დალაგებით მოვეყვები, რა იყო და როგორ. ბნელოდა უკვე, ერთი სამი სოფელი გავიარეთ. ყველგან ვკითხულობდით, ათაქენდში სწორად მივდივართ თუ არაო.

„ფრავილნა, ფრავილნაო“, — გვიყვიროდნენ. მერე ერთი სოფელი გავიარეთ, ჩაბნელებული, ჩასკმალული, ერთი-ორგან ენთო სინათლე. ვერ ვიკითხეთ, რა სოფელი იყო. მერე გზა ორად გაიყო, გავაჩრეთ და ბედზე, ვილაც ყურბანა ვნახეთ. იმასაც ვკითხეთ. იმან გვითხრა, რომ თუ მარცხნივ წავიდოდით, ნახევარ საათში იქ ვიქნებოდით, თუ მარჯვნივ — ოც წუთში. რა თქმა უნდა, ოცი წუთი მოგვინდა. გზა იყო საბიზლარი, ტალახი, წუმპე, არც იყო გზა რა, სოფლის გზა იყო, თან ბნელოდა და მივეყვებოდით ამ გზას. ერთი ორმოცი წუთი რომ ვიარეთ და ვერ გავარკვეეთ, სად ვიყავით, დავგვრივადით, უკან წამოვედი, ჩემი ჭკუით, რა თქმა უნდა.

შორი სინათლეები მენტო, მაგრამ ეტყობა, მაინც გამომეპარა რაღაც, თან გათიშული ვიყავი, თან აფსიხებული. კიდევ ვიარეთ, ერთი საათი მაინც. ვერ ვიპოვე ჩვენი გადასახვევი. ახლა ვხვდები, სულ სხვა მხარეს წავედი.

— დაიძინებდა ის ნაბობარი, ქათმებივით არიან, რა, — წუხდა გოგლიკო.

კინალამ გადავირიე. უკვე უაზროდ მივდიოდი. ვაჩრებდით ხოლმე და აქეთ-იქით ვიყურებოდი. ვათვალისწინებდით, ჩვენი ჭკუით. რას დაათვალისწინებ, ტყე, ბორცვი, ტალახი და

რა ვიცი. აღარც ის სოფლები ჩანდა, აღარც არაფერი. ოცით მივდიოდი. ეს ათაქენდიც უცნაურად ჩამეჭედა თავში, წარმოდგენილი მქონდა, როგორ შევიდოდი შელესილ კედლებს შორის, როგორ გამოვიდოდა ვიღაც ქონდრისკაცი და დავეგდებოდი დასაძინებლად. აღარაფერი არ მინდოდა სხვა.

გვარიანად რომ ვილოღეთ, სიგარეტი გაგვითავდა და გოგლივც შეწუხდა, ბოლოს და ბოლოს:

— დავიძინოთ და დილით მოვძებნოთ.

თურმე, პირველად და უკანასკნელად იყო მართალი ცხოვრებაში.

— მაიცა, ეგებ ვიპოვო, — ვუთხარი მე.

ერთხანს კიდევ ვიარეთ, გზა თითქმის სულ წაიშალა, მინდორზე თუ რაღაც ჭანდაბაზე მივდიოდი. ეგეთი არაფერი მინახავს. ფართოდ მოვუხვიე და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. რა ვიცი, ვარაუდით დავდიოდი, რა. სიჩქარე გადავრთე და უცებ გოგლივც იყვირა:

— მანქანა, სიმონ, მანქანა!

გავახერე. არც ვიცოდი, რა უნდა მექნა. მივსულიყავი თუ გავქცეოდი. ფული გვქონდა მაინც. ქართული ნომრები, ომი, რა ვიცი. ფარეხიც გამოვრთე. მაგრამ აშკარა იყო, მანქანამ შეგვნიშნა. ამიგომ აზრი აღარ ჰქონდა ამას.

— რა ვქნათ?

— რა ვიცი.

ათი საათი იყო, თერთმეტის წუთები. ჩვენებურად — არც ისე გვიან. გოგლივც ფულიანი პარკი ამოიღო და სადღაც უკან შეჩურთა.

— მივიდეთ, ვკითხოთ, ვინმე აქაური იქნება.

— სადაური? ორსაათნახევარია სოფელი არ შეგვხვედრია.

აზრი აღარ ჰქონდა. მანქანა თვითონ გვიახლოვდებოდა. ფარეხი ავანთე. „ვილისი“ იყო. ცხვირ-პირი სულ გალახიანი ჰქონდა. მივხვდი, არ იყო უბრალო მანქანა, არ იყო ის, გოგლივც რომ ეგონა. სადღაც მიდიოდა და ჩვენს დანახვაზე მოტრიალდა. არ იყო მეძროხე

თათრის მანქანა. უცებ დაველოქე და ღმუილით დავტრიალდი. ახლოს იყო უკვე და მივხვდი, გაუნვალდებოდი.

— რას შერები, რას შერები, — აყვირდა გოგლიკო.

უაზროდ გავექანდი. ბევრ რამეს ვეჭვობდი და ვუფრთხოდი უკვე.

გვიან იყო. საჭე გავასწორე თუ არა და სარკეს გავხედე — გვესროლეს.

ავტომატი იყო. გოგლიკო ჩაემხო და ვიფიქრე, რომ მოხვდა.

— გაექცი, მაგათი დედა! — იყვირა უცებ და გიჟივით დავანეჭი გამს.

ახლოს იყვნენ. თვითონაც მაგრად ქაჩავდა შობელძაღლი. ტალახის მანქანაა, რა. უცებ ისევ ისროლეს. ეტყობა, ბორბლებზე უნდოდათ გადატარება და ვერ მოარტყეს.

მუხრუჭს დავანეჭი. ახლაც არ ვიცი, რამ დამარტყა თავში და რატომ გაუჩერდი. ალბათ, იმიტომ, რომ გოგლიკო მეტდა, ალბათ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, საით გავრბოდი.

— გვბრიდავენ, — ვთქვი და სავარძელზე გადავნიჭი.

— დაგვენძრა, — წაიჩურჩულა გოგლიკომ და ქუდი ჩამოიფხატა თვალებზე.

არ ვიცოდი, საით გავექცეულიყავი, ეგ იყო.

თაჰი მასაჰი

ბავშვობიდან მოყოლებული, ერთი ასჯერ მაინც ვყოფილვარ მილიციის ხელში, მაგრამ არანაირი შიში და გართულება არ დამრჩენია. ხან ვჩხუბობდით, ხან სკოლას ვაცდენდით ან დანა გვექონდა ჭიბეში, ხან სხვენში ან ხევში ვისხედით და სიგარეტს ვწეოდით. გვიჭერდნენ, გვიშვებდნენ. მამაჩემი თვითონ არასდროს მოდიოდა ჩემი და გოგლიკოს ან სხვების გამოსახსნელად, ყოველთვის ვიღაც ძია რეკავდა მილიციის უფროსთან და უსიტყვოდ, ერთგვარი ბოღმით გვათავისუფლებდნენ.

სროლით არასდროს დაუუპატიმრებია ვინმეს. ან რა მქონდა სასროლი.

მანქანა დახვრეტილი იყო ალბათ, თუმცა უკანა შუშას არათფერი ეძინებოდა. ვისხედით და ველოდებოდით. მე ხან ყაჩაღები მეგონნენ, ხან მილიციელები. უკვე ვიცოდი, ვერც ათაქენდელ ნიზამას ვნახავდით და ვერც აჩიკო ყიფიანს გავახარებდით დღეს და ხვალ.

მანქანა შორიახლოს გაჩერდა. სინათლე პირდაპირ ზედ მოგვარჭო და წინა კარიდან ჯერ ავტომატიანი ხელი გამოჩნდა, მერე — ვილაც ქაჯურ ქურქში გამოხვეული ჯეელი. უკნიდანაც გადმოლაგდნენ ვილაცეები, ისინიც ავტომატებით.

— რუქი ფაღნიმი ი ვიხათი! — დაიძახა ერთ-ერთმა.

გადავლაგდით.

რა გინდათო, გოგლიკომ დაუძახა.

არც უბასუხიათ, პირდაპირ ჩხრეკა დაგვიწყეს. ორი ჩვენ გვეცა, ერთი მანქანაში შევარდა თავით. ამომილაგეს საბუთები, ცხვირსახოცი, სახლის გასაღები, იანას მწვანე ყელსახვევი, კიდეც რალაცეები. გოგლიკოს ასანთის ღერიც ვერ უპოვეს. ვინააო მკითხეს. მართვის მონშობა წაიღეს და დანარჩენი უკან შემომამჩიეს. ბენზინის ბალონები ამოალაგეს, აჯანჯლარეს და თავისი მანქანისკენ გააქანეს.

რა გინდათ-მეთქი, ვკითხე. შენ თვითონ რა გინდაო, ქართველი რომ ხარ, ეგ კიდეც არათფერს ნიშნავსო. ვერ გავიგე, რას აპირებდნენ. გავვიშვით-მეთქი, ვუთხარი. უნდა დავადგინოთ, ვინ ხართ და რას დაძრწინხართო. ამაზე გოგლიკო გადაიროია, რა თქვენი საქმეაო და ა.შ. აბა, ვისი საქმეაო, იმ ქურქიანმა გვითხრა. ეგყობოდა, ის იყო უფროსი თუ მეთაური, რა ვიცი. ყველაფერი კანონით იქნებაო, სამხედრო დროის კანონითო. რა გინდათ ჩვენს ტერიტორიაზეო, რას დაძრწინხართ ღამით, აკრძალვის საათებშიო. ათაქენდეს ვეძებო, ჯარის ძმაკაცი ცხოვრობს და იმის სანახავად მოვდივარ, გზა დამეხნა-მეთქი, დავაბრეხე.

ისეთი სიცილი ატეხეს, კინალამ დასკდნენ. ათაქენდში მიღიხარ, თუ ათაქენდიდან მოღიხარო, ამ უფროსმა.

მერე რალაც ილაპარაკეს ერთმანეთში და ეს გაბურძენილი მეთაური მომიბრუნდა, თქვენზე პატაკს დავენერ, უფროსობას ჩაგაბარებო და მერე რაც გინდათ, ის ქენით, მე არ ვიცი, რას დაძრწინხართ, ვინ გამოგვგზავნათ და რას აკეთებთო.

— ვის უნდა გამოვეგზავნე, შენი დედაც... — შეაგინა გოგლიკომ და უცებ ის ერთი აყვირდა, მანქანაში რომ იყო შემძვრალი თავით. იტიროს ახლა აჩიკო ყიფიანმა. ჩვენი

ცელოფანი გახსნეს, მისი ხუთთუქნიანები ამოალაგეს, კარგად დათვალეს, მერე ისევ გაახვიეს და იმ უფროსმა ჩაიღო ჭიბეში.

— მნე თვანიათნა, — მითხრა თანამგრძნობი ღიმილით. — ნო ია ვას დოლუჟენ ზაბრათ. თუთ ვაინა, ი ეთამუ ნე მესთა.

ეშმაკი ჩანდა, ფული უნდაო, გოგლიკომ მითხრა.

ორს მოგცემ-მეთქი, მე ვუთხარი.

გაეცინა.

— თი ნე ზნაემ ქედა ფაფალ, — მითხრა ხმადაბლა, — თი ნიჩევი ნე ზნაემ. ბილ ადინ ბი, ია ბი ათფუსთილ, ვიდიშ სქოლქო, ფიათ ჩელავექ.

რალაც მენიშნა, მარტო ეშმაკობა არ იყო, ისეთი ხმა ჰქონდა, არ ჩანდა ფულით განებივრებული ძაღლი.

სადა ვართ-მეთქი, ვკითხე.

— ნაგორნი ქარაბახ. შესთოი ქილლომეთრ. სევერნი თერითორიი, მოი ფათრულნი რაიონ.

ეს იყო და გოგლიკომ ისეთი დასტყვივლა, კინალამ გავეიჟდი. მოგვეხაზა. არც ვიცოდი, რა იყო, სად უნდა წავეყვანეთ, რა უნდა ექნათ.

წავედით რა, ეს უფროსი და კიდევ მეორე ჩვენ ჩაგვისხდნენ, დანარჩენები წინ გაგვიძღვნენ „ვილისით“.

გზაში ვლაპარაკობდით. გოგლიკოს ხმა არ ამოუღია, არც იმ მეორეს. მივხვდი, მაგარ შარში გავეკვეტეთ. რაზედაც არასდროს გვიფიქრია, იმას წაგანყდით ჩვენი სისულელის გამო. თვითონ ეს ბიჭი ჩვენი გოლი იყო, ოღონდ, ერთი ორმოცი წლისას ჰგავდა იმ სიბნელეში, უღვაშებით და რამე, ლეინტენანტი გამოდგა. ყოფილი მილიციელი, ეხლა აზერბაიჯანის არმიის საპატრულო სამსახურის თანამშრომელი. ყარაბაღელი თათარი, ფიზიკური ერქვა სახელად, ქართველები ჭიგრები ხართ, მაგრამ სომხებს როგორ უთმენთ, ვერ გავიგეო, მითხრა. ყარაბაღის ტერიტორიაზე ვიყავით უკვე და აქ რომ ომი იყო, კი ვიცოდი, მაგრამ ჩემი წარმოდგენა ომზე სასტუმრო „თბილისით“ და „ივერთბანკის“ სახურავით შემოიფარგლებოდა, მეტი არაფერი გამეგებოდა. აქ კიდევ, თურმე, ბათქაბუთქი არაფერი იყო სამხედრო კანონებთან შედარებით. მე ვუთხარი, ჩვენც „ბაევიკები“ ვართ-მეთქი და ის

სულელური საშვი ვაჩვენე. ქართულად იყო შედგენილი და ვერაფერი გაიგო. გოგლიკოს მედალიონი გამოვართვი და ისიც ვაჩვენე. ზვიადა ჩვენ გადმოვაგდეთ-მეთქი და რაღაც სისულელეები. თვითონ გოგლიკო ისეთი ნაშლილი იყო, ვერაფერს ამბობდა. თანჯარას მიშტერებოდა და დაბოლმილი ეწოდა იმათ უფილტრო სიგარეტს. თუმცა, ადრე ამგვარ შემთხვევებში ყოველთვის თვითონ ლაყობდა. ჭაბაბე მკითხა, მართლა ასეა და ასეო, მართლა ეგეთი მაგარია, ტელევიზორში როგორც ამბობენ რუსებიო? მე ვუთხარი, ყველა ქართველი „ბავეიკის“ მამაა, ხოლო გოგლიკოს ალალ ბიძად მოხვდება-მეთქი.

ერთი პირობა შემეშინდა, სადაც მივდიოდით, იქ ომი და რაღაც უბედურება არ დაგვხვდებოდა. გამამხნევა, აქეთ ომი არაა, ეს ზურგია, მხოლოდ სომხის დივერსანტებს თუ გამოვიჭერთ და დავახურდავებთ ჩექმებადო (ზუსტად ასე თქვა), ისე კი, ჭერჭერობით, სინყნარეაო.

აქვე უნდა ვთქვა, რომ მთელი ამ თავგადასავლიდან, თუ რაცაა, ერთადერთი ადგილის სახელი მახსოვს — ათაქენდი. ისიც იმიტომ, რომ ჩვენთან, რუსთავთანაა ერთი სოფელი თაბაქენდი, იქაც სულ ბარიგები ცხოვრობენ და მე და გოგლიკო იქაც ნამყოფები ვართ. სხვა გეოგრაფიული, თუ რა ჰქვია, პუნქტის სახელი შეიძლება, არასწორად ვთქვა, ამიგომ დიდ ბოდიშს ვიხდი. ისე, იქაური სახელები ენას დაგამტვრევს, თორემ კაითში, გადასარევი რამაა. მე დამემართა ერთხელ, ადრე. პლანი მოვნიე და „ვრემიას“ ვუყურებდი უაზროდ. ავლანეთიდან იყო რაღაც გადმოცემა და ეგეთი ქალაქის სახელი თქვეს — მაზარი შარიფ. თან ის დამთხვეული რუსი რაღაც საოცრად წარმოთქვამდა: „მაზარი შარიფ, მაზარი შარიფ...“ აღარ გაათავა, რა. ისეთი თერები დამიგრიადდა თავში, რომ ლამის ავფრინდი, თან სულ მიგრიადებდა — მაზარი შარიფ, მაზარი შარიფ...

მოკლედ, ყარაბაღში ვართ. ამ თვიზულამ თუ თვიზულამ თითქოს დამამშვიდა, მაგრამ თათრისას რას გაიგებ: გიცინის, გულში გაგინებს, გეფერება, შენი შეჭმა უნდა. ერთს ფიქრობს, მეორეს გეუბნება, მესამეს აკეთებს. ამიგომ დიდად დასამშვიდებელი არაფერია. ეს ჩვენი ფულიც ჭიბეში უდევს. ჩემი ბენზინიც წინა მანქანაში გადაიტანა. საბუთებსაც წამართმევს, თუ მოუნდა. ცინცხალი „აკაემი“ უდევს კალთაში და მანქანაც დამიცხრილა, რომ დასჭირდა.

ძალი იყო რა, მაინც. ეშმაკი, ალბათ, პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით გაზრდილობიანებული. იცოდა, ერთი გაუფრთხილებლობა ამ არეულობის დროს და რაღაცაში გაეხვეოდა. სომხები რომ ვყოფილიყავით, იცოცხლე, აგვხდიდა სკალპებს, გოგლიკოს ჟანგიან ეშვებს ჩამოიკიდებდა კისერზე. ისე, როგორც გოგლიკოს ეკიდა სკოლაში დათვის ბრწყალი, რომელსაც ზვიგენის კბილად ასაღებდა.

საშინელი გზები იყო, იმაზე უარესი, რაც აქამდე გამოვიარეთ. რაღაც ბორცვები, გორაკები, ერთი სამჯერ რაღაც საგუშაგო გავიარეთ. ყველგან შეუფერხებლად გავგატარეს. მერე მანქანებზე ჩამოვარდა სიგყვა. ჩვენთან შედარებით, მაგარი ლაგინოსები არიან. ყვითელი „მისტიორკა“ მყავსო, წინ დიდი პროჟექტორი გაუკეთეთ და რაღაც სისულელეები. სამანქანო გზაზე მალე გავედით, მაგრამ ისიც არ იყო დიდი გადასარევი. იგივე იყო თითქმის, მოხრეშილი და რამე.

გოგლიკოს გადავხედე ერთხელ და ეძინა, ეძინა მეორე თათარსაც.

ბოლო-ბოლო, რა გინდა-მეთქი, ვკითხე.

ფულიანი ხალხი ჩანხართო. ვნახოთ, უფროსი რას იტყვის და როგორო. წაიღე ეგ ფული და გავვიშვი, მივტრიალდებით-მეთქი. ფეხებზე დავიკიდე ყითიანიც და სხვებიც. რაც მთავარია, გოგლიკო. მაგრამ ვაგყობდი, იოლად არ იყო საქმე. ვგრძნობდი, რა. ეგ თათარი მომატყუებდა?

მეტი აღარც გვილაპარაკია.

ერთი თორმეტი საათი იქნებოდა, თუ მეტი არა, მოზრდილ საგუშაგოს მივადექით. ოცამდე კაცი იქნებოდა, ერთი „ბეტეერით“ და რაღაც ჭამკვდარი, „პაბედასავით“ ტანკით. იქ გავჩერდით ცოტა ხანს, რაღაც დასახლებაში შევდიოდით. ეს ფიზული გადავიდა და იმათ ელაპარაკა.

მერე ისევ დავიძარით.

წარწერა დავინახე გზაზე. ოღონდ რუსული ნაწილი წაეშალათ და ვერაფერი გავარკვეე, თუმცა მაგათი ასოებიც რაღაც რუსულს მიმსგავსებელი იყო. ყიზილ ბაზარ, მიზილ ბაზარ, რა ვიცი, ეშმაკმა იცის და მაგათმა თავმა.

მოკლედ, შევედით რაღაც თათრულ სოფელში თუ რაიცენცრში. მაგასაც ვერ გაიგებ. ბოვი სოფელი იმხელაა, ქალაქს ჰგავს. ორასი სული ცხოვრობს ერთ სახლში. უბედური ჭყაპი იყო. რაღაც სოციალისტური სახლები იდგა, ორ და სამსართულიანები. ყველაფერი რუხი ჩანდა. ღამის ბრალი იყო თუ რა, არ ვიცი. დღისით ვერ მოვახერხე ამ ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. რაღაც მოზრდილთან და უშველებელთან გავჩერდით. რაიკომის თუ რაღაც ამგვარის სამყოფელი იქნებოდა ადრე. იმაზე დიდი არაფერი იდგა ახლომახლო.

გოგლიკო გაუაღვიძე და გადავედით. აქ კი გაიქაჩა ჩვენი ბადრაგი. ფიზული და ერთი წინ ჩავვიდგნენ, დანარჩენები — უკან.

დიდი ამბით შეგვიყვანეს იმ შენობაში, რომლის წინაც, ასევე, ორი „ბეგერი“ იდგა და ავტომატიანი ხალხი ირეოდა.

— ძაღლობაში ვართ? — მკითხა გოგლიკომ და დაამთქნარა.

— სამხედრო შტაბში ვართ, ყარაბალში...

— ჩემი კარგი.. რა ვქნათ, სიმონ?

— ვეზბრე და მაყუთი უნდათ, ოღონდ უფროსს უნდა დავეზბროთ, ისაა მთავარი.

— აუ, ჩემი კარგი... გავგნენავენ, კურტკებსაც გავგზდიან, ყოფიანს გავარტყი გასიებულ... თუ მაგის... სად გამოგვაგზავენა.

— „ბაევიკები“ ვართ-მეთქი, ვუთხარი...

— ხო, აზრზე ვარ, „მხედრონი“ და რამე... „ბრავა“ წაიღო?

— არა.

მეორე სართულზე ავედით. რაღაც დიდი კაბინეტის მოსაცდელში შეგვიყვანეს. სამი ავტომატიანი თათარი იჯდა იქ, დომინოს ქვევითან. ერთი ჩვენი ყარაულიც მიუჯდა და გაახურეს ლანალუნი. ერთი ნახევარი საათი ვისხედით ასე, არც ვინმეს შემოუხედავს, არც უთქვამს რამე.

ფიზულიც იქვე იჯდა და თვლემდა.

მერე კაბინეტის კარი გაიღო და ვილაც გაბურძენილი, წვერიანი ფიზულები გამოლაგდნენ. ავტომატებით, ტყვიებით, ერთს ტყვიამფრქვევიც გაეღო მხარზე. აღვა ფიზული, ყველა გადაკოცნა, იხითხითეს რაღაც და მერე ისინი გავიდნენ, ეს კი იმ კაბინეტში შევიდა.

ცოცხანში ისევ გაიღო ის ტყავადაკრული კარი და ვილაც მოზრდილი ბიძა გამოვიდა. სამხედრო ფორმაზე ქურქი ჰქონდა წამოსხმული და ისეთი ახერული თვალები ჰქონდა, დახატული შაჰ აბაზი იყო. კინოდან გადმოსული, რა. ეს უღვაშიც... კინალამ გადავიხარხარე. ყველანი შლეგიანებით წამოცვივდნენ ფეხზე. ქვეები მიყარეს მაგიდაზე და რამე. მოკლედ, მაგათი პოლკოვნიკი იყო. დიდი ბენვის ქუდი მოექცია კეფაზე და ღიბიც გვარიანი დასდებოდა.

ჩვენ არ ავმდგარვართ, მაგის დედაც ვატირე.

თავზე წამოგვადგა და რაღაც უთხრა ფიზულის. მერე გოგლიკოს დააშტერდა და დონჩი შემოირცხა.

— ეთის დივერსანთავ ათპრავ ვ ქამერუ, უთრამ ფაგავარიმ, — ისე ახერულად თქვა, მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

დროს წელავდა. თან ჩვენს გასაგონად თქვა რუსულად, რომ მივმხვდარიყავით, რა უნდოდა და როგორ. მოკლედ, თავის გეგმაზე მიგვანიშნა — ვიყიდე, ვინცა ხართ და თქვენც იყიდეთ, მე ვინ ვარო.

— შენ მამასაც... — წაიბურცუნა გოგლიკომ.

— ქართული გვარდიის ოფიცერი ვარ, — ვუთხარი რუსულად, — ძმაუცის სანახავად ჩამოვედი და გზა დამეხნა. დეპუტა გაგზავნეთ თბილისში პირდაპირ კიტოვანის სახელზე, ის გეტყვით, ვინც ვართ.

მანქანის გასაღები მომეცით, მითხრა.

რა უნდა მექნა, მივეცი და ჩაიღო გულსუბიემი.

— შენი ბოზი დედაც, — წაიბურცუნა ისევ გოგლიკომ.

დილით ვილაპარაკებთო, გაიმეორა ისევ და გავიდა.

წამოგვეყარეს და გაგვიგდეს წინ. ფიზული გაგვიძღვა. ოღონდ, ხმა აღარ ამოუღია, არ გველაპარაკებოდა.

— ამ ჩათლახის ბრალია, ამის დედაც!.. — იღრიალა უცებ გოგლიკომ და ჩვენებური ქალაქური წიხლი ანია. ისეთი დააჯახა ხერხემალში ჩვენს ფიზულის, რომ პირდაპირ კიბებზე დააგორა.

დააგორა რა, ჩვენც მივეყვით, როგორც მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ ისე მწარედ მომხვდა კეფაში, რომ გონება დაგვარგე. კონდახები გვხიეს იმ ვირიშვილებმა და აზრზე რომ მოვედი, წიხლებს გვირცყამდნენ მუცელში და ცხვირ-პირში. თათრებს აცემინა ჩვენი თავი ამ ქლიავმა გოგლიკომ. ვიჟია, რა, სუფთა დარცმული. ძლივს წამოვდექი ფეხზე, ყველაფერი მტკიოდა. ამ სანყალს ცხვირ-პირი დაღეწილი ჰქონდა. სისხლი მოსდიოდა. მე სახეში არ მომხვედრია, არ მირცყამდნენ, ალბათ. გოგლიკო კიდევ წაშლილი იყო. იმ ფიზულისაც გატეხილი ჰქონდა ცხვირი. გოგლიკოს ცხვირსახოცი ავაფარე, გათიშული იყო, „მაგათი დედა, მაგათი დედაო“

— იმეორებდა. ძლივს იდგა ფეხზე. მუცელი მტკიოდა, ნეკნები და რა ვიცი, ყველაფერი. უცებ მოვწყდი, დაგდეხა და დაძინება მომინდა. მთელი ღლე საჭესთან. ვირი ვარ, რა.

სარდატში ჩაგვიყვანეს. სარდატი კი არა, უფრო სანყობი იყო. ცხედ გადაეკეთებინათ, თუმცა რა, ერთი საკანი იყო, მერე როგორც გავიგე. დანარჩენში თვითონ ეძინათ მაგათ ჟარისკაცებს და მძლოლებს. კიდევ, ალბათ, იარაღის სანყობი ჰქონდათ, მაგრამ ერთ ღამეში ვერ მოვასწარი მეტის გაგება. ისეთი სუნი იდგა, ნაიქცეოდი. მაგრამ ისე მტკიოდა ყველაფერი, სუნთქვა მიჭირდა. ამიგომ დიდად არ შევწუხებულვარ. რალაც კარი გააღეს და შეგვყარეს.

მხუტავი ნათურა და იქვე, ძირს მიგდებული ვილაც დავინახე. კარი ჩაგვიკეტეს და დავრჩით ასე. გოგლივო იქვე ჩაიკეცა და ვინება დაიწყო. ეგ იცოდა, რამე რომ სტკიოდა, იგინებოდა. და საერთოდ ვერ აატირებდი, რომ მოგეკლა, არ იტირებდა. არც ბავშვობისას მახსოვს ატირებული ან ასლუკუნებული და მერე, თუ სხვა არაფერი შეეძლო, იგინებოდა და მორჩა. რაც მე მიტირია...

ის კუთხეში მიგდებული კაცი თუ ვინც იყო, ნამოჯდა, თვალები მოიფშენიდა და შემოგვაჩერდა. ასე თვალმოჭუტული გვათვალთვლებდა ერთხანს იმ ნახევრადბნელში, სვერიანი იყო. ჭეჭვი და კოტიტა, მოკლე, მსხვილი თითები ჰქონდა და რალაც უაზრო, ლურჯ ქურთუკში იყო გამოხვეული.

— ჰაეს? — მკითხა ბოლოს და ისე გადავიხარხარე, რომ ტკივილისაგან ორად მოვიკეცე.

— გრუზინ? — მკითხა ცოცხათი შემცბარმა და ნამოდგა.

ოთხკუთხედი იყო, ჩემოდანივით, არც იქნებოდა ჩემოდანზე დიდი.

ჰო-მეთქი.

ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად. მეც ჩამოვართვი.

ბიზონის ხელი იყო. ცარიელი კუნთი.

რა თქმა უნდა, რაფიკა ერქვა. რა თქმა უნდა, დიდი ცხვირი ჰქონდა. რა თქმა უნდა, სომეხი იყო და, რა თქმა უნდა, „ბრატს“ მეძახდა.

რალაც დაჭყლეტილი სიგარეტი ამოაძვრინა. მე სანთებელა მოვძებნე და ჩავსხედით.

რუსული ძალიან კარგად იცოდა. აი ისე, სომხურად, ცოცხა პრეგენზიულად ლაპარაკობდა.

ვილაპარაკეთ, მე ჩემი ვუთხარი, იმან თავისი. ძირითადად, თათრებს ვაგინებდით. მაგრამ ჩემი და გოგლიკოს საქმე ბევრად უფრო კარგად იყო, ვიდრე მისი. ან დამხვრეგენ, ან აღაპში თუ სადღაც ჯანდაბაში გადამგზავნიან, რადგან ვერ ამალაპარაკესო. ისე თქვა, დამხვრეგენო, თითქოს წყალი დალია. გოგლიკომ ერთი გამოხედა თავისი კუთხიდან და წაიბურტყუნა:

— დავბრიდავ, ბოზიშვილი ვიყო, იმ შენს თათარს და მერე რაც უნდათ, ის მიქნან...

რაფიკა მზვერაჟი იყო. ამ დილით შემოსულიყო ქალაქში და სულ შემთხვევით დაექირათ. თათრულად თავისუფლად ლაპარაკობდა, თვითონაც ყარაბაღელი იყო, ოღონდ უფრო ქვემოდან, რაღაც სოფელიც კი მითხრა, ოღონდ დამაგინყდა. პროფესიონალი „ბაევიკი“ იყო, გამოცდილი, ეგეთი, რაც ყარაბაღის ამბავი დაიხყო, დღეს პირველი დღეა, უავტომატოდ რომ ვარო. თან ავღანელი იყო, მაგარი, რა. ნაღდი ნადირი. ისეთი რამეების მოყოლა დაიხყო, დამცენგრა.

— გაგცვალონ და ეგ იქნება, — ვუთხარი ისე, ვითომ გასამხნევებლად, თუმცა არათფერი არ სჭირდა ჩემი გასამხნევებელი, პირიქით, იქით მამხნევებდა.

— ჩვენ თურქებს ცყვეებს არ ვუცვლით, — მიპასუხა დაბოლმილი სიტყვით.

თურქებს ეძახდა თათრებს. ეგენი ბავშვებს ხოცავენო, დაამაგა ბოლოს. ის თეზულ-ჩათლახიც მაგას ამბობდა. სომხები ბავშვებს ხოცავენო. მოკლედ, ორივენი ხოცავდნენ საცოდავ შავტუხა ბავშვებს. მაგრამ მე არ ვიცოდი, რა იყო ეს ომი. არ ვიცოდი..

ისე, მაგარი ნაბეთქი კი იყო რაფიკა. მაგრამ ვითომ არათფერი. ეშმაკი იყო თუ სამხედრო საქმეში გამოცდილებით ამბობდა, ვერ გავიგე. აქედან გაქცევა თავისუფლად შეიძლებაო. სულ ზეპირად იცოდა ყველაფერი. ომი არ იციან წესიერად, ძალიან უგვინოები არიან თათრებო, ამისხნა. თურმე აქ, ზურგში, დიდი არათფერი არმია არ იდგა. ეს ადგილი ყველაფერს საკმაოდ იყო მოშორებული და თავსაც არავინ იკლავდა, მაგრამ ამ სომხების ამბავი ხომ იცი, თურმე დაადგეს თვალი და თეძობდნენ რაღაცეებს ამასთან დაკავშირებით. ამიტომ შემოვიდნენ ქალაქში რაფიკა და კიდევ მეორე მზვერაჟი, რომელიც ალბათ, ვერ შენიშნეს და როგორც შემოძვრა, ისევე გაძვრა ქალაქიდან.

საგუშავოებზე ხალხი ერთ ღროს იცვლება და თავისუფლად შეიძლება მაგის გამოყენებაო, რაფიკამ. თქვენ რომ გქონდეთ გასაქცევად საქმე, დილით სამშვიდობოს გაგიყვანდითო. სად გავქცეულიყავი, ჩემი გასაღები იმ პოლკოვნიკს ედო ჯიბეში. ეგებ მანქანა მაინც გადამერჩინა, ყიფიანის თულებს ვინლა ჩიოდა.

— გავიქცეთ, ჰა, — ამოიკნაულა გოგლივით. გაუტყეხელი დაიჭირა უცებ.

— სად გავიქცეთ, შე დავარდნილო, რა მივუყვანო თენგიზას მანქანის მაგივრად, ეს სომეხი? — შეველრინე მე.

— ნურიევთან ჰყავდით? — მკითხა რათეკამ.

ის პოლკოვნიკი გამოდგა ნურიევი.

— ავღანელია, — თქვა რათეკამ, — იქ მაიორი იყო, ვიცი, პოლიტბელის.

რათეკა მშვენივრად შემოვიდა ქალაქში, ყოველგვარი საგუშაგოს გავლის გარეშე. მისი აზრით, თუ აქ წესრიგია, აუცილებლად მოჩვენებითი, რადგან უძრავლესობას სძინავს და ვისაც არ სძინავს, ის პლანს ეწევა. „ტრაუკას“ ეძახდა პლანს. ოთხი საათისთვის კი, როდესაც საგუშაგოების შეცვლის სამზადისი დაიწყება, ისე აირევა ყველაფერი, რომ დათესვა იოლად შეიძლება, თუმცა ერთი-ორი კაცი შეიძლება, მოკვდეს და შენც დაიჭრაო.

იმდენს ლაპარაკობდა გაქცევაზე და ისე მონდომებით, რომ ჩანდა, ძალიან უნდოდა, რომ მეთქვა, რაც იყოს, იყოს, ჩვენც მივდივართ-მეთქი. პირდაპირ ვუთხარი, რა ვენა, ესეა და ესე, ნახევარი მილიონის საქონელი როგორ ვაჩუქო ამ ვირიშვილებს-მეთქი, ჩემი „ბაევიკობის“, გოგლივით ჯაბას ნათესავობის ამბავი მოვუყევი. იცინა, მომიწევს მარტოს ჩალიჩი, ცოცხალი ნაუქინოთ და მერე ვნახავო.

თუ ძმა ხარ. მეგონა, ტრაბახობდა. თურმე — არა. სპეცი იყო, ოსტატი.

მიწეწით, იქვე რაღაც ტანსაცმელი ეყარა. ჯარისკაცური ძველმანები. თავი დავდე თუ არა, დედა გამახსენდა. ხშირად, როცა მარტო ვიყავი და დასაძინებლად დავეგდებოდი, როცა არაფერზე ვფიქრობდი ხოლმე და საბანი მოუხერხებლად მეხურა, ასე მემართებოდა. მის სახეს ვერაფრით ვიგონებ, რადგან ოთხის ვხდებოდი, როცა მანქანამ გაიგანა საბურთალოზე და ძველი, შავ-თეთრი ფოტოებით შემეძლო რაღაცეების აღდგენა. მაგრამ ეგ არ იყო მთავარი, რაღაც უცნაური ჟრუანტელი მივლიდა ხოლმე, რადგან ერთადერთი, რაც მახსოვდა მასზე ფიქრისას, მკრთალი, ცისფერი შუქით განათებული ჩემი სანოლი ოთახი იყო. დედა მეჩურჩულებოდა, მე ვუყურებდი კედლებზე დაკიდულ დონაღლ დაკს და მიკვი მაუსს, მამაჩემის მიერ შეეიცარიდან ჩამოგანილ თოჭინებს. ვგრძნობდი დედის თითებს შუბლზე... ეს იყო და ეს. მეტი არაფერი მახსენდებოდა. მაგრამ ესეც ბევრი იყო, რადგან მეძინებოდა ყოველთვის ცხილად და რაც მთავარია, ძალიან ძალე. განსაკუთრებით, ბოლო წელიწადს, მართლაც, საოცრად მშველოდა ასეთი ფიქრი. დედა თითქოს ყოველთვის თვითონ მოდიოდა, როცა მიჭირდა, როცა არ ვიცოდი, რა მექნა...

გამაღვიდა იმან, რასაც არასდროს გავუღვიძებოვარ. თუმცა, ბოლო ზამთარს თბილისში სხვა არათუერი ხდებოდა.

ისროდნენ. ისეთი ბათქაბუთქი იყო, მეგონა, ჭერი დაგვენგროვდა თავზე. თან სულ ახლოს, ყურის ძირში. ცხვირპირდაჭმუჭნილი გოგლიკო პირდაღებული იჯდა, არ ვიცოდით, რა გვექნა. უცებ, რაღაც უბედურების სროლა დაიწყო. ჩვენი სარდაფი ისე აზანზარდა, რომ ლამის იატაკს გავეკარი. გავგიჟდი, რა. რა უნდა ქნა ასეთ დროს, ემშაკმა იცის. გოგლიკოც ჩემსავით დადებილებული ჩანდა, მაგრამ მისი იმედი უფრო მქონდა, ცოცხა აზრზე იყო ეგეთ რამეებში. თუმცა, რა აზრზე, ომი იყო გაქანებული და რა მოხდებოდა, ღმერთმა იცის. ვზივართ, რა. ჰო, მართლა, სულ დამაფინყდა, სინათლე გამოირთო და ჩემი სანთებელის იმედადლა ვიყავით. ჩამოვკრავდი, შევხედავდი გოგლიკოს დაბრეცილ სიფათს, მერე ისევ ვერაფერს ვხედავდი.

— ის სადაა? — მომესმა გოგლიკოს ხმა.

— რათუკ, სადა ხარ? — მომეცა რაღაცის იმედი. ასე უსუსურად არ მახსოვს, თავი რომ მეგრძნო.

ხითხითი მომესმა. წამოვდექი და სანთებელა ავანთე. ჩვენი სომეხი კართან ჩაკუბულიყო და ყური მიედო საკეტთან.

— ჩვენები არიან, — ძალიან ხალისიანი ხმა ჰქონდა. — ოღონდ, ვინ და რა, არ ვიცი.

და დაიწყო იმის ჩამოთვლა, თუ რას ისროდნენ. საკმაოდ ბევრი ხალხი ისვრისო, დაასკვნა ბოლოს და სულ ახლოს, ზედ ყურთან მომესმა მისი ხმა.

— ჰა, გაერბივართ?

მიუხედავად ამგვარი არეულობისა, ჩვენთვის მაინც დარჩენა ჯობდა. მანქანა, გასაღები და ფული ამათ ჰქონდათ.

— ის უნდა დავბრიდო, — თქვა უცებ გოგლიკომ.

— თუ ძმა ხარ, — ისევ ამეხნა თავგზა.

— ასეთ დროს ყოველთვის გაქცევა ჯობს, — თქვა რათუკამ. ეგონა, ამ საკითხს ვწყვეტდით. თუმცა, მე და გოგლიკო არასდროს არათუერს ვწყვეტდით, მე ვწყვეტი და გოგლიკოს თუ სხვანაირად უნდოდა, დამეღრიჯებოდა და ისე ვაკეთებდი, როგორც ეგ მოისურვებდა. მთლად ყურის ძირში ისროდნენ უკვე.

— ამათ დედას ვუტირებ, — ჩაახველა რათუკამ, — თქვენც გაგიყვანთ, მერე რაც გინდათ, ის ჰქენით.

გასაღები, გასაღები.

ძალიან მენანებოდა მანქანა. ძალიან. აქედან რომ გავსულიყავი, იმ ახვარ პოლკოვნიკს სადღა ვიპოვიდი, არადა, რა სულელივით ჩავაბარე გასაღები. არ მინდოდა, ვეცემეთ და ისე წაერთმიათ. საშინლად მტკიოდა თერღები.

— რათუკ, — ვუთხარი, — შენ გაიქეცი. ჩვენ აქ დავრჩებით. ძალიან ბევრი მართებთ ჩვენს.

— ჩემი უფრო მეტი მართებთ, — ხმადაბლა თქვა.

ამ დროს გოგლიკოს ხმაც მოისმა:

— მე მაგის ბოზ დედას...

— კარგი, — თქვა ბოლოს რათუკამ, — მესმის... ჩვენ ძმები ვართ.

რა ჩემი ძმა იყო, კლიენტი იყო, რა, ერთ კამერაში ვისხედით. მაგრამ მაგათ, ბაევიკებს, ცოცხა სხვა წარმოდგენები აქვთ: ყველაფერი — გაღრმავებული, რაღაცნაირად გამარტივებული.

— უნდა მომეხმაროთ, ძმაო... — და ახსნა დაგვიწყო.

სროლა, აშკარად, შენობაში მიდიოდა. გოგლიკო ისევ იგინებოდა. რათუკა კარს ეცა და ღრიალი დაიწყო:

— დაჭრილი ვარ, ქართველი ვარ, დაჭრილი ვარ, გვიშველეთ, დაჭრილი ვარ!!!

მე იატაკზე დავვედე. გოგლიკო კართან აიტუზა. სიბნელე გეშველოდა, რა, თორემ ისე, რა ჩემი თეხები. შემოყოფდა თათარი ლულას და ერთს გადაგვატარებდა. მორჩა და გათავდა. ისე, ეს რათუკა ძალიან კი იქაჩებოდა, მაგრამ გეგმა სულელური ჰქონდა. მისი ჭკუით, ბევრს იყვინებდა, თათრები ყურადღებას მიაქცევდნენ, კარს გააღებდნენ და დანარჩენს თვითონ მოაგვარებდა გოგლიკოს მცირე შეშინებით.

ზღაპარი იყო. ვის ეცალა ჩვენთვის. თავისი გასაჭირი ჰქონდათ იმ თათრებს. ახლა ქართველმა წარკომანმა თეხი იღრძო, ვინ მოგარდებოდა. თან, ვის უნდა დავეჭერთ, ვერ

დავადგინე. ყოველ შემთხვევაში, სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და ეყვირა, უამრავი დარდი მქონდა მაგის გარდა.

ეს ახლა ყვეები ამდენ ხანს, თორემ ის სროლაც და მთელი ამბავიც, დიდი-დიდი, ოც-ოცდახუთ წუთს გრძელდებოდა.

— გვიშველეთ! ტყვე ვარ!

ან ხმა როგორ არ ჩაუნყდა. ზედ ჩვენს სარდატში გაისმა სროლა და რალაც უაზრო ღრიალი. ზემოდანაც მოდიოდა ბათქაბუთქი, ოლონდ, უფრო ყრუდ. რომ ვთქვა, სროლა შემცირდა და კანტიკუნტი იყო-მეთქი, ტყუილი იქნება. ოლონდ, მომეჩვენა, რომ ახლა უფრო გამიზნულად ისროდნენ. თან სიბნელე იქნებოდა ყველგან. მოკლედ, ომში მოვეყვი, თანაც — უიარალოდ. ეს დანყვევლილი გასაღებიც ნერვებს მიშლიდა, თორემ რა უნდოდა, აქედან გავაღწევდით, დაჭექი და გასრიალდი. ჩემი ბენზინიც იმ დამპლებს ჰქონდათ. მოკლედ, აქ უნდა ვმჭდარიყავი და მეცადა. თან, ეს სომხები რას აპირებდნენ, ვერ გავიგე. უკვე წარმოდგენილი მქონდა, როგორ დაატყვევებდნენ ფიბული-ნაბიჭვარს და იმ პოლკოვნიკს, ფათახით თუ რალაც ჭანდაბით რომ დააბოტებდა დერეფანში; როგორ წავართმევდი ყველაფერს, როგორ გავრეცხავდი მანქანას, როგორ...

გოგლიკო ისევ გაახურებდა, ათაქენდი, ათაქენდიო. იქაც გავივლიდით, მოვძებნიდით იმ გამოქლიავებულ მიზანა-ნიზამას, ავილებდით ასაღებს და გამოვწევდით... ეს, რა თქმა უნდა, თუ თავდამსხმელები სომხები იყვნენ და ჩახოცავდნენ ამათ. მაგრამ ესენიც ბევრნი იყვნენ. მოკლედ, გაგებაში არ ვიყავი, ომი რა იყო. თურმე რა ყოფილა და რა სისულელეებს ვფიქრობდი. რის სომხები მოუგებენ, რა სომხები მოუგებენ და საერთოდ. ეგრეც ვერ გავიგე, ომში მოგებული და წაგებული ვინაა. რუსებმა გერმანიას ომი მოუგესო და მოგებული ვინც ჩანს, ყველასთვის გასაგებია.

ისევ ღრიალებდა და აბრაახუნებდა ეს ჩვენი რაფიკა.

არ ჩანდა არავინ. მე კიდევ თბილისი გამახსენდა.

— სივარეგი მაინც იყოს, — თქვა უცებ გოგლიკომ.

და დამიგრიალდაა... იქ გავიდეთ, აქ გამოვიდეთ, ბენზინი აილე? მე ავილე... მხეცი „უზი“ აქვს, სტეჩკინი აქვს; კრემისფერი „მერსედესი“; მაგარი გასაღები; მაგის ბოზი დედა... აღარ გათავდა, რა. არ გათავდება, ალბათ, არასდროს. წყნეთში ავიდეთ, ეკასთან ავიდეთ, მაკასთან ავიდეთ, მიკი რურკი სულ ნაბობრებს თამაშობს... არ მინდა, რა, არ მინდა. ველარ გაიგეთ, თქვენც გაგარტყით, ყველას. ყველას, ყველას, ყველას...

ამ დროს იყო სწორედ. ამ დროს იყო და მთელი ეს ამბავი მაქედან წამოვიდა. ვილაც მოადგა კარებს და რაღაც დაიყვირა. მე ვერ გავიგე, რა. თურმე სომხური იყო. აქედან უბასუხა იოგებდამწყდარმა რაფიკამ. მერე დაგვიყვირა მე და გოგლიკოს, უფრო კი — მე, იმიტომ რომ, გოგლიკო უკვე კედელთან იდგა კარის გვერდით, გაიწიო, აქეთ დადევითო.

მიუხვდი — კლიტეს ესროლა იქიდან ვილაც სომეხი და არ ვიცი, რა დამემართა, ისეთი ვიღრიალე, ალბათ, მსროლელიც გაგიჟდა გარეთ.

— რა იყო სიმონ, გიუმ? — შეშინებული ხმა ჰქონდა გოგლიკოს.

— ამათი დედა... ამათი დედა... — ვიყვირე მე. ახლა რომ ვფიქრობ, უკეთესი იყო, მეყვირა, აჩიკო ყითიანის დედა, თქვენი ყველას დედა-მეთქი. თქვენს დანგრეულ ქალაქს დავაფხი-მეთქი, უნდა მეყვირა, თქვე მათხოვრებო, თქვე გათხოვილი ნაბიჭვრებო-მეთქი.

არ ვიყვირე. თუმცა, უკვე აღარ მინდოდა არც მანქანა, არც სახლი, არც არაფერი. მთელი დღის ნათმენი ამოვუშვი უცებ. მთელი წლის ნათმენი. რაფიკამ კუთხეში მიმაგდო და რაღაც დაუყვირა გარედან მომდგარ სომეხს.

იმან იქედან ესროლა საკეცს. საშინელი ხმა ჰქონდა. წივილი გაუვიდა ისეთი, რომ გამაჟრჟოლა. მერე წიხლი ჰკრეს კარს და რაც გავარჩიე, ეგ იყო, რომ რაფიკა ვილაცას გადაეხვია და ატყდა ერთი ხორხოცი. ოთხნი იყვნენ, ისინიც პატარები, წვერებში და ჩვენებური, გვარდიული ნაქსოვი ქუდებიც ეხურათ, მე მგონი.

— რას იზამთ? — მკითხა უცებ რაფიკამ.

ერთმანეთს ვერ ვხედავდით ხეირიანად.

— რა ვქნათ, გოგლიკ? — ვკითხე უაბროდ. მე სულელი, მისგან ველოდი პასუხს.

— კამერაში ვიჭდეთ, მაგის დედა ვატირე? — მკითხა მოულოდნელად.

— ნავედით, — ვუთხარი რაფიკას. უკვე ავტომატი ეჭირა ხელში.

სროლა ისევ ისმოდა. სიბნელე იყო.

— მე მომეთარეთ, ჩვენ მოგვეთარეთ, — თქვა რაფიკამ და გავედით. ოსტატები კი იყვნენ, ნაღდი ოსტატები. ნაცნობი კიბე ისე ამოვიარეთ, კაცი არ შეგვხვებოდა. ერთი ვილაც იდგა კიბის თავში, იმასაც რაღაც უთხრეს და წამოგვეყვა. მკვდრებს და დაჭრილებს, თუ რაღაც

ჯანდაბას კი ვამჩნევდი ჰოლში, მაგრამ არ მიცდია, არც მქონია სურვილი მაგათი თვალიერების. სომხები რალაცეებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს და გარბი-გამორბოდნენ.

რა უნდა გამეგო.

გამომყევითო, რაფიკამ და კიდევ მეორემ. მთავარი შესასვლელისკენ ნავედით. გარეთ დიდი არეულობა იყო, სომხები მანქანებს ეფარებოდნენ, კანტიკუნტად უშენდნენ ფანჯრებს. შიგნითაც მიდიოდა სროლა. ალყა ჰქონდათ, რა, დარცმული. ავტობუსთან ჩავიმალეთ. ვილაცამ ხელი გამოუწოდა რაფიკას. რაფიკამაც დაურცყა. ერთმანეთს გადაულაპარაკეს რალაც.

უცებ ვილაცამ შეჰყვირა.

— მიდი, გაიქეცი, მანქანაში ადი, — მითხრა რაფიკამ.

ისე მითხრა, არც დავფიქრებულვარ, რა მითხრა. რა მანქანაში, რომელ მანქანაში. ეგრევე ნაკუბული გავიქეცი. ვიცი, თბილისი მეზობლებოდა, მაგრამ მაშინ ხომ არ ვფიქრობდი ამაზე, თუმცა, რა ვიცი, ალბათ, მქონდა რალაც. „ვილისს“ ამოთარებულმა ჩემი მანქანა დავინახე... „ძევიატკა“, გლეხები რომ ამბობენ ხოლმე, ჩემი „ტაოტიანი ძევიატკა“. აღარც იყო მანქანა... აღარც იყო. ალბათ, მაგასაც ეფარებოდნენ. ისინი კი ზემოდან უშენდნენ. იმ ნახევრადბნელში რაც დავინახე, ეგ იყო, შუშა აღარ ჰქონდა მთელი.

მოდო, მოდიო, ვილაც სომეხი მიყვიროდა. კიდევ გავირბინე ცოცა. რა ყოფილა იმ ყინვაში, ომი და რამე. რალაც მუქ მანქანაში შემავლეს. სომხები გამორბოდნენ შენობიდან. გავრბოდით, რა, საქმე გააკეთეს და გავრბოდით.

უცებ დამარცყა თავში.

— გოგლიკ! — ვიყვირე, — გოგლიკ!

არ იყო. არ იყო.

— გოგლიკ! — დავიღრიალე ისევ.

მანქანიდან მინდოდა გადახტომა, მაგრამ ვილაცამ მკლავზე ნამავლო ხელი.

— არ გადახვიდე, — მითხრა უცნობმა სომეხმა.

ხელი გამიშვი-მეთქი, ვუყვირე, ძმაკაცია-მეთქი.

ამ დროს დაიძრა ჩვენი მანქანაც.

— გოგლიკ! — ვიყვირე ისევ.

თავი მოთხა

მე ის ვიცი, რომ არათფერი არ ვიცი, არათფერი არ ვიცი ქვეყანაზე. მე ის ვიცი, რომ იმით ვცხოვრობ, რასაც არათფერი ჰქვია. მივდივარ, მოვდივარ, სავარძელში ვავდივარ, სივარეცს ვწევი და ვლაცობ. ამას გელევიზორში დინჯად მოაბდაუბდე ბოლო დროს წვერმოშვებული ძიები ყოველდღიურ მონოტონურობას თუ რალაც ჯანდაბას ეძახიან. ღმერთმა იცის, ეგ რა არის. მე კიდევ ერთი რამე ჩამეჭედა გვინში. თან არ ვიცი, რისი ბრალია, ამ ბოლო დღის ამბები, თუ საერთოდ, მთლიანად ყველაფრის. მოკლედ, კარგად ვარ. თითქოს მეშინია ამაზე ფიქრისა, ამის ხმადალლა თქმისა, მაგრამ სწორედ ეს ჩამეჭედა გვინში. კარგად ვარ.

გარშემო სიჩუმის, უფრო სწორად, ისეთი ხმებია, რომლებიც უფრო განწყნარებს, ვიდრე სიჩუმე. აი, მყუდროების ხმები. ძველებურ, ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე ვწევარ. თავქვეშ მაგარი ჭრელი ბალიში მიღევს და ჭერს შევცქერნი. არ მახსოვს, როდის ვიყავი ბოლოს ასე ან თუ ვიყავი, საერთოდ. ახლა, აქ მყოფი, ვფიქრობ და მიკვირს, არასდროს არსად მარტო არ ვყოფილვარ; მხოლოდ სახლში, მხოლოდ ღამის თორმეტი საათიდან დღის თორმეტი საათამდე. არადა, ალბათ, ბევრჯერ ჯობდა მარტო ყოფნა.

ჯობდა, რა, ნაღდად ჯობდა. სხვა რომ არათფერი იყოს, დაჯდები და დაფიქრდები, რალაცას მიხვდები, რალაცას გაიგებ. უფრო მოგეწონება ვინმე ან რამე. აბა, მთელი დღე რომ იბოდილალებ ან სადმე ხარ ჩამჯდარი, ძმებში და რამე, გვინი რომ გაქვს გალაცებული და მძიმე-მძიმედ რომ აღიხარ ჩაბნელებულ სადარბაზოს კიბეზე, რალა უნდა იფიქრო, რალამ უნდა დაგაინტერესოს. ძან, ძან ერთმანეთისთვის ვართ ყველანი და რალაც უაზროდ ვართ ერთმანეთისთვის. ერთადერთი, ალბათ, რაც გვაკავშირებს ერთმანეთთან, ბავშვობაა და იმისიც აღარათფერი გვახსოვს. არ მახსოვს, ოდესმე ბავშვობა გავგეხსენებინოს, რამე ღამეში გავგეხსენებინოს პაგარაობიდან. თუმცა, ახლა ვფიქრობ — თითქმის არათფერი არ გვექონია ისეთი, რომ კაცი გაახალისოს, და რამე. ისე უკუღმართად გვაკეთებინებდნენ ყველაფერს, რომ კიდევ კარგები ვიყავით. სკოლაზე იდიოტური რამე ამ ბოლშევიკებს, თუ რა ჰქვიათ, არ მოუგონიათ. ერთადერთი, ალბათ, რაც დღემდე აძლებინებს, ისაა, რომ იქ მოსიარულე ბიჭებს და გოგონებს ჯერ კიდევ აქვთ რალაცის სიყვარული, რალაცეები კიდევ, რაც ერთმანეთთან აკავშირებთ. ეგაა და ეგ, თორემ, აბა, მასწავლებელს... ეეჰ, ეგეთი იდიოტური წესები არსად არაა. თან რეებს მოიგონებენ ხოლმე. ერთხელ, მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიყავით და რალაც შემოიღეს, დიდი დასვენება, თუ რალაც ჯანდაბა. გადმონერგეს, რა. სულ არ

ნერგავდნენ რალაცეებს? მაგრამ ნორმალურად რა ვადმოუნერგავთ. მოკლედ, მოიგონეს: დიდ დასვენებაზე, დასვენებისა და ბუფეტსა და საპირფარეშოებში ზრიალის მაგივრად, ყველანი ებოში უნდა გავიდეთ და გამამხნეველები ვარჯიშები უნდა ვაკეთოთ. იდიოტები, რა, არაკაცი ვიყო. მაშინ რას მივხვდებოდი, ვაჟკაცობა და კაი ტიპობა იყო, რომ არ დაემორჩილებოდი და რამე. სწორიც იყო, მე თუ მკითხავთ. მოკლედ, შუადღისას ნახევარი საათი, მთელი სკოლა უნდა გამოყარონ იმ ბინძურ ებოში და გამამხნეველები თუ რალაც შიზოიდური უნდა აკეთებინონ. ფიზკულტურის მასწავლებელი გვყავდა ერთი, ძველი ოღრაში და აფერისტი, ექვსი ცოლი მარტო ჩვენი სკოლის მასწავლებლებში ჰყავდა გამოცვლილი, ნარიმანა ერქვა. დადგებოდა შუა ებოში და დაინწყებდა:

— განმკლავი, ზემკლავი და ა.შ.

საპირფარეშოებიდან ძალით გვყრიდნენ და ამიტომ სხვენში ვიმალებოდი ხოლმე, უფროსკლასელებთან ერთად. მთელმა კლასმა მაშინ დავინწყეთ სიგარეტის მოწევა. გაჯანსაღება უნდოდათ და პირიქით გამოუვიდათ. დებილები იყვნენ, რა.

აბა, რა უნდა მოიგონო?

მაგრამ მაინც. მარტო ყოფნა, რა ვიცი, საჭიროა, რა. ვგრძნობ, რომ საჭიროა. რალაც ხომ უნდა უთხრა შენს თავს. ხომ უნდა დაფიქრდე. პირველი დღეა, მარტო რომ ვარ და ხეირიანად არც ვიცი, რა უნდა გავაკეთო, თუმცა მშვიდად ვარ. ეგ კი მთავარია. არათფერი არ გიშლის ხელს აზროვნებაში, შენს გემოზე ყოფნაში, აი, ეგაა ალბათ სიმშვიდე. თუმცა მარტო ყოფნა არცაა, ალბათ, აუცილებელი თუ...

არ მინდა. არ მინდა, თორემ დავინწყებ ისევ, და არათფერი არ მომიწდება, არც ეს სიმშვიდე და ლამაზი მარტობა, არც არათფერი.

ჩემს თავთან თანჯარაა. რომ ვავიღვიძე, დიდხანს ვიყურებოდი იქედან და ალბათ ამან უფრო დამამშვიდა. თოვლიანი ბორცვების მეტი არათფერი ჩანს. მათ შორის ვინრო, ცალახიანი გზაა. სამხედრო მანქანები გადი-გამოდინან ამ გზაზე და ეგაა და ეგ. მამალი ყვის სადღაც ახლოს და იქვე, კარს იქიდან ხმადაბალი სომხური ლაპარაკი ისმის. ხის სახლია, ხის ჭერი და რამე, სიცივეცაა, შპალერიც დამსკდარი და დახეულია, მინებიც ზანზარებს, როცა ქარი წამოუბერავს ხოლმე. მორყეულ მაგიდაზე ბლომად რალაცეები ყრია, ქალღღებები, რუკები, წიგნები. ჭიქები და ბოთლები, რა თქმა უნდა. კედელზე დიდი სურათია, ვიღაც ძველი სომხის გენერლისა. აი, მაგარებლებში რომ „ბონიემის“ და სტალინის ფოტოებს ყიდდნენ ადრე, დაახლოებით იმ დონისა. მხოლოდ ორდენები და ღილები აქვს გაფერადებული და ულვაშებზე გადაჰკრავს სილურჯე.

რაცაა ეგაა. ჯერჯერობით კარგად ვარ, კარგი გამომძინებელი ვარ და სივარეტიც რომ მქონდეს, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

გუშინდელი ამბებიც ჩემი ბედია. მე სხვანაირად არ ვიცი, როგორაა. ბედია და მორჩა. თუ ბედი არაა, ჩემს ხელში არ იქნებოდა? არ გამოვიდოდი იმ სუნიანი სლოტადან და მორჩა. მაგრამ ეგეთი ვარ, როგორც ნანა ამბობს, მიმნდობი და გულუბრყვილო. ცხოვრებაში პირველად ვიყნოსე დენთი. ახლა რომ ვფიქრობ, კიდევ კარგ ჯეკუბე ვიყავი გუშინ. იმ ბათქაბუთქში სულ დამავინყდა ის სუნი, ცყვია-ნამლის, თუ რაც ჰქვია, ახლაც არ გამომდის ნესტოებიდან. შეისუნთქავ და თითქოს ისევ იქა ვარ. ჯემპრსაც კი რაღაც უსიამოვნო სუნი ასდის.

ასეა თუ ისე, ალბათ, მინდოდა, თორემ ვიქნებოდი ახლა თათრის ცყვეობაში და ამომართმევდა სულს ის წუნურაქი პოლკოვნიკი, თუ გადარჩა ცოცხალი, რა თქმა უნდა. გზაში კი მაგრად ვინერვიულე, ლამის დავაქციე ტირილით და ისტერიკებით იქაურობა გოგლივოს გამო. მერე ერთი სომეხი მომიბრუნდა და მითხრა, თუ ძმა ხარ, დაჭრილი წუხდება და გაჩერდიო. მეც გაჩერდი, მაგრამ ლამის გავგიჟდი, დავიბოღმე, ვავიბერე და აუძველებიჭდი, რაღაცეებს ვეუბნებოდი იმ ავტომატიან ჯეელებს. ჯეკუბე არ ვიყავი, რა. თან უკვე წარმოვიდგინე დახვრეტილი გოგლივო და რამე. ეს წარმოდგენები დამლუპავს. სულ მაგათ გამო ვაკეთებ ისეთ რამეებს, რისიც მერე მრცხვენია. ახლაც ვიცი, რომ გვერდით ოთახში ის სომეხები სხედან, მტურში რომ გასწიეს და მე წამომიყვანეს. სხედან, მასლაათობენ და ეწევიან, მაგრამ ვერ გავდივარ, მრცხვენია, გუშინ რომ ვყვიროდი.

მით უმეტეს, რომ აქ როცა ჩამოვედი, ერთ-ერთმა მითხრა, შენი ძმაკაცი იქ დარჩა და მე დავინახე, უკან როგორ ჩაბრუნდაო. არ ვიცი, შეიძლება, ცყუილიცაა, გოგლივო ხომ ცნობილი დეგენერაცია, რამე ისეთი რომ მოსვლოდა თავში... მაგრამ არა, მაგან იცის ეგეთ რამეებში გარკვევა, ნაძალარია ეგეთ რამეებში და სწორად მოიქცა, რა. მე კიდევ ჩემი გასიებული თავის გამო... მაინც ვგოყდები, როგორ არ გადმოვხტი მანქანიდან, როგორ დავტოვე იქ. მაგრამ ჩემი ბრალი არაა, მით უმეტეს, გოგლივოსი. ყველაფრის ბრალია, ყველაფრის. იმის, არაფერი რომ არ ვიცი, იმის, ცხოვრება რომ აღარ შემიძლია იმ დანყვევლილ, დანგრეულ ქალაქში, იმის, იანა რომ დავკარგე, ყველაფერი რომ დავკარგე. სუსტი ვარ რა, ცხოვრების გაგებაში არა ვარ. ოღონდ ერთი რამე ვიცი, რაღაცა უნდა შეიცვალოს. ბოლომდე უნდა შეიცვალოს რაღაცა, თუ არა და რა ვიცი, ვეგდები ალბათ მთელი ცხოვრება სავარძელში და აუშვებ რგოლებს ჭერში. ამაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ნაღდად ამიგომ გამოვეყვი ამ სომეხებს. ახლა სადა ვარ, არ ვიცი; სად წავალ, არ ვიცი; რა დამარცყამს თავში, არ ვიცი. მაგრამ კარგად ვარ, მშვიდად. სიწყნარეა და იმიტომ, არავინ რეკავს და იმიტომ, არავის ვახსოვარ და იმიტომ.

ისე, ეს რაფიკა აქ დიდი ვილაცა ყოფილა, მეთაურივით, რა. მთელი ის სროლა და წენვა მაგის გამო ყოფილა აწეული. უნდა გამოეხსნათ და რამე. თან მარტო გამოხსნა არა, რალაცეებიც თან უნდა გამოეყოლებინათ, თურმე. მოკლედ, მიენგრიათ იქაურობა და წამოსულიყვნენ. არა და, თურმე ძნელი იყო. მერე ყვებოდნენ, ორი მხრიდან შემოვედითო, გუშაგები ჩუმაღ აწიეთო, ელექტრო რალაცეები გავაფუჭეთო. მე და გოგლიკოს რომ დიდი საგუშაგო გამოგვატარეს, მაგათ რომ ჰკითხო, ერთიანად გაუყუყუათ. მანდ იყო მთავარი ძალებიო. მოკლედ, ერთი ორასი კაცი იყო, ლამის მთელი სასომხეთის „ბავეიკობა“ იქ იყო. ბლომად რაკეტები წამოვიღეთო, „რაცია“ და რა ვიცი. მაგათ ტრაბახს არ ჰქონდა ბოლო. თუმცა, რა მესმის, ეგება მართლა ძნელი იყო.

ტრაბახი და ეგეთი რამეები რომ გამახსენდება, შიშში ვვარდები, თბილისი მახსენდება.

ბოლოს და ბოლოს, გავედი იქეთ ოთახში.

ხუთი კაცი იჯდა. სამხედრო ფორმებში, წვერებში, შავეები. შავეები კი არა, უფრო მტვრისფერები იყვნენ. ეგეთი ფერი აქვთ სომხებს და კიდევ — დარდიანი თვალები.

მოკლედ, „შტაბნი ხატაში“ მოვხვდი. რაფიკაც იქ იყო. წამოდგა და გადაძკოცნა. ცოტა ქაჯურად გამოუვიდა. რა გეგმები გაქვსო. ესენი ჩემი ძმები არიან და ამათთან ყველაფერის თქმა შეიძლებაო. რა გეგმები უნდა მქონდეს-მეთქი.

— შენ თუ წასვლა გეჩქარება, სამი დღის მერე გაგიშვებ, მანამდე არ მოხერხდება არაფრით, თორემ დღესვე წახვიდოდიო.

მერე ჩემი მანქანა მოიკითხა დიდი სითბოთი. რა გვაქვს ამ კავკასიელებს ეს გართულება მანქანებზე. მშობლებზე, სისხლზე და მანქანებზე. ვერ გამოვიდა ისე, როგორც შენ გინდოდაო, მაგრამ რა ვქნათო, აქ ომიო... რალაც კონსერვი ვჭამეთ. სიგარეტი მომცეს და გარეთ გამოვედი. სადა ვარ, რას ვაკეთებ.

მოკლედ, კარგა დიდი სოფელი იყო, მაგრამ ხალხი — ძალიან ცოტა. უფორმო ახალგაზრდა იქ არ მინახავს.

თენგიზა მიქატაძე წარმოვიდგინე, პიკეტზე რომ დგას ავტომატით. ყველაფერი თუ არ გავამახსრეთ, ხომ დავიხოცებით. რა უნდა, რას ფიქრობს. ნეტავ მეტი რამე ვიცოდლე.

ამდენი „ბეტერი“ და სამხედრო მანქანა ერთად არასდროს მინახავს.

ამდენი ავტომატიანი სომეხიც არ მინახავს.

ნაცემი ადგილები მგვიოდა და გარეთ დიდხანს ვერ გავძელი. შემოვედი და ისევ დავნექი. რაფიკას ერთი ძმაკაცი თუ ხელქვეითი, არმიკა თუ რალაც ეგეთი, შემოვიდა და მაგიდასთან დაჯდა. ნელ-ნელა დამიწყო გვინის გალაყება სომეხი ხალხის ტვიფილიანი თავგადასავლით. არ მაინტერესებდა. ან არ იყო საინტერესო. მთელი ისტორია ასე გამოდიოდა — სომეხებს ხოცავდნენ, სომეხები კი ეკლესიებს აშენებდნენ და გარშემო ტერიტორიებზე კულტურას ავრცელებდნენ. ბევრს ეცადა, მაგრამ ვერათრით გამოხახა მაგათზე კულტურული და მეომარი ხალხი. ოღონდ ვერ გავიგე, თუ ეგეთი მეომარი ხალხი იყო, ყველა რატომ იპყრობდა და ხოცავდა, ან რა იყვნენ ამისთანა, რომ ხოცეს და ვერ დახოცეს. იძახა და იძახა: „აგ მორია და მორია ვიყავით“. ბათუმიც კი მიიერთა. შენი იყოს-მეთქი, ვუთხარი. ყველაფერი თქვენი იყოს და მერე აშენეთ ეკლესიები და სასტუმროები ტუფით-მეთქი. სერიოზულად მიპასუხა, ვერე მოგვინევს, ალბათო.

ჰო, მართლა, ის უღვაშებიანი ძია, კედელზე რომ გამოეკრათ დიდი ამბით, ვილაც ანდრანიკი ყოფილა. მასზეც მომიყვა რალაცეებს, მაგრამ არ ვუსმენდი. მოკლედ, მახოლებდა, რა.

ჩემთვის კიდევ სულ ერთი იყო. ჩემსას ვფიქრობდი.

რალაც წიგნი ვიპოვე მაგიდაზე, „საბჭოთა კავშირისსაავტომობილო გზების აგლასი“. დაუწყე ფურცვლა და აბერბაიჯანსაც მივადექი ბოლო-ბოლო. კიროვაბადი ვიპოვე და დაუწყე ძებნა იმ ტიალ ათაქენდს. რალაც სხვა ქენდი ვიპოვე, მაგრამ ძალიან შორს იყო. მერე ჩამოვეყვი დაბლა და მიფხვდი, სადაც დამებნა გზა. ეშმაკსაც დაეხეოდა, თან იმ სიბნელეში. მერე ყარაბახის საზღვარს მივადექი, რალაც თათრული პუნქტები იყო. იმ ფიზულში, ალბათ, ერთ-ერთ იმათგანში მიმიყვანა.

მერე ესენი მოცვივდნენ და გამაქანეს სადლაც.

— რა ჰქვია ამ სოფელს? — იმ არმიკას ვკითხე.

— რად გინდა. მე გეცოდი, მაგრამ რად გინდა?

დარცმული იყო, რა. ვითომ საიდუმლოებას ინახავდა, რა. რაფიკას ვკითხავდი და მეცოდა. დიდი რამე. ამათი ტილიანი სოფელი, თავის ბორცვებზე შემოლაგებული ქვემეხებიანად, სულ ფეხებზე მეკიდა. ეგ იყო, კარგად ვიყავი, მშვიდად. რუკას გავაყოლე თვალი. არათფერი იყო აღნიშნული, ერთი ლენინაკანი და მეორეც მარდაკერტი. ეგ იყო და ეგ, მაგრამ მაგ სიშორეს ვერ წავიდლოდი. უფრო აქეთ ვიყავი სადლაც. თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა. სულ არ მაინტერესებდა ეგ გეოგრაფია.

დღეს და ხვალ არა, მაგრამ ზევ ნანა უკვე ნერვიულობას დაიწყებდა; ჯერ დარეკავდა, მერე მოვიდოდა, ვერ მნახავდა, მერე ერთ დღეს კიდევ მოითმენდა და ბოლოს თენგიზს ეტყოდა. ამიტომ რაღაცის გაკეთება მინდოდა, რაღაცით მინდოდა, მიმენვდინა ხმა. არა, ხვალის კი არათუ ვიცოდი, ისე ვიყავი, თბილისში კი არა საზღვარზე ვერ გადამიყვანდი, მაგრამ რაღაც, „მაგვიანდებსავით“ უნდა მიმენვდინა. რაფიკას ვუთხარი.

დაფიქრდა. ძალიან, ძალიან. წერილი დაწერე და ორ კვირაში ჩააღწევსო, მითხრა. მაგრამ მერე რაღაც მოითქრა და დეპრესიის ტექსტი დამიწერე, რაღაცას მოგიხერხებო. ძალიან მპატრონობდა, ვითომ უფროსი ძმა იყო და რამე, ისეთი ეჭირა, რა. რაინდული. ვაცურს აწვებოდა. სერიოზული იყო და საქმიანი. თან ძმობაში მიწვევდა, რა. ვითომ, რაღაც სისულელე იყო, ქართველებმა მაგარი ძმობა იციანო. თავს მაჩვენებდა, რა. არა, ისე უშიშარი კი იყო, მაგრამ გასარკვევია, უშიშარი რომ ხარ, კარგია თუ ცუდი. მორჩილაც უშიშარია, მაგრამ ძალის ემინია. საერთოდ, ძალიან ბნელი რამეა ეგ შიშის თუ უშიშობის ამბავი.

რა ვიცი, რა ვიცი. ამასობაში დაბნელდა კიდევ. ვარეთ მთელი ლოკაცია-დისლოკაცია გრიალებდა: მანქანების მიდი-მოდი, ყარაულის შეცვლა, მთელი ამბავი. ის არმიკა რომ არ შემომჭროდა, გადასარევად ვიყავი, მაგრამ მერე იმასთან ჯდომას, იქეთ გასვლა ვარჩიე.

მეორე ოთახში ღუმელი იდგა. ნავთზე თუ რაღაც სისულელეზე მუშაობდა, მაგრამ ათბობდა. რაღაც საოცარი შეგრძნება იყო. ავტომატები კედელთან მიყრილი, ეს მაგათი ქურქები, ერთმანეთზე დაწყობილი, სიგარეტის კვამლი და მოგუდული ხმადაბალი ლაპარაკი, რომლისაც არათუ ვიხსენებდი. შევედი თუ არა, დაბალი უბურგო სკამი მომანოდეს. პირდაპირ ღუმელთან მოვხვდი და თითები ავათამაშე თუნუქზე. ოთხეცრებში ვიჯექი. უმრავლესობა, თურმე, ყარაბაღელი სომხები იყვნენ. დანარჩენები კი იქედან, ნაღდი სომხეთიდან. თურმე, მაგათ შორისაც განსხვავებაა, როგორც ჩვენს იმერლებსა და რამე. არცის ბოთლი დატრიალდა, მეც დავლიე ცოცა, და ამათ ლაპარაკი დამიწყეს. პოლიტიკაზე მკითხებოდნენ. ჩვენი აინტერესებდათ ყველაფერი, შენ როგორ ფიქრობო, გამძლე მთავრობა დაგიჭდათ და ასეთები. ვბოდილობდი რაღაცას, რა ვიცოდი ან ამ მთავრობის ან იმის. ამათ კიდევ მთელი თეორიები ჰქონდათ. შეჭმულები იყვნენ ამ პოლიტიკით. ეტყობა, ყველა ასეა ახლა, ყველა თუ არა, ბევრი. მაგრამ, რა, მაგ პოლიტიკამ გადარევა იცის, ძალიან უცბად შერევეს ხალხი პოლიტიკაში. ერთი იმბეცილი კურსელი მყავდა, აი, ეგეთ რამეებში გარეული. რომ დაიწყო ეს მიტინგები და რამე, დროშა დაიბნია გულზე და წვერი მოუშვა. სულ დარბოდა იმ აქციებზე თუ რაღაც სისულელეებზე ვიღაც გახუნიებულ ტაპებთან ერთად. მერე აიტეხა, კომკავშირიდან უნდა გავიდეთ. ეგ ადრე იყო, ცხრა აპრილამდე, მაგრამ ახურებდნენ მაგაზე მაშინ. სულ თითით აჩვენებდნენ არათორმალეებზე და ვიღაც გაბურძენილ ტიპებზე. მოკლედ, გავიდა კომკავშირიდან, რაც დავამთავრეთ, ერთი ასჯერ ვნახე ზემელზე.

გაზეთებს ყიდდა. კედელს იყო მიყრდნობილი საცოდავად, თითქოს დაპატარავებული და ნაცემი. „ექსპრეს ინტორმ, ექსპრეს ინტორმო“, ყვიროდა. რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. თაშიშმს ვებრძვიო. თობიციში იყო, რა. ახლაც, ალბათ, ცოტას დაისვენებს და გავა რომელიმე პარტიიდან, თუ არის სადმე შეკვეცებული.

გადარიეს ხალხი და დაიკიდეს ფეხებზე. ეს სომხებიც მეცოდებიან, აბა, დაჯექი აქ და რა ჭკუაზე დადგები, ვნახოთ. თუმცა, მე რა, მე კარგად ვარ, უცხოელი სტუმარივით. ავდგები და გავალ გვერდით თთახში. ნამოვნვები ჭრელ ტახტზე, ნავითარებ ჭრელ საბანს და ვიქნები წყნარად, წყნარად. ვიცი, ისე შშივლად დამეძინება, რომ გადასარევე სიზმარს ვნახავ. ფერადს, ლამაზს, ვინ იცის, ეგებ... ვესტერნებშია ხოლმე ჭრელ-ჭრელი თცნებები კოცონის პირას ან მთვარიან ღამით სალუნის აივანზე. ამ დროს მუსიკა შედის და ისტვედს ან ვინმე სხვას, საოცრად მეტყველი თვალები უხდება. რას ნატრობენ ეგ თიცარივით კოლტისტები? სიმშივლეს, ნორმალურ ცხოვრებას, ქალს, ერთგულ ქალს გვერდით. მარტოხელა კოვბოი ვარ, რა. ცოტა მიკულია.

სომხები უშველებელ კარტოთილებს აწყობენ ღუმელზე. მალალ, შებრანულ პურს ჭრიან სქელ ნატრებად და ვილაცას ისევ შემოაქვს მწვანე, ლიტრიანი ბოთლი. ვილაც შემოდის. რადისტი ვილაცას უკავშირდება თთახის მეორე ბოლოში, განუნყვეტლივ იმეორებს რალაც ძალიან ღამაზ სიტყვას.

გარეთ ქარია, არ თოვს. თანჯრებზე რალაც ძალიან სქელი ტილოებია ჩამოთარებული, თუმცა, იქეთ თთახში არც თარდება, არც არათერი. სახლი, სადაც ამათი შგაბია, ალბათ, აღრე რამე სასოთლო დანესებულება იყო. იქეთ კიდევია რალაც თთახები. ოლონდ, რატომღაც ცარიელია, ერთი-ორ კაცს სძინავს იქ და მორჩა. იქვე, გვერდით, დაჭრილები ჰყავთ. ერთი მელოტი ექიმი და ძალიან მოხუცი კაცი უვლიან. ალბათ, მაგიტომია, რომ ის თთახები ცარიელია. დაჭრილებისთვის აქეთ, რა.

კანიანად შემწვარი კარტოთილის სუნი დვას ირგვლივ. ერთ ცალს ვიღებ და თავს ვათცქვნი. სქელთითება სომეხი მარილს მიყრის ზედ და ორთქლი მცემს ცხვირში. იქეთ არაყი, აქეთ ეს. ჩაიდანი ღუღს. სომხები თავისი გამარჯვებისას სვამენ, ყარაბალის რესპუბლიკისას და ყველა სომხისა და ქრისტიანის კარგად ყოფნისას. ჭიქას ვწევ, გულში მეცინება — სად გადმოვიკარგე. ჩემი კარგად ყოფნისას ვსვამ, თუმცა ვიცი, არც ერთი სადღევრძელო არ შველის საქმეს და ერთმანეთს არ აყვარებს ხალხს. ამათ ჰვონიათ, მათი ყარაბალის გამო ჩავიპირქვავე ჭიქა პირში და ხელს მიტყაპუნებენ მხარზე. ჩემთვის უცნობი ჭალარა კაცი შემოდის, მასაც თორმა აცვია და ცხვირი ისეთი აქვს, ლიხის ქედს ჩახდის. გაუპარსავი, ნამძინარევი სახე. ყველა რალაც სიტყვით ეგებება. ისიც ითვრებს, მე ხელს მართმევს და რალაცას ამბობს.

— ბილიარდს თამაშობ? — მეკითხება ვართანა, სათვალისანი სერიოზული ბიჭი.

გამეცინა.

— კი, ვთამაშობ.

— მაშინ ამას ვთამაშე, თორემ შეგვჭამს.

თურმე ბილიარდიც ჰქონიათ. გრიალებენ, რა, ოღონდ ხელობა აქვთ ცოცხალი.

ისე მედიდურად გავიციე, უნდა მეთამაშა, თუმცა დიდი მობილიარდე და მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ. სკოლიდან თუ ავიკრიფებოდი და წავიდოდი მუშაში ან მთანმინდაზე, ეგ იყო და ეგ, ვაკის პარკშიც იყო ერთ დროს საბილიარდო, მაგრამ მერე მიხურეს. მუშაშიც მიხურავთ. საერთოდ, ძალიან ებრძვიან ეგეთ რაღაცეებს, გეგონება, რამე ისეთი იყოს. მოკლედ, გავედით და ეს ვართანა და რაფიკა გამოგვეყენნ. დერეფნის ბოლოში რაღაც ოთახი იყო, უფრო — საკუჭნაო თუ საწყობი. ერთიანად რაღაც ყუთებითა და ცომრებით გამოცენილი. სწორედ იქ ედგათ მაგიდა, თუ მაგიდა ეთქმოდა იმ საცოდაობას. მაუდი, ალბათ, ერთ დროს მწვანე იყო, სულ დალაქავებული, გახუნებული და ჭუჭყიანი. ბურთულები (სულ ხუთი ცალი) — დამსხვრეული, დაჭრილი, ჩაქუჩად ნახმარი; კიეები გადაჭრილი, ცყვიაგამოცლილი და დაღუნული. მოკლედ, არც იყო იქ არაფერი სათამაშო, მკლავსაც ვერ გაშლიდი ხეირიანად. არც თამაშობდა თურმე არავინ, როგორც გავიგე, ამ ხნიერი მებრძოლის გარდა. ჩაიკეცებოდა აქ და საათობით უჭახუნებდა. რა სიამოვნებდა, ვერ გავიგე, უფრო სწორად, მაშინ არ ვიცოდი.

დავინწყეთ. მართალი იქნება, თუ ვიცევი, რომ მე გავშალე და მერე იმ ცხვირამ დაარცყა ორჯერ. ხუთივე ჩაყარა ორ დარცმეში. მერე ისევ დავინწყე და ისევ დაამთავრა. გასაგიჟებლად მოუხერხებელი დასარცმელი იყო, როგორ აბზრიალებდა ამ საშინელ ბურთებს აუტანლად მძიმე მაგიდაზე, ვერ გავიგე. მესამე ხელი თვითონ დაიწყო და დაამთავრა, დავიხოცეთ სიცილით, თვითონ კი ძალიან სერიოზული იყო, უჭახუნებდა და უჭახუნებდა. ორთქლმავალივით დაჩიქიქებდა ის ბურთები, მაგრამ რა გინდა, ცვიოდა, მერე რაღაც ფიცარი ვადო მაგიდაზე და ზემოდან ახტუნებდა ბურთებს, ხუთივეს ურცყამდა ერთმანეთს და იყო ერთ ამბავში. ისეთი კმაყოფილი, ანთებული თუ რაღაც ცეცხლმოკიდებული სახე ჰქონდა, რომ ვერ წარმოიდგენდი, თუ ვაცს შეიძლებოდა, ასე გახარებოდა რამე. ჩვენ გამოვედით, რა აბრი ჰქონდა იქ დგომას, რაღაც ფხვნილების სუნიც ისე მილიტინებდა ცხვირში, რომ აღარ შეიძლებოდა გაჩერება. ის დარჩა. შლეგიანი მოთამაშე. დერეფანშიც მესმოდა ქვების რახუნი. მაინც ვერ გავიგე, რატომ დამიძახა, თუ თამაშს არ დამაცდიდა. ეცყობა, მემარიაჟებოდა, რა, ეგენი ხომ ასე მარიაჟობენ თავიანთი რაღაცეებით,

რომ პირდაპირ შეგშურდება. ისე გეცყვიან, აი, ჩემი განაუვლი ნახეო, რომ მართლა რაღაც განსაკუთრებული რამე გეგონება.

გამოვედით, რა. ისევ იმ დიდ ოთახში შეგბრუნდით, სადაც უკვე დომინოს უსხდნენ. ამ დომინოს კულტი აქვთ პირდაპირ, ისე ითვლიან და ისე ფიქრობენ, ჭადრაკი გეგონება.

— კარგი მოთამაშეა, — ვუთხარი ვართანას.

— ჰო, კარგი. ეგეც ყარაბაღელია. მასეთი მოთამაშე ბევრი არ მოიძებნება...

ახურებდა, რა. ჩვეულებრივი კარგი ოსტატი იყო.

— მარკიორია. მთელი ცხოვრება მაგიდასთან აქვს გატარებული და მეტი არაფერი იცის ქვეყანაზე, — ვართანამ სივარეცს მოუკიდა, მაგრამ ბიჭი მოუკლეს და იმიტომაა აქ. ჩვენთან იყო მაგის ბიჭი და მოკლეს. მერე ესეც მოვიდა. მომარაგებაშია, არც სროლა იცის და არც არაფერი. თამაშობს და სულ თავის ბიჭზე ლაპარაკობს... მაგიდა რომ ნახა, კინალამ გაგიჟდა...

უკვე აღარ ვუსმენდი. იმ სანყალ მარკიორზე ვფიქრობდი. ცხოვრობდა წყნარი კაცი თავისთვის, უჭახუნებდა თეთრ ბურთებს, სტეფანაკერტში თუ სადღაც სხვა კანტორაში და აურიეს ცხოვრება.

რა გინდა, რომ ქნა, სხვები წყვეტენ შენს ბედს. ის კიდევ, რაც გიყვარს, უნდა დაივიწყო და ამოიგდო. მაგარი რამეა, რა.

ეგ კიდევ არაფერი. ჩვენთან რომ არ მოიგონებენ, ისეთი რაა. ჩვენს უბანში ერთი გოგო ცხოვრობდა, პატარა, ლამაზი გოგო. დიდი თვალებით, ბავშვური სახით. აი, რომ არიან, სულ რაღაც ბავშვური რომ აქვთ ქცევებში. კარგი ოჯახის შვილი იყო და რამე. მამამისი — ბულკი, მაგრამ კარგად ჰქონდა მაყუთი. დედა, მიხვდებით, ალბათ, როგორიც, თავი რომ რაღაც ჰკონიათ, რა. „ვოლგით“ დადიოდა. მაგარი „სვოი“ ეჭირა უბნის ბიჭებთან. ცოცხალი ფულის სესხება და არდაბრუნება ან დაგვიანება მოდიოდა.

ახლა არ მინდოდა ამ გოგოს სახელის თქმა, მაგრამ მაინც გეცყვით. ცანცუკას ეძახდნენ და ისე რა ერქვა, რა ვიცი. ძალიან კარგი გოგო იყო, თუმცა, ალბათ, ბუნებით იყო ეგეთი, თორემ ის რას გაზრდიდა.

მოკლედ, რომ მოეწყო, ერთი ბიჭი დადიოდა მაგასთან, ისიც ჩვენი უბნელი. ნიჭიერი და რამე, ძალიან კარგი ბიჭი იყო. რა ვიცი, ნორმალური და რამე, ყველასთან ლამაზად იქცეოდა და ყველას უყვარდა. თან ღადო იყო, ჭივარი.

დადილდნენ ეგ და ცანცუკა, ამას უყვარდა და ცანცუკაც ეხუტებოდა. ქეიფი არ გაუმაზიათ და ეგეთი რამეები. ოლონდ ამ ბიჭს მამა სულ არ ყავდა და დედა და ბებია ორივენი მასწავლებლები იყვნენ. მოკლედ, არ იყო, „სვეცკი“, მაინც გლეხიო, აქა-იქ ამბობდნენ. გლეხი კი არა, ჭიგარი იყო. მაშინ, ყოველ შემთხვევაში.

ადგნენ და წაიყვანეს ცანცუკა. სალამოს, შარაფიდან, გააპარეს. ძალიან შეშინებული იყო, თურმე, მაგრამ რა, მაინც გოგო იყო, რაღაცას ეტყოდი და წამოვიდოდა. ეგრეც წაიყვანეს სადღაც, კახეთში. იქ პანიკები აინია!!! ნაშუალამევს წამოგვყარეს და აგვრეკეს ცანცუკას დედასთან. მამამისი არ გამოსულა. ეგეთი იყო. არ ყვიროდა და რამე. მიშველეთ, მიშველეთო, ჩემი გოგო მომიყვანეთო, დედამისი კიოდა. ჩვენგან რა უნდოდა, ვერ გავიგე, რომელი იმის ძმაკაცები ჩვენ ვიყავით. ერთი ორასი სული ირეოდა სახლში. იყო რეკვა და მთელი ამბავი. ბიკოლები და რამე. ძველი ბიჭი ბიძები, ვიღაც ქურდები, პროკურორები, მთელი ქალაქის „ესესი“ იყო.

კარგი წყვილი იყო, მეცოდებოდნენ. მაგრამ არ უნდოდათ, რა. ისეთი უნდოდათ, მაყუთა, წყნარი ან მილიონერის ან აკადემიკოსის შვილი. გასაგები თამაში იყო, ყველა ღელავდა და ანგრევედა იქაურობას, არ გვინდა მაგ მათხოვრების გაბრდილიო. გოგლიკომ დაიძინა ამათ სამზარეულოში. ძლივს წამოვაგდეთ და წამოვედით, თან სულ ვიგინებოდით, ჩვენგან რა უნდოდათ, ეგრეც ვერ გავიგეთო.

მოკლედ, გააშორეს. ვიღაც ნაბობარმა დაქალმა გაყიდა და დილით დაადგნენ და წამოიყვანეს; ისტერიკებით და რამე. კომმარი იყო, ალბათ. მე რაც გამეგება, ეგეთი საზიზღრობები... ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი დარდი მაქვს, ჩემი და იანასი, მაგრამ რა, ასეა აწყობილი ამ ქალაქის ცხოვრება, ან სად მოიგონეს ხალხის გაუბედურების და დაშლის ეგეთი მანქანა, ან როგორ მოახერხეს, ან რა გახდა... რა ვიცი, რა ვიცი.

გააშორეს, რა.

ცანცუკა თურმე სულ ბენრებს ვლექდა კბილებით. აღარ ლაპარაკობდა და რამე. ვიძიორებს, რა, ყველას ეგრე ემართება მაინც. მაგრამ ეშმაკურადაა მოგონილი: აცლიან, ეფერებიან, ავინყებენ. ეგ პირველი ვაცი იყო ცანცუკასთვის. სულ არათერზე არ ფიქრობენ, რა, თავისას ფიქრობენ. თავისას ისწორებენ. ასე გზრდით, ისე გზრდითო და რამე. სამაგიერო გვინდაო, თუ ძმა ხარ.

ისე, მაგარი იყო ეს ცანცუკას დედა. მაინც გაათხოვა, როგორც უნდოდა. ვიღაც ბათუმელი მილიონერის შვილს გაატანა. იმ ბიჭს რას ვერჩი, წაიყვანა, რა. იმან რა უნდა ქნას. ვინ არ წაიყვანდა ცანცუკას, ანგელოზით ბავშვი იყო. მაგრამ ეს დედამისი იმას ჩალიჩობდა,

ვითომ მაგათ არათფერი არ ჰქონიათ ერთმანეთში, ვითომ იმან ძალით წაიყვანა და ისე დააბრუნეს, რომ თითიც არ დაუდია. კომმარი რა, თბილის-ქალაქური კომმარი. მერე მოსკოვში გააქანა სანყალი ცანცუკა და ჩამოვიდნენ თუ არა, გაათხოვა კიდევ. მოსკოვში, იცით ალბათ, რატომაც დაარბენინებენ გასათხოვარ გოგონებს დედიკოები. კერავენ, რა. ვითომ ქალიშვილია და რამე. აბა, რა უნდა ილაპარაკო, ვის უნდა ელაპარაკო, ვის უნდა აუხსნა და გააგებინო რამე. ვითომ ქალიშვილია და კერავენ, აზრზე მოდი. ისე, აქაც აკეთებენ თურმე მაგას, მაგრამ სად იქ, ეგეთი საქმისათვის უცხო ქალაქი ჯობიაო.

წავიდა ცანცუკა ჩვენი უბნიდან, წავიდა და წავიდა, აღარ მინახავს ასი წელი. ისეთი თბილი მოსალმება იცოდა, რომ ეგრევე კარგ ხასიათზე ვდგებოდი. დიდი, ლამაზი თვალები ჰქონდა, ბავშვი იყო, რა, ნამდვილი ბავშვი.

წელს სადღაც ავედით მე და ტატო, ტატოს კურსელების ქეითი იყო. ვხედავ — ცანცუკა. რალაცნაირი, დასიებული, თვალებგამოღამებული. გეგონებოდათ, ნაჯახით მიაღვა ვიღაც და ჩორკნა და ჩორკნა დადინჯებულად. დიდი მონდომებით.

გაუხარდა, თქვენ წამოგყვებით აქედანო და ათი არ იყო, წამოგყვარა, წავიდეთ, წავიდეთო. მანამდე მოშორებით იჯდა და დიდად არ გვილაპარაკია.

მანქანაში რომ ჩავსხედით, მოვიკითხე და რამე. წინ იჯდა, ჩემ გვერდით. ბიჭი მყავსო, სულ რაღაც ნერვიულ რალაცნებს აკეთებდა წარბებით და ტუჩებით. ძველი დრო გამახსენდა. რა კარგი და წყნარი გოგო იყო და რამე.

სიგარეტი მთხოვა და ისეთი გაჭირვებით მოუკიდა, კინალამ გაუვიჟდი.

— სადა ხარ ცანცუკ, რას შვები? — ჰკითხა ტატომ.

— ბათუმში, — ხმაც ისეთი ჰქონდა, შეცვლილი. თან თითქოს მზესუმზირის ნათესავეებით ისროდა სიტყვებს.

— ბათუმში რა, აქაც ხომ ხართ? — გამიკვირდა მე.

— რაც ბავშვი დაიბადა, იქ ვარ. რა ვიცი, იქ ჯობიაო.

ტატო ყველაზე მეტად ქართულ პროვინციებს ვერ იგანს:

— მერე, რაო, ბათუმელებმა?

— ღებილები არიან. დალევენ და ჩვენი ბათუმი, ჩვენი ბათუმიო. იცი რა ღებილები არიან?

ცანცუკ, შე სანყალო.

სახლთან რომ მივედით, მოხოვა, ცოტა ხანს ვიჯდეთ, ერთსაც მოვწევ, თორემ შეიძლება, ამაღამვე გამოიაროს ჩემმა ქმარმა და წავიდეთ და მერე როდისღა მოვწევ, არ ვიციო.

ნახევარ წუთში მონია, მერე რაღაც შოკოლადი ჩაიგდო პირში, გვაკოცა ორივეს და გადავიდა. ძალიან მენატრებით ყველაო და ავიდა იმ ჩათლახი დედამისის სადარბაზოში, სწრაფი, თითქმის არეული ნაბიჯით.

— დაცენტრეს გოგო, — თქვა ტატომ.

— დაცენტრეს...

პარმალზე გამოვედი, სიგარეტს ვწეოდი და ვიდექი იმ ყინვაში. წყნარი ღამე იყო, უხმო, მშვიდი და ბნელი. აქა-იქ სინათლე ენთო და მამალმაც კი წამოიყვლა ერთი ორჯერ. ისე ვიყავი, როგორც ბაროკამერაში, დასვენებული, მოსვენებული. ამ სომხურ სიგარეტსაც არაუშავდა. ჰაერი სუფთა იყო და გემრიელი, ცა უვარსკვლაავო, რაღაც სითეთრე გადაჰკრავდა. არათერზე აღარ ვფიქრობდი და არც ვდარდობდი, სახლში რომ არ იცოდნენ, სად ვიყავი და როგორ. კარგად ვიყავი, ჩემთვის. თუ არ მომინდებოდა, არც არავინ შემანუხებდა. რაღაც სისულელეზე ვოცნებობდი — დიდ აგურის სახლზე თოვლიან სოფელში. ავ, მყეფარა ძაღლებზე, უშველებელ ჭრელ ტახტზე, თანჯარასთან, სავარძელში მჯდომ იანაზე და ფიფქებით დამძიმებულ მის წამწამებზე. ღამის იქ ვიყავი, რა. მთლიანად ვიყავი იქ და მშველოდა, ძალიან მშველოდა.

საოცარი სიჩუმე იყო.

და კვნესა მომესმა უცვებ. ისე ახლოდან, ისე მოულოდნელად, რომ შევხტი და მიმოვიხედე. ჯერ ძაღლის წკმუტუნის მეგონა, მაგრამ ვიღაცამ ისეთი ამოიოხრა, ისე დარდიანად, ისე გულსაკლავად, უიმედოდ და არ ვიცი, კიდევ როგორ, რომ გამაჟრჟოლა, თუმცა სიცივეში ვიდექი და აქამდე არც მიგრძნია, ისეთი ატაცებული ვიყავი. უცვებ მომინდა შიგნით შესვლა. ბნელი ებო მოვათვალიერე, ჩაბნელებული საწყობების კონტურებს მოვაავლე თვალი და შევედი.

აღბათ, დაჭრილი თუ იყო.

ხომ გვეყავდა სამი დაჭრილი.

თავი მახუთა

ჭიანჭველა კი არა ვარ, არამედ ადამიანი. ჰო-ჰო-ჰო, ეს რა მოვარცყი? გავფიქროსოფოსდი, რა. ცოტა წიგნებიც რომ მქონდეს წაკითხული, ჩემს ბედს ძალიან არ დაჰყუფდა. ნანა დამატარებდა ერთხანს წიგნის ბაზრობაზე კიროვის პარკში. არჩევდა და ყიდულობდა თავისთვის რაღაც „იზაურას“ მსგავს რაღაცეებს, თენგიზისათვის დეცეტივებს, თუმცა, მამაჩემი დიდად არ იკლავდა მათი კითხვით თავს. ეგრევე ეწყო სანოლთან ან, სულაც, ლოგინში ედო და ბედ ეძინა. უამრავი წიგნი ეწყო იმ კიროვის პარკში, გადაჭრელებული იყო იქაურობა. ნანა დადიოდა და დავეყვებოდი უკან უჭიმო ძალიან. „გინესის წიგნიც“ ჰქონდათ, ეგეთი, მოტოვებული, ალბომივით იყო, რა. შიგ თოტოებით და ბიოგრაფიებით. ეს ყველაზე დაბალიაო, ეს ყველაზე მაღალიაო, ამან ოცდასამი ბოთლი შეჭამაო, იმან თავზე დაიმტვრია შვიდას თერთმეტი ფიცარიო. იდიოტები, რა. ასპროცენტიანი იდიოტები. ერთი ბიძა გაჩნდა თბილისში, მაგათი მეფობა უნდა, მე მგონი. კბილებით ხსნის ბოთლებს, რა თქმა უნდა, ძალიან სწრაფად. მთავარი პრობლემა ისა აქვს, თურმე, რომ სპონსორებს ვერ შოულობს. იმათ, ვინც ბოთლებს უყიდის, თორემ ამან სად უნდა იშოვოს მაგდენი ბოთლი. წამნახევარში ხსნის ერთს და სამი დღე გადაბმულად უნდა ხსნას, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყაროს. ცხოვრების მიზანზე იკაიფე, რა. ყველაზე მეტი ბოთლი გახსნას კბილებით და იმ დეგენერატულ წიგნში ჩახაგონ.

ეგეთებიც არიან. თუმცა რა, უარესები არ არიან?

მე რა, ბოთლების გახსნაც არ მდომებია არასდროს, არანაირი მიზანი არ მქონია, არაფერზე არ მიფიქრია და საერთოდ, ბოლო დროს თუ მანუხებდა რამეზე ფიქრი, ისიც იმიტომ, რომ ცხვირი წამამტვრევენეს ჩემს გრძნობებზე. ერთმა სვირინგიანმა სომეხმა მითხრა გუშინ, თორმეტი წელი ვიჯექი ქალის გაუპატიურებაზე და რომ გამოვედი, უკან შებრუნება მინდოდა, იმიტომ რომ, იქ რაღაც მიზანი მქონდა, გამოსვლას ვხალიჩობდიო. ორი წელი ისე ვიარე, რას ვაკეთებდი, არ მახსოვს, სანამ ყარაბაღი არ დაიწყო, გონს ვერ მოვედი და მერე დამარცყა, რომ ეს იყო ჩემი საქმე და აქეთკენ შემოვუბერეო. აი, ეგეთებიცაა. ახლა ჭარისკაცია და რაღაცას აკეთებს, ზონაშიც რაღაცას აკეთებდა. მე ორი თვე ვაკეთებდი რაღაცას, სულ ორი თვე და ახლაც ისე ვარ, თითქოს იმ დროს ვუბრუნდები, სიმშვიდეს ვიბრუნებ და ცხოვრებას ვინყებ.

ისევ ჩემს ტახტზე ვწევარ, ისევ თოვლია გარეთ და ანდრანიკიც ძველებურად დამცქერის კედლიდან. კარგა ხნის ამდგარი ვარ, ჩაიც დავლიე და ორი ღერიც ჩავკალი უკვე, მაგრამ ისევ აქ შემოვბრუნდი და წამოვწექი, ამ სინყნარესა და სიმყუდროვეში.

რაფიკამ ჩემი დეპეშა გადასცა, ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა. ახლა იმათი დარდიც აღარ მაქვს, ისეთი ტექსტია, ქვას ვახეთქავს: „კარგად ვარ მაგვიანდება ერევანში ქარია ვერ დავრეკე“.

ჰო, მართლა, შავი არმიული ნიფხავი მაცვია, დიდი ჩექმები და თამბაქოსფერი ფორმა. ბერეცები არა აქვთ და თავი იანას ყელსახვევით მაქვს ნაკრული. აბა, მაგათ ბენვის ქუდს ხომ არ დავიხურავ. გემოდან ჩემი დუბლიონის კურგვა მაცვია, სასწაულით გადარჩენილი სათვალე მიკეთია და „ლიმონკა“ მიღვეს ჭიბეში. ავტომატსაც ავიღებდი, რომ მინდოდეს, მაგრამ ან ეს ხელყუმბარა რაში მინდა, უბრალოდ, ისე ჩამიდეს ამათ. მოკლედ, სუეთა „ბაევიკი“ ვარ, რა, „მხედრონული“ იერი მაქვს და დიდად გამოვიჩივი ამათვან.

მთელი დილა უშველებელი დურბინით დავაბოტებდი სოფელში. ხან ერთი ბორცვიდან ვბევრავდი იქაურობას, ხან — მეორედან. მოკლედ, კარგად ვავერთე, რა, ბაუმურად. თან მარტო მივდი-მოვდიოდი, ყველა მესალმებოდა და მეც დიდი ამბით ვუკრავდი თავს. აქ ერთი მასწავლებელია, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა, ცალ ხელზე ორი თუ სამი თითი არა აქვს და ამიტომ არ ომობს. ისეა, რა, იდეოლოგიურ დარგში. შეშკამა და სახლში შემყვანა. ცოცხალი არაა, ცოცხალი მწილი, ცოცხალი ძველი პური. ვილაპარაკეთ, კაი ძველი იყო. თითქმის შავი, რა, რა აქვთ აჩემებული ეს ძმობა. მოსანევი აღარ იშოვება და არაფერი, შემომჩივლა. მეც დავუჭირე, მაგან არ მომკლა-მეთქი?! რაღაც სისულელე ვუთხარი, როგორ არ იშოვება. ქეში ვიყავი მაგარი, ახლა კიდევ სიცოცხლე აღარ მინდა, ისე მომბზრდა ყველაფერი, სამი სოფელიღა დავრჩით, გვერდიგვერდ და ეს ბიჭები რომ არ იყვნენ, გადაგვივლიდნენ თათრებით. ძალიან აქო ესენი. აზრზე მყოფი ბიჭები არიანო. თვითონ ხატვის მასწავლებელი ყოფილა, სოფელი მხატვარი, რა, ოღონდ რომ არ ხატავენ, ისეთი. ბაუმობაში მეც ვხატავდი-მეთქი, ვუთხარი. მართლა ვხატავდი. მერე მივანებე, აკადემიაში არ ვაბარებდი და არაფერი, სამშენებლო, თენგიზამ აიჩემა და იმის მერე რეველის ბოლო გვერდზეც არ დამიხატავს რამე. მათემატიკაზე და ფიზიკაზე მატარებდნენ. მაგარი უსაქმური რეპეტიტორები მყავდა, ჩემზე უსაქმურები...

დიდ ძმაკაცებად დავშორდით მე და ვალერა (ასე ერქვა). ხვალ გამოიარეო, მთხოვა, დაგხატავო, ან ერთად დაგხატოთ რამეო. მარტოხელა იყო, ოთხი პირი ცოლ-შვილი ჰყავდა გამოცვლილი და რაღაც, დაუტერებლად იოლად უყურებდა ყველაფერს, ჯანსაღი ძველი იყო, რა. ხასიათით რომ არიან ძველები და არა ისე, პრინციპებით და რაღაც სისულელეებით.

წამოვედი ჩემი დურბინიანად.

ჩვენთან დიდი ამბავი იყო. სახლებისა თუ საბძლების წინ ღროშები გადმოეთენათ, ერთი ორასი კაცი იდგა, ლამის მთელი აქაური გარნიზონი გამოეთენილიყო. იყო ერთი ხორხოცი

და მასლაათი. მეც მივედი და ნაცნობებში გავერიე, „ვილისის“ კარი გავაღე და შევჯექი, სუსტი მზე იყო, სახურავებზე თოვლი არ დნებოდა და არც ცალახს აშრობდა, მაგრამ სასიამოვნო კი იყო.

მაღე გავარკვიე, რაც ხდებოდა. ვილაც რუსები უნდა ჩამოსულიყვნენ დიდ-დიდი გაბეთებიდან და მივარდნილი, მთავარი საომარი ადგილებიდან მოშორებული სამხედრო ნაწილის თუ ფორმირების თუ რაღაც ჯანდაბის, მოკლედ, ჩვენი ცხოვრება უნდა აღწერათ. მერე ვერცმფრენი გამოჩნდა, თანდათან უკლო სიმაღლეს და სოფლის ბოლოში დაჯდა დათოვლილ, შედარებით სწორ ადგილას. ორი „ვილისით“ და ერთი საცვირთო მანქანით დავეშვით. მე დიდი მებრძოლივით წინა მანქანაში ვიჯექი. ბელგიელ „ნაიომნიკს“ ვგავდი და დიდად კმაყოფილი ვჩანდი, ალბათ, რადგან რაღაც წარმოუდგენელმა მედიდურობამ შემიპყრო. მოსკოვში და ლენინგრადში ყოფნისას მემართებოდა ხოლმე ასე, რუსების შემხედვარეს. ახლაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბლომად რუსები გადმოლაგდებოდნენ ამ ვერცმფრენიდან და ჩემდაუნებურად ძაან თბილისური მეჭირა უკვე.

გადმოლაგდნენ. ორი გაქუცული ბიჭი ცანცარა წვერებით, შარფებით და სათვალეებით და ჭინსებიანი ქერა გოგო, ცისფერი თვალებით და უშველებელი ფოტოაპარატით. თან რაღაც ჩანთებს მოათრევდნენ და, ცოტა არ იყოს, დაბნეულები ჩანდნენ. ვილაც სომხებიც ახლდნენ, ბიჭები, სულ წრეებს ურცყამდნენ გარშემო. დიდი გაცნობა, ხორხოცი იყო. ჩვენები კი ცხვირა მარკორის თამაღობით, გომრებს გვირთავდნენ ვერცმფრენიდან. ალბათ, ფქვილი თუ იყო და კარგოფილი. მერე ვაზნების ყუთებიც გადმოალაგეს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ძალიან ცნობილი აურნალიდან იყვნენ, მაგრამ დიდად არ ეგყობოდათ. არ იქაჩებოდნენ და არც თავი მოჰქონდათ. სადა, უბრალო ბიჭები იყვნენ, აი, ჩვენთან რომ ვიდღოს ოსტატებად და ელექტრიკოსებად მუშაობენ, დაახლოებით, იმ ტიპისა. მიშა და სლავიკა, გოგოს კიდევ მარინკა ერქვა და რაღაც არარუსული გვარი ჰქონდა, შომბერგ თუ შტენბერგ, თუ რაღაც ესეთი, მოკლედ, ბერგი იყო, რა.

სავიზიტო ბარათები მოგვაჩეჩეს მანქანაშივე და დაფხედე. თორემ არ გავცნობივარ და არაფერი, ძალიან ისეთი მეჭირა, არავითარი ზედმეტი რუსებთან და რამე, ვითომ თვითონ უნდა დაინტერესებულიყვნენ ჩემით.

დაინტერესდა კიდევ, ის გოგო. მაგათ ხომ ყველაფერი აინტერესებთ, ეგეთი ვრია. მეტროებში რომ წიგნებს კითხულობენ და რამე. უფროსი რომელიაო. მე და ვართანა ვისხედით მანქანაში. ვართანა საჭესთან. დანარჩენები მერე მანქანით მოდიოდნენ. უკანაში ზისო, ვართანამ. რას ამბობთ, მე ეს მეგონაო, ჩემზე უთხრა.

გამეცინა.

რაგომო, ვართანამ ჰკითხა.

— ჯერ ერთი, წინ ჩაჯდა და მეორეც, ძალიან სერიოზულია, — დააბრეხა რუსულად, თამამად.

— აქ ყველა სერიოზულია, — ვართანას ეგეთი უნარი ჰქონდა, ყველაფრის გართულებისა.

— მართალია, — თქვა ერთ-ერთმა ბიჭმა, — ერთი თვეა, ყარაბაღში ვარ და გაცინებული კაცი არ მინახავს.

ამას უყურე, თურმე წიგნს წერს და სულ წინა ხაზზეა, მე კიდევ „ბაევიკურ“-თბილისური მიჭირავს და ვემარიაჟები.

— „მოგზაურობა ყარაბაღში“ ერქმევა, ერთად ვწერთ. მარინკა კიდევ სურათებს იღებს, — დაგვიწყო ახსნა.

თუ ძმა ხარ, წერე და იკითხე. მოლაყებები ხართ ეს რუსები. რამდენი მოსკოვზე გადავრთავ გელევიზორს, სულ ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ, ოღონდ რამე მოაყოლინე და გაარჩევენ.

— თქვენ ოფიცრები ხართ? — ეს გოგო აშკარად ვერ ისვენებდა.

— აქ ოფიცრობა არ არის, აქ სოფელს იცავენ მოხალისეთა რაზმები.

— ყველგან არიან ოფიცრები.

— აქ არ არიან.

— თქვენ რა გქვიათ?

ვართანამ უთხრა და გაუჩერდით კიდევ.

— თქვენ?

— ფილმია ეგეთი, ამერიკული. ინდიელებს ხოცავენ და იქ ერთი ჯარისკაცია და მაგარი ქალი. მოკლედ, ხელს უშლიან, მაგრამ ჩემი ფეხები, მაინც გაუფრთხვენ ყველას. რამ დამარცხა თავში, არ ვიცი.

— ოღონდ, — წამოიყვირა უცებ — აი, ეგზემპლარი... ასეთი ჯერ არ მინახავს.

და გადავიდა.

ეზოში დავრჩი. ვერცმთრენი უკვე აფრენილიყო, ეგყობოდა, რჩებოდნენ აქ. სივარეცს მოვუკიდე და შევკრებილ მებრძოლებს შევეერი. მანქანას გვირთავდნენ. გამოცოცხლებულები იყვნენ აშკარად. ამ რუს აფრენისგებზე თუ ლაპარაკობდნენ, მაგრამ წელანდელივით ბევრნი აღარ იყვნენ. ოთხი თუ ხუთი ბლოკით ნაშენები, ნაჩქარევად გადახურული შენობა იდგა ეზოში. საუკუნაოები იყო, ალბათ. ყოველ შემთხვევაში ყველა ბოქლომით იყო დაკეცილი და მათი გასაღებები მარკიორს ჰქონდა. იმან გააღო საუკუნაო. ამას მაშინ არც მივაქციე ყურადღება, უბრალოდ დამამხსოვრდა, თუმცა მერე... მოკლედ, არასდროს არ ვიცი რა მინდა, არსად არ შემიძლია ადამიანურად ყოფნა. სულ რაღაცას ვჩხრეკ და განვიცდი.

კარგი ამინდი იყო, ვაკისპარკული პენსიონერივით ვეფიცებოდი მზეს. ვართანა გამოვიდა პარმაღზე და ხელი დამიქნია. მივედი. შენით ძალიან დაინტერესდნენო. მეთქი, ვა, პირდაპირ მე შეგაკენ და რამე? არაო, ახლა რაფიკას ელაპარაკებიან, ერთი კვირა უნდა ეყარონ აქ და ყველაფერს უკვირდებიან, მაგათი ოხერი დედაო. არ იყო აღტაცებული მათი ჩამოფრენით. თურმე დიდად იყო დამოკიდებული მაგათ აზრზე რაღაც-რაღაცეები. ამ გაქუცული ნაბიჭვრების აზრზე. დემოკრატიული პრესაო და რამე. ჩვენო, ვართანამ მითხრა, ისეთი გვიჭირავს, რომ თავს ვიცავთ და მაგათაც ვგრე უნდა დანერონ, თორემ საქმე ფუჭდებაო. მოკლედ, მთხოვა, არ მეთქვა ამათთან როგორ მოვხვდი. რამე მოაბოდილალე, რაღაც რეალურიო.

— არ ვეცვი და მორჩა, — ვუთხარი მე. სულ არ მინდოდა მაგათთან ბაზარი, მაგრამ რაღაც შინაგანი ლტოლვა კი მქონდა, რაღაც უცნაური.

— არ შეიძლება, ძალიან გამოცდილი და კარგი სახელის აფრენისგები არიან. უნდა ვეფეროთ. თან უკვე იციან, რომ სომეხი არა ხართ.

— საიდან?

— იციან. ეგ უზრდელი ქართველი სად აიკიდეთო, იმ გოგომ.

აზრზე მოდი, რა ნაჩათლახარი იყო.

— რაც მაგას ქართველის მოხვედრია, — დაახლოებით ასე თქვა ვართანამ, ასე ვთარგმნი, ყოველ შემთხვევაში.

— სომხისაც, — დავუჭირე „მაზი“.

სახლში შევედი და ჩემი ოთახის კარი შევალე. ისეთი ჭრელი ტახტი და რამე. რალაც საკაითო სუნი იდგა, ნესტის თუ სიცივის თუ იმის, მზე რომ ადგა თანჯრებს. კარგად ვიყავი, მშვიდად. თითქოს პანსიონატში ვისვენებდი, რა. ნამოვნეცი და ანდრანიკას დაუწყე ყურება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეგონა მთელს სიცოცხლეს გავატარებდი აქ. სოფელში ვიბოდილებდი, რალაც პატარ-პატარა საქმეებს გავაკეთებდი, ხეებს დავრგავდი და რამე. მხატვარ ვალერასთან შევივლიდი ხოლმე და ვილაპარაკებდით რალაცებს. იანას მივწერდი წერილებს, უამრავ, უამრავ წერილს. რალაცნაირად მივანვდენდი. რამე საქმე მაინც მცოდნოდა, ან ექიმი ვყოფილიყავი, ან ფერმალი, ან რა ვიცი, რამე. მანქანის მეტი არაფერი გამეგებოდა.

მალე დამიძახეს და გავედი, უხერხული იყო. დერეფანში გაბადრული რაფიკა იდგა და რუსებს ეჭუჭუჭებოდა, უხსნიდა, რა ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე აბარიათ, როგორ იცავენ თავს და რომ აქ ყველა ჯარისკაცი, თუ რაზმელი გმირია, რადგან მშვიდობიან მოსახლეობას იცავს. აბოლებდა, რა, მაგრამ ისინიც კარგი ჩიგები ჩანდნენ. მერე სულ ამბობდნენ, მთავარი ჩვენთვის სიმართლეაო.

— სოფელს დაათვალიერებენ ჩვენი მეგობრები. ამ ერთხელ ნავყვით, — მითხრა რაფიკამ და გარეთ გავედით.

საჭესთან დაფუქი.

მარინკა გვერდით მომიჯდა, ისინი უხმაუროდ შეჩოჩდნენ მანქანაში. ეგეთები იყვნენ, ჩუმები. დაუწყევით ცალახიან გზას. ძალიან ფრთხილად, თითქოს მორიდებით გვეკითხებოდნენ რალაცებს, ყველაფერი აინტერესებდათ. ამ მთას რა ჰქვიაო, ამ ღელესო, ახლა რამდენი მცხოვრებიაო, რამდენი იყო და ლამაზ-ლამაზ წიგნაკებში ინიშნავდნენ ყველაფერს. ყველა ქვემეხთან და ყველა ტანკთან მიგვაყვანინეს თავი. იქ გუშაგებს ელაპარაკნენ, ისევ რალაცები ჩაინერეს და მანქანაში დაბრუნდნენ.

— მე დაგტოვებთ, რალაცებს გადავიღებ, — თქვა გოგომ. — ვისეირნებ და მოვალ.

რაფიკას გადავხედე.

— ჩვენი მეგობარი ხომ არ დაგიტოვოთ, — ჰკითხა ისე ზრდილობიანად, რომ ოპერაში მეგონა თავი.

— ოოო, უცნობი ჯარისკაცი? თუ რა თქვით, ვინა ვარო? — გადმომხედა ისეთი დამცინავი, ისეთი რალაც გამომწვევი სახით, რომ, მეთქი, ესლა შევაფუროთხებ. სხვათა შორის,

გოგლიკოა რუსის ქალების ცნობილი შემფურთხებელი და მცემელი, მაგრამ ახლა არაა მაგაზე ლაპარაკის დრო.

— მარინა, — უთხრა ერთ-ერთმა. ვითომ, როგორ იქცევიო.

— აბა, რას იბერება.

— შენისთანებს ათ ცალ ტყვიაში ვცვლი ყოველდღე. — უუთხარი უცებ. საიდან მოვიგონე, არ ვიცი. რუსებთან ურთიერთობის სისტემის ბრალია, ალბათ.

რაფიკა შეცბა. კარს ჩამოეყრდნო ხელით და მინას დაამტვრდა.

— რატომ ამბობთ ასე? — მკითხა მიშამ.

— აბა, რა არის. ხალხი არა ხართ? — გავიღეძე მე. — წიგნს წერთ და არ იცით, რომ ომში ხართ? ომზე წერ წიგნს და არ იცის ამ შენმა ქალმა, რომ ომშია? კაცურად იყავით, რა, თქვენი ფერების დროა აქ? ათი კაცი დაგვიჭრეს გუშინწინ, სულ მოხუცები და ბავშვები და თქვენ უნდა გეფეროთ, რომ დანეროთ, რომ ბავშვები დაგვიჭრეს, რომ არაფის ვარბევთ და მხოლოდ თავს ვიცავთ? ამიტომ უნდა გეფეროთ? ავღანეთში რატომ არ ჩამოდიოდით?.. ხალხი გათიშულია და თქვენ უნდა გეფეროთ, რომ ნაგვიდეთ ერთმანეთს?

მაგარი მონოლოგი დაუარტყი, თან ტყუილი.

ვითომ „კოსმოსის“ ჰოლში ვიყავი და იქაურ კაგებეშნიკს ვეჩხუბებოდი, რა.

ჩაჩუქდნენ. მარინაკაც შემცბარი იყო.

— როდის დაგიჭრეს ბავშვები?

— გუშინწინ, — თქვა რაფიკამ, ისეთი დარდიანი ხმით, რომ ლამის მინა გამისკდა. — თავდასხმა იყო სოფელზე, მაგრამ მოვიგერიეთ.

ხედავთ და რამე?

— „ინტერვაქსმა“ სულ სხვა რამ...

მოკლედ, ისე ვთქვით, ისე გამოგვივიდა ეს ყველაფერი, რო დაიჭერეს.

რაფიკამ მხარზე დამკრა ხელი და ძმურად მთხოვა:

— გიუმ, მოემსახურე ქალბატონს...

ჩუმად მოვდიოდით. გაბუტულებივით ვიყავით, რა. რაღაცას შეხედავდა და გაახსაკუნებდა თავის აპარატს.

— მართლა ეგეთი ბრაზიანი ხარ? — მკითხა, სოფელს რომ მოვუახლოვდით.

— ცხოვრებაა ეგეთი, — მართლა მაგარი გათილოსოფოსებული ვიყავი, თან ცყუილებს ვურევდი ამ თილოსოფიის გასაქანად.

— ავლანელი ხარ? — მკითხა ისევ.

— ჰო.

— ყველა ეგეთები ხართ ავლანელები. ომი გიყვართ.

გამეცინა.

— აქ საიდან მოხვდი? — ინტერვიუს მიწყობდა, რა.

— ავლანეთიდან.

— შენ არ გაბრაზდეს და გიჟები ხართ ეს კავკასიელები. რაღაცნაირები. ქალებს ვერ იტანთ.

გიჟი არ იყო?!

— რუსები კიდევ, ყველაფერში ეკვეტებით.

დაფიქრდა.

— შენ რა, რუსები გეზიზღება?

— არა, ბოზები გეზიზღება, სხვის საქმეში რომ ცხვირს ყოფენ.

— გოგოებს ხომ კარგად დასდევთ, რეებს უკეთებთ.

— რეებს?

— შენც იცი...

— ეგებ უნდათ, რუსის ბიჭები რატომ არ უკეთებენ ჩვენს გოგოებს?

მერე ჩუმად მოვდიოდით.

— ქართველებს გიყვართ სომხები?

— რა ვიცი, რა რუსების საქმეა, სომხები გვიყვარს თუ არა?

უცებ შეჩერდა და შემომხედა.

— შენ ავღანელი არ ხარ. მე ბევრ ავღანელს ვიცნობ...

— მერე რა?

— აბა, ღონ კიხოტი ხარ?

დამირცხა, რა. ღონ კიხოტი არა, კახი კავსაძე ვარ. გოგლიკოს ძმაკაცი ვარ და არაფერი გამეგება ამ ცხოვრებისა.

— უცნაური ხარ.

ცნობილი ამბავი იყო, მოსკოვური ბაზარი და რამე, რაც უფრო არ გიჟდები ქალბე, მით უფრო გეგმასნება. არა, კი არ მეგნებოდა და რამე, უბრალოდ, აინტერესებდა.

— მოდი, სურათს გადაგიღებ.

წინ გამისწრო და სწრაფად გააჩხაკუნა აპარატი, ორჯერ ზედიზედ.

— გინდა, დაგბეჭდო?

„ლიმონკა“ ავთამაშე ხელში და გზა განვაგრძე. მაგარი ვიყავი, რა.

საბილიარდო საუკუნაში სლავიკა იდგა. შთაბეჭდილებებით დახუნძლული, დაფიქრებული სახით და უყურებდა უკბილო მარკიორის თამაშს. წიგნისთვის იყო ზედგამოჭრილი, დასანერი რამე იყო ამ სანყალი მომმარაგებლის ცხოვრება. არმიკა იჭდა ყუთზე და სომხეთის ისტორიას ყვებოდა.

იქით, დიდ ოთახში, ვახშმისათვის ემზადებოდნენ.

— როგორაა საქმე? — ვკითხე სლავიკას.

— ნორმალურად.

— ნამო ვჭამოთ. კარგ ამბავს მოგიყვები.

ვითომ შერიგებას ვაჩალიჩებდი, რა. რაფიკასი მერიდებოდა. როგორ გამაფრთხილეს, მოეფერეო და მე კიდევ მაგარი „ბაფიკური“ დავუჭირე.

— შენ საიდან ხარ?

— თბილისიდან.

— მაგარი ამბებია თქვენთან.

— ჰო, ვიომეთ.

არა, მხეცი ვიყავი, რა.

— აქ როგორ მოხვდი?

ეს ინტერვიუები, ალბათ, დაკითხვებივითაა, თან რუსიც მაგრად გათამამდა, აქაოდა, წიგნს ვწერო.

— მე და რაფაელი ერთად ვიბრძოდით ავღანეთში, შევებულემა ავიღე და ჩამოვედი, უჭირს და ვეხმარები.

— გვარდიელი ხარ?

— „მხედრიონი“, გაგივია?

— როგორ არა.

— ჩამოდი, ჩვენზე დანერე წიგნი, არ გინდა?

გაეცინა. რომ მცოდნოდა, თქვენთან ასეთი ამბავი მოხდებოდა, ნამდვილად წამოვიდოდი. სუტრა გაეშალათ, იმის დედა ვატირე, სუტუკებით, მჟავე კიტრებით, შემწვარი ხორციით და რამე. ვინრო წრე, შვიდი კაცი, რუსები და მე. არყებით და მთელი ამბებით.

წავიდა ბაზარი პოლიტიკაზე, წავიდა და წავიდა. მაგრად ასხეს დემოკრატიკ ჟურნალისტებს, მაგრად; ისე დაუგრძელდათ სიფათები, რომ ერთი ცირკი იყო მაგათი ყურება. მარინკასაც აძალებდნენ, თუძვა დიდად არ იკლავდა თავს, აიღებდა ჭიქას, გამომხედავდა

სუტრის მეორე ბოლოდან, ჩამიკრავდა თვალს და მოსვამდა. მეც ვუკრავდი აქედან თვალს, ვსვამდი და უტრო იმიტომ, თორემ რა, ფეხებზე მეკიდა თავისი „ნიკონიანად“.

სულ ჩაის ჭიქებით ვურტყით არაყი. მერე რუსები გააბარბაცეს დასაძინებლად. მარინკამ კი სურათების გადაღება დაგვიჩინო, ისე ანათებდა ფოტოაპარატი, ელვა მეგონა ვარეთ.

რაფიკამ ხელი გადამხვია და ასე იდიოტურად გაცინებულებმა გადავიღეთ ერთი სურათი. მაინც რალაცნაირები იყვნენ, რა. ავტომატები აისხეს და ისე უკვდავოფდნენ თავიანთ ვაჟუაცობას.

— ყოჩაღ, ძმაო, კარგი რამე გავაკეთეთ დღეს, — მითხრა რაფიკამ.

— კარგი რამე. ძმები ვართ.

გადამკოცნა და რამე.

უცებ შარშანდელი ზამთარი გამახსენდა. მე და იანამ ერთადერთი სურათი გადავიღეთ მაშინ, ვაკის პარკში. თოვლში, ზედ აუბთან, მე ვეხუტები, ის კი ღვას თვალეზღახრილი, ჩუმი, მშვიდი, გემრიელი, ლამაზი, თბილი. მე კბილებგადმოყრილი და ბედნიერი, კმაყოფილი და გულდამშვიდებული. ეგ დროც იყო. როგორ მომენატრა, როგორ მომენატრა, თან მთვრალს, სომხურ სოფელში გაჩრილს, დაკარგულს, მოღუნებულს, თითქოს მშვიდს და კმაყოფილს, იანა მომენატრა. ნახევრადბნელში მჯდომი, დივანის კუთხეში მიყუყუელი, მფრთხალი, მომლოდინე თვალებით მაყურებელი.

ახლა რომ მყავდეს აქ, ჩემს ნესტიან ოთახში, ფანჯარასთან, საიდანაც დათოვლილი ბორცვები და ცალახიანი გზა ჩანს, ისევ ისეთი, როგორც მაშინ, იქ, სადღაც ფანჯარასთან. ჩვენ ვჭირდებოდით ერთმანეთს, გვიყვარდა ერთმანეთი. ბავშვი უნდა გვეყოლოდა. მწვანე ყელსახვევს აღარ ჰქონდა მისი სუნი. სიგარეტის სუნი ჰქონდა, ჭიბეში გდებისგან, ალბათ...

— მე კიდევ რუსი არა ვარ, — მარინკა უკვე ჩემს გვერდით ზის.

— აბა, ვინ ხარ, ფრანგი?

— ებრაელი.

— ყოჩაღ, — წამოვდექი.

დერეფანში ბილიარდის ბურთების რახუნი მომესმა. ის სანყალი ისევ უჭახუნებდა. გარეთ გავედი, სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე, სიჩუმე იყო, როგორც გუშინ, ალბათ, როგორც ყოველთვის.

„მოდით, ძმებო, ჩვენს თბილისს გაუმარჯოს, კარგად ვიყოთ, კაცურად ვიყოთ,“ — გოგლიკ, სადა ხარ? სად დარჩა, თუ სად დავტოვე, თუ რა ვქენი, საერთოდ. მკვდარი მკონია? არ ვიცი. თუმცა, ეგეთები ხომ არ კვდებიან. იქნებ, გოგლიკოს ვგონივარ მკვდარი? მთვრალი ფიქრები მქონდა, მაგარი მთვრალი ფიქრები. სახლი გამახსენდა უცებ, ისე, გულს გარეთ, ნანა გამახსენდა, ყველაფერზე კარგი და მოხერხებული, ირაკლი, ცისფერთვალა ვიდეობიჭი და რა თქმა უნდა, თენგიზა მიქაგაძე, რევოლუციონერი, ბრაზიანი რევოლუციონერ-პუტჩისტი. არ მიმიწვდა გული, ნაღდად არ მიმიწვდა. საერთოდ, ეს მონატრება ძალიან ისეთი რამეა, აი, მოსკოვიდან ან ტალინიდან რომ მოთრინავ და სტიუარდესა რომ აცხადებს. ეგ არის და მეტი არაფერი, რაღაცა რომ გითამაშებს გულ-მუცელში, აქაოდა, ჩამოვედიო. თუ ძმა ხარ, აქაურობა უფრო მომენატრება, ალბათ, ოდესმე. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი, მაგრად კი ვიყავი შებუბუბებული.

და ისევ, თითქოს დაბარებულივით, ბოლო ნათებზე, კენესა მომესმა, ყრუ საცოდავი, გულისგამანვრილებელი. მიმოვიხედე. არავინ იყო ეზოში, საგუშაგოებზე იყვნენ და დანარჩენებს, ალბათ, ეძინათ. ან, ალბათ, იქით, ძველ ფერმაში, სადაც სინათლე ენთო, არაყს სვამდნენ.

კიბე ჩავიბრინე და ეზოში გაფიქრდი, აღარაფერი ისმოდა უკვე. ისევ სიგარეტი ამოვიღე და მთვრალი სითამამით გავიხედ-გამოვიხედე. არაფერი.

უცებ რაღაც წამოძახილივით გავიგონე. გაუგებარი, დაღლილი და ხრინწიანი. ნამდვილად აღარ იყო სახლიდან, ნამდვილად. საიდანღაც სულ ახლოდან იყო.

არ ვიცი, რატომ მოვტრიალდი, რატომ არ გავაგრძელე ძებნა. ალბათ, რაღაც დიდის შეშემინდა, რაღაც დიდის დაკარგვის.

პარმალზე ამოვედი და იქ ვიდექი ერთხანს, მერე სიგარეტს მოვუკიდე და შინ შევბრუნდი.

ერთხანს ბილიარდის ბურთების ჭახაჭუხს ვუსმენდი ბნელ დერეფანში და მერე ოთახში შევედი.

ამომრთველი მოვძებნე ხელით და შუქი ავანთე.

ჩემს ტახტზე, ჩემს ჭრელ ტახტზე, მარინკა იწვა. თვალები მიეღულა და ფეხები გადაენასკვა ერთმანეთზე.

სწრაფად წამოჭდა და ქვემოდან ამომხედა.

— რა შეშინებული სახე გაქვს...

ჩემი ბრალი იყო, რას გადავიკიდე ამ უაზრო მარიაჟობით.

— რატომ ჩამოხვედი აქ? თქვენთვის ხომ სულერთია.

ტახტის კიდეზე ჩამოვჯექი.

— იცი, რა უცნაური ხარ? სათვალეს რომ მოიხსნი, სულ აღარ ხარ ბრაზიანი.

— არ ვარ ბრაზიანი, — ძალიან მომინდა, ბოლო მომელო ამის წარმოდგენებისათვის.

— ჩემზე ისევ ნანყენი ხარ?

თუ ძმა ხარ. იმდენ ვინმეზე ვარ ნანყენი, თქვენი ტილიანი რამეები რა მოსატანია.

უცებ მივგრიალდი და ვაკოცე. ლოყაზე, ჩვეულებრივად. მაგრამ რატომ, არ ვიცი. რაღაც მომინდა იმ წუთში, სითბო, თუ რას ეძახიან.

— რატომ მაკოცე? ქალი მოგენატრა?

ძალიან აქტიური რამე იყო.

— რა ქალი, ისე.

— მაინც ვერ გავიგე, რატომ ხარ აქ?

— არ ვიცი. შემთხვევით მოვხვდი.

— სულ აქ უნდა იყო?

— არ ვიცი.

ამიშალა, რა, წერვები. ტვიპასავით ქალი იყო. არ შემარგო, რა. რომ ვაკოცე, აღბათ, სულ გადაირია.

— გინდა, მეც გაკოცო?

ტომ სოიერად მაქცია რა.

— რა გინდა? ძმაკაცები არა გყავს? — ვკითხე ხმადაბლა.

— მაინგერესებს, რატომ ხარ აქ.

— გზებია ჩაკეტილი და ვერ მივდივარ.

უცებ მუხლზე დამადო ხელი და თან მიღიმის.

— ცუდი გოგო ვარ?

— კარგი.

და უცებ მომეკრა. ძალიან სწრაფად, ვერც მივხვდი, ისე.

ყელსახვევი გადამაძრო თავიდან და კოცნა დამიწყო. ვერ ვიტან აქტიურ ქალებს. საშინლად იმოქმედა, თან რომ უნდა ქნა, თან რომ არ გინდა.

მაკოცე, მაკოცეო, დაიწყო. არ მოგასვენებენ, რომ მოკვდე. არ დაგაცლიან მარტო ყოფნას. არ შეგარგებენ სიმშვიდეს.

აი, ეგაა. რალაც სიგიჟეების კეთება დამიწყო. არც ვფიქრობდი მაგაზე, ნაღდად არ მინდოდა, მიმიმწყვდია, რა. თუმცა ჩემი ბრალი იყო. მე ვალიზიანები მთელი დღე და ახლა რალა დროსი იყო. ისეთი გოგო იყო, რომ ეგეთი რამეები მოსწონდა, ალბათ, რომ ალიზიანებდა, რა.

ზოგი რომ დათვრება, ქალი უნდება, მე კიდევ პირიქით, რა მე და რა ავლიზ ზურაბაშვილი, როცა მთვრალი ვარ. ვუთხარი, რალაც შევაპარესავით. ხელები გავაშვებინე. მხარზე მოვხვიე ხელი და დანყნარდი, დანყნარდი-მეთქი. ყველა ჩემს ხელში უნდა გაგიჟდეს. ორი ოქროსავით მწერალი ჰყავდა ოთახში, საძილე გომრებში ჩაგორებული და რალა აქეთ შემოეხეგა. ტირილივით დაიწყო, დავილაღეო, ვირივით ვმუშაობო, კლდე-ღრეში დავეხეგები და არათფერიო, მომბებრდა ამ „სუხარებთან“ ხეციალიო, ზუსტად ასე თქვა. ვეფერე და ვეფერე. ძალიან კარგი გოგო ხარ, ხვალ გავისეირნოთ-მეთქი. ბოროტი ხარო, ყველას ზემოდან უყურებო, რა დავიშავეო, რატომ მექცევი ასეო. ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთო და რა ვიცი, რეები დაიწყო.

ვინ უნდა მყვარებოდა. ვინღა უნდა მყვარებოდა ისე, რომ მართლა ვყოფილიყავი იმასთან.

— ბოროტო, ბოროტო, ბოროტო, — გააგრძელა და გააგრძელა.

მერე ადგა, ჭემპრი გაისწორა და ქართველებზე დამპალი ხალხი ქვეყანაზე არ არისო, რაც თვითონ უნდათ, იმას აკეთებენ მხოლოდო.

მერე გავიდა, გაიხურა კარი.

მაინც მოვახერხე, მაინც ავირიე და ავიშალე. მაგათი ყველას ჩათლახი დედა...

მთელი დღე მიგროვეს, რა. მიგროვეს და მოახერხეს.

რა უნდა ამ ხალხს, ჩემზე მუშაობენ?

თაჰი მათჰსა

ისევე მზეა. გამოზაფხულდა თუ რა არი, ვერ გავიგე. ორი დღეა, აშრობს ყველაფერს. რაც აქ ვარ, უზმობე არ მომიწევია, სპორტული მეჭირა. ახლა ვენევი, ვგრძნობ, რომ აღარ მინდა ძალიან მშვიდად, კურორტნიკივით ყოფნა. ცუდად მეძინა და ცუდად გამეღვიძა. იმ დეგენერატი ქალის ბრალია, ალბათ. არ მომიფარდა, მაგის.. არადა, კარგად ვიყავი, მომიშალა წერვები. მართლა, რალაც ნადირად წარმოვიდგინე თავი. ვითომ, ვილაცა ვარ, რა. ვეთამაშებოდი და ვერ მიხვდა. ქალბატონი დემოკრატი ჟურნალისტი. ვერ მიხვდა.

კურტკა ავიღე, „ლიმონკა“ გადმოფარდა ჭიბიდან და იატაკზე გაგორდა. დეცონატორიც ძირს ეგდო. ავდექი, ჩავიცვი. თან სულ იმ ჩათლახ მარინკაზე ვფიქრობდი. რამე როცაა, როგორღაც იოლად გამოდის ყველაფერი, მიფურთხებაც, დაცინვაც, სიყვარულიც. აბა, დღის სინათლეზე მოახერხე ეს ყველაფერი. მაგარი ძნელია, რა. ამ ქალმა დამინყო და ავხიპიშდეები ახლა. ამათი წვერები და დარდიანი სახეები... სამშობლოს გვართმევენ, მინას გვართმევენ და რამე.

ერთი სულელური ამბავი გამახსენდა. ისევე ამ მარინკას თუ ვილაცის გამო. ისეთ ქალებზე. მაგარი კანცორაა, რა. ბოზებზე ვყვები. საერთოდ, ყველაზე მაგარი ჩამოსხმა რაიონებიდან ჩამოსული ქართველი ბოზები არიან. ეგენი რომ არ გააკეთებენ და არ მოიგონებენ, ეგეთი რამე არ არსებობს. გული აგერევა, რა. ერთი ქალი ჰყავდა დუდას, ბაღდათელი თუ ვანელი, თუ რა ვიცი, ცოფი სჭირდა რა, ნაღდი ცოფი. ერთხელ მოათრია

და, აბა, მიდი, მოვდივარ, ბანძი, ბანძი, კოშმარი... მაგრამ ბიჭის ამბავი ხომ იცი, მაინც რომ უნდა ხოლმე, რომ არ უყურებს თავიდან და მერე რომ გული ერევა. ეგრე იყო ზუსტად. გოგლივით დააგდო, ვიკა დააგდო, ღუდა დააგდო. არ ღგება. მეთქი — ორპირს გავაკეთებ, ჩემი სახლია მაინც. ამათ ფეხებზე არ კიდიათ, მე კიდევ უნდა დავიძინო. სვამენ აქეთ, ის ქალი კიდევ იქითაა, ავღია ტახტზე და არ გამოდის. ჩემი იმედი აქვს ალბათ, მაგრამ მოგეხსენებათ, სულ მახატია, რომ ვუყურებ, გული მერევა. აქეთ გავალე ფანჯარა, ვავინე ამათ და გავალე და მერე სანოლ ოთახში შევედი. ეგრევე ეგდო ტახტზე, შიშველი, პირდაღებული, ფუ მაგის, რამე მაინც გადაეფარებინა. ფანჯარა უნდა გავალო-მეთქი, ვუთხარი. რა გეჩქარებაო. ადგი, ჩაიცვი და გასრიალი-მეთქი. ეგეთი კარგი ბიჭი ხარ და ადამიანს არ აკვირდებიო. ახალი „სტრიჟა“ მაქვს და შენ კიდევ ვერ შეამჩნიეო. ჰო, ჰო, მაგრად გიხდება-მეთქი, ვუთხარი და ფანჯარა გავალე. მანდ კი არა, აქო. პირდაპირ იქ არ იტაკა ხელი? აი, ეგეთი ქალი იყო. ახლა, მაგ ქალთან დამწოლი კაცი რალაცეებში გადახრილი არაა? მერე დაიკარგა ეგ ქალი. ჰო, ფატკო თუ რალაც ჯანდაბა ერქვა თავის სოფელში, აქ მაკა დაირქვა. დაიკარგა და დაიკარგა. ღუდამ თქვა, შევიცარიელ ბიზნესმენს გაჰყვა ცოლად, ვიზას შემპირდა და ალპებში გაგულავებო, დამპირდაო. აზრზე მოდი. შევიცარიელზე იკაიფე, მაგრად დაახვია ალბათ, თორემ, სად უნდა გამოეჩხრიკა.

აი, ეგეთი ქალი იყო. ეს მარინკაც რალაც ზიგზაგიანი ჩანდა. ეცყობა, იმ აპარატის ჩხაკუნმა გამოაშტერა.

შტაბის ეზოდან გამოვედი და სოფლის გზას დაუყევი. იანას ყელსახვევი მოვძებნე და ალბათ, ისევ გამიხდა „ბაევიკური“ სითათი. რალაც დაფახფახებული, ჩალენილი და ჩაოხრებული მალაზია ჰქონდათ ამ სოფელში. იმის წინ ისხდნენ მოხუცები და საერთოდ, მთელი სოფელი ალბათ, სამუშაო და გასართობი იქ არაფერი იყო და ეფიცებოდნენ ძვეს, რალაც ძველმანებში გამოხვეულები. ჩვენი ვართანა და მიშაც შუაში ჩასხდომოდნენ, წიგნს წერდნენ, რა. ვართანა თარჯიმნობდა, ალბათ. ერთი შევხედე და ჩაუვარე, არც მივსალმებოვარ, არაფერი. თითქოს ვეჭობრებოდი, რა. რატომ დამეწყო ეგეთი რალაცა, არ ვიცი. რა ომი ამიგყდა. მოკლედ, იმ დღით პირველად შემომიძვრა რალაც. არა, წასვლაზე კი არ ვფიქრობდი. ან სად უნდა წავსულიყავი. არც მომწყენია, არც არაფერი. მაგრამ დავიბოღმე და გარშემო თავისუფლება იყო. დიდი, დიდი თავისუფლება. ალბათ ამიგომ ავიბურძღლე. არადა, ვიქნებოდი მშვიდად ასი წელი და კიდევ მეცხანს, ამ მივარდნილ ადგილას. სიჩუმე იყო და იმიგომ. სინყარე იყო. ჩემთვის მაინც ჩანდა ასე. მაგრამ რალაცეები დაგროვილი მქონდა უკვე და ამიგომ დამემართა. იყვნენ ყველანი, რათეკიან-მარინკიან-შტაბიან-წიგნიანად. რალაც მომბეზრდასავით.

ვფიქრობდი, მაინც მინდოდა აქ ყოფნა. არსად მქონდა წასასვლელი. თბილისში ყოფნას კი სჯობდა. თან სად უნდა წავსულიყავი, არც ფული, არც მანქანა, არც არაფერი.

— გიუშ, საით?

მოვიხედე.

ვართანა იყო.

თითქმის სირბილით მოდიოდა ჩემსკენ.

— ესეირნობ, რა...

— შორს არ წახვიდე, გიუშ, მგრები დაძვრებიან, ახალი ცნობები გვაქვს. რალაცეები შეიძლება მოხდეს დღეს და ხვალ.

— რუსებიც გადაიღებენ და რამე, — ვუთხარი თითქოს კმაყოფილმა.

— მარტო, მაინც მოერიდე, — საგუშაგოებს იქით არ წახვიდე, დღეა, მაგრამ მაინც. ეს სამი სოფელი გავეჩხირეთ ყელში.

თათრების ნასროლი, რაც აქ ვარ, არც მინახავს და არც გამიგია, ერთი გაისროლეს და ისიც ჩემი „ძევიატისკენ“ წამოვიდა. ესენი უჭახუნებდნენ და ვითომ არათვერი. კარგი-მეთქი და ისევ ჩაუყევი გზას. უკვე ვიცოდი, საითაც მივდიოდი. ჩემი „კორეში“ ვალერა უნდა მენახა. სხვა რა უნდა მექნა, სად უნდა მივსულიყავი, არ ვიცოდი. ან ვისთან მქონდა მისასვლელი, არავისთან. ტალახიან ჩიხში შევედი, მონგრეულ ღობეებს გადავალაჯე და დავინახე კიდევ ერთი ბენო, დაბალ, ტოტებგაფარხხულ ხეებს შორის ჩადგმული სახლი. დაბალ აივანზე, სადაც ძველი ავეჯის ნარჩენები — ნესტგამჯდარი, ნვიმით თუ რალაც სისულელით დაბრეცილი კარადა და ტყავმოცვეთილი ტახტი ეწყო — ჭუჭყიან ლეიბებსა და ზურგმომტვრეულ სკამებს შორის ვალერა-მეფუნჯე იდგა. ნინ უშველებელი, უსწორმასწოროდ გამოჭრილი დასვრილი და ცხიმით შემკული მუყაო შემოედგა, რალაც დაჯდორკილი ხის სადგამი გამოეთხარა საიდანღაც და იმაზე დაემაგრებინა.

გაჭირვებული და გამომხმარი საღებავები, გაურკვეველი ფორმის ქილებში და ფაიფურის ჭიქებში გაეხსნა. პალიტრა თუ რალაც არსად ჩანდა, ალბათ ტახტის კიდეს თუ იყენებდა ამისთვის, რადგან უკვე გვარიანად მოეთხუპნა ჭყეტელა ყვითელი და თეთრი ფერებით.

მთელი სამღებრო იყო, რა.

— ვა, ძმაკაც, — გაუხარდა ვალერას, — აი, თუნჯი ვიპოვე, ძალიან დიდია, მაგრამ არაფერი. ჩვენ რომ გუშინ ვილაპარაკეთ და ამინდიც გამოვიდა, ორი დღეა, ვხატავ. ა, ხომ კაცურია? მისმინე, აი, იმ გორაკებს ვაკეთებ... ცოტა დავლიე და კარგად მიდის...

ახლა ამას ხატვა დაუწყია ჩემი ხათრით. თეთრი და ყვითელი, ცოტაც, იატაკის აგურისფერი საღებავი. ამ სამ ფერს ხმარობდა. კიდევ ჰქონდა რაღაცეები, ერთი ორი ქილა, მაგრამ არ სჭირდებოდა, ალბათ. მხოლოდ ამ სამი ფერით ვადიოდა იოლად. ისე, ეტყობოდა, მუდამით აწვებოდა, იმიტომ რომ, მომეწონა. არა, იმიტომ კი არ მომეწონა, რომ მართლა კარგი იყო. ისეთ რაღაცაში იჯდა, რომ განწყობილებას ქმნიდა, რა. ნაღდად ქმნიდა სინყნარისა და სიმშვიდის, რაღაც გამოყრუებულობის განწყობილებას. ეგ მომწონდა, თორემ, ისე, ნაღები იყო.

— სარიანის სკოლაა, — მითხრა და თვალები მილულა — მხატვარი იყო ეგეთი...

— თეროსმანის ხომ არაა? — გამეცინა მე. გამახსენდა, ნანამ ერთხელ თეროსმანის უშველებელი ალბომი მოიგანა. საზღვარგარეთ გამოშვებული და რამე. ხომიანი ნახატები იყო. დიდი თვალები, შემცბარი სახეები, დაფიქრებული სიტუაციები, ერთი დათვი ეხატა, მთვარის შუქზე, ხის ტოტზე იჯდა თუ იდგა. მაგარი ფერები იყო. ეგრეც მოგინდებოდა იმ ცყეში შესვლა და ტოტზე გასული დათვის თვალთვალი, ვერცხლისფერ შუქზე. თენგიზამ ჩაათვალერა და ძან ქალაქურად თქვა, კარგი ჩანათფიქრები აქვს, ოღონდ ხატვა არ იცისო. ქეიფები მოეწონა, ალბათ.

მოკლედ, ხატავდა ვალერა-ძველი. იქვე ჩამოვჯექი, სიგარეტი ამოვიღე და ბორცვებს ვაუხედე.

— რუსები ჩამოვიდნენ?

— ჰო, წიგნს წერენ...

— მაგათი. რუსეთში ვერ დანერენ?

— აქაურობაზე წერენ.

— მართლა ქალი ყავთ?

— ყავთ, რა...

— მერე არ გაუკეთე?

— მაგის დედაც...

— ეგეთი უშნოა?

— არა. ნორმალური.

— მერე, გაუკეთე. ეგენი გიჟდებიან, ისე უნდათ, თავისებისგან არა ჰყოფნით...

— გამოქლიავებული ქალია.

— ქალი ქალია, უნდა გაუკეთო. თუ არ გაუკეთე, ცუდად იფიქრებს შენზე...

— მაგის დედაც...

ეგეთი ბაზარი წაფიდა, ძველი.

— ამ მთებს იქეთ თათრები არიან?

— თათრები არა... ჩვენი სოფლებია. აქ სულ ჩვენი სოფლებია, მაგრამ მიტოვებული. ამ სამ სოფელში დარჩა ხალხი. და ესენი, ჩვენები. აქეთ ეგენი ვერ მოხვდებიან ჩვენების შიშით. ესენი რომ არ იყვნენ, იცოცხლე, მოგვანებოდნენ.

— დღეს ან ხვალ რამე მოხდებაო...

— რა მოხდებაო?

— რაღვი, ბიჭებმა მითხრეს, შორს არ წახვიდეო, თათრები დაძვრებიანო. ცნობები გვაქვსო.

— ზღაპარია. ეგრე არ მოვლენ. თან, ჩვენ შუაში ვართ. წინაც ერთი სოფელია, უკანაც. აქეთ იქით ტიგველია ყველაფერი. დიდი-დიდი, ვერცმურენი გადმოატარონ.

— ეგრე მითხრეს და...

— გეხუმრენ, ალბათ, ძმაო...

— რა ვიცი.

— რუსებს ხომ არ უგორებენ?

— გამაჩერეს, რომ მოვდიოდი და მითხრეს.

— რა ხუმრობაა? დაცინვაა, თუ რა.

ნამწვი გადავაგდე. ალბათ რალაც იყო, თორემ ჩემი გაფრთხილება რაში დასჭირდა იმ ოთხთვალა ვართანას-მეთქი, გავიფიქრე. კარგი იყო ვალერას აივანზე ჭლომა. როგორღაც, მოსვენებულად ვიყავი. თვითონაც ისეთი იყო, დიდად არ შეგანუხებდა, უბერავდა თავისთვის, მაგრამ, ეცყობოდა, ბევრს სვამდა, სვამდა და მერე ეგდო, ალბათ, ამ აივანზე სიჩუმის მსმენელი. როგორც ყველა ძველი, დიდად ვერ ერკვეოდა ადამიანებში. მე, მაგალითად, იმიტომ მოვწონდი, რომ ქართველი ვიყავი და გაგონილი ჰქონდა, თბილისელები აბრზე მოსული მასტები არიანო. სულ ეგ იყო. ისე, ყველა ავტომატიანი კაცი მოსწონდა, გამკეთებელი ხალხი, ამბობდა. მოკლედ, კარგი, სტანდარტული ძველი იყო, გამოცდილი და რამე, ოღონდ, სოფელში როგორ ძლებდა, თან ამ მიყრუებულ სოფელში, ვერ გავიგე. ეცყობა, ჩემსავით გამორიდებული იყო რალაცას, თორემ ისე, ლენინგრადში ჰქონდა დამთავრებული აკადემია და მთელი ამბავი. იმიტომ მოვედი მასთან, რომ მომეჩვენა, რალაცაირი იყო, თავისუფალი. ისეთი, რომ არათერს დაიშლიდა სხვის ნათქვამზე. ეგ მომწონდა, თორემ ისე რა ჰქონდა გადასარევი, ერთი ბებრულად დანაოჭებული თმაშეთხელებული ვინმე იყო, მორჩა და გათავდა. მეტი არათერი ეცყობოდა.

ვალერამ თუნჯი გადაღო და ხელები შეიწმინდა ცილობე.

— ნამო, სახლში შევიდეთ.

ლუმელთან ყუთის ფიცრები ეყარა. დაბალ სკამზე წიგნი იდო, ახლაც მახსოვს მისი სათაური. რუსულად ეწერა „გადაკარგული ქვეყანა კალაჰარი“, კუთხეში რალაც სხვა წიგნებიც მივლავებინა, ალბათ სომხური. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა სომხური იყო.

— ეს რა, ბიბლიაა? — ავიღე პატარა ცისფერი წიგნი, რომელსაც ზედ ჭვარი ეხატა.

— სახარება, — გამომართვა და შუაში გადაშალა. დადგა და დაიწყო კითხვა. სამად სამი სიტყვა დამამახსოვრდა: „ეჲ ასაც ასტუნ“ — და ქართულადაც, დაახლოებით მაგნაირივე ადგილი ვიცი სახარებიდან — „ჭემპარიტად გეუბნებით მე თქვენ...“ თვითონ ნათქვამი კი აღარ მახსოვს. თორემ ისე რას ამბობდა, ვიცი. ზოგადად, რა, მაგრამ ესე არ მახსოვს. ვინ მასწავლა, რო? ერთი „სუპერსტარი“ მაქვს ნანახი და რალაც განელილი ფილმის ნაგლეჯები, რომელიც გოგლიკომ დაიწუნა, არათერი არ ხდებო.

ვალერამ არაყი გამოიღო და სენიორ პომიდორის დამწნილებული ვარიანტი მოაყოლა. ისე, სულ მწნილს ჭამდა, ან რა კუჭი უძლებდა, ან როგორ არ კვდებოდა, ვერ დავადგინე. მწნილის გარდა, არათერი ჰქონდა სახლში.

— დავლიოთ, ძმაო.

— დავლიოთ.

ერთმანეთი ვადღეგრძელებთ.

— ომი რომ დამთავრდება, ერევანში წავალ, — თქვა ვალერამ. — ბევრი ძმაკაცი მყავს. ბავშვებიც იქ მყავს. ჩამოვუვლი ყველას და შევუბერავ ჩემებურად...

— ერევანში?

— უამრავი ძმაკაცი მყავს, ღიღხანს ვმუშაობდი იქ, სამხატვრო სკოლაში, მერე ბოლო ცოლს ვეჩხუბე, ვცემე, რა, და აქეთ გამოვრეკე, ბებიჩემთან. ბებიაც მოკვდა, ომიც დაიწყო... შებერვა მომენატრა.

კიდევ დავლიეთ.

— რა ხდება შტაბში?

— რა ვიცი, ჩალიჩობენ.

— თათრები ჰყავთ?

— არა, რა თათრები.

— თუ რამეს დაეცემიან, ერთი-ორი თათარი ყოველთვის მოჰყავთ. იმათაც მიჰყავთ ჩვენები, ოლონდ, ხოცავენ, თუ ვერაფერი გამოადნეს... ეჰ, მოდი, სანყალ ხალხს გაუმარჯოს...

— მძევლებად მოჰყავთ?

— მძევლებად არა... წამოიყვან და ფულს შეუთვლი. გამოსასყიდს, რა. თუ გამოდგა პატრონიანი ან ოფიცერივით თუა, ჩამოიტანენ, რაღაცას მაინც ჩამოიტანენ. თუ არა და, მკვდარიც ფული ღირს, ხომ გინდა, შენი მკვდარი კაცურად დამარხო... აქა-იქ შერებიან ეგრე.

დავლიეთ.

— ამათ არც ფული აქვთ, არც არაფერი, ეგეთი რამე ხელს არ უშლის, ხომ იცი, ომია. ათას რამეში ტრიალებს ის ფული.

— რა ვიცი, არავინ ჰყავთ.

— რუსებს არ დაანახებენ ეგეთ რამეს.

— რუსებამდე აქ არ ვიყავი? მაგათთან ერთად არ მოვედი, იმ ჩათლახებს რომ გამოვექცით?

ვალერა გაჩუქდა. დიდხანს მიყურა, მერე ისევ დაასხა და რაღაც ისე, გულს გარეთ თუ სხვათა შორის მკითხა:

— გინდა, ჩემთან ვადმოდი, აქ იყავი, ვხატოთ და რამე?

— რა ვიცი, — როგორღაც არ მოველოდი ეგეთ რაღაცას, — სირცხვილია, გამათბეს, ჩამაცვეს, ეგრე უცბად...

— როგორც გინდა. მე ისე, ძმურ ამბავში. თუ მაინც ძალე უნდა წახვიდე აქედან, აბრიც არა აქვს.

კარგა ხანს ვფიქრობდი ამაზე, მთელი დღია, წასვლისა არათუ ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი, ვერცმდურენი ისევ დაჯდებოდა აქ რამდენიმე დღეში. ეს რუსები ხომ არ დარჩებოდნენ? უკვე ისეთ ხასიათზე ვიყავი, თან შემიბრუნა და რამე, რომ ვფიქრობდი ეგეთ რაღაცეებს.

— ამათ რაგომ გამოჰყევი? — მკითხა ვალერამ. დაკითხვის ხასიათზე იყო, რა.

— ისე. რა ვიცი, ბათქაბუთქი იყო, მეთქი, არ მომკლან.

მოვებოდი რაღაცა. ეს „რა ვიცი“ მაგიჟებს, ყველაფერზე „რა ვიცი, რა ვიცი, რა ვიცი“. ასე მგონია, თუ ადამიანს ნორმალურად ველაპარაკები, სხვა პასუხი არა მაქვს. მართლა არათუ არ ვიცი, არათუ არ ვფიქრობ, თუ არ მეხერხება ეგეთ რამეებზე ფიქრი. რა ვარ ასეთი დაუმთავრებელი.

დიდხანს ვილაპარაკეთ. ვალერა მხატვარი ძალიან დაინტერესდა ყველაფრით, განჯის ამბებით, ჩვენი მოგზაურობით, გოგლიკოთი, რა აღარ მკითხა, ბარიგას რა ერქვაო, ისიც კი გამოიძია. ნაღდი ძველი იყო, რა. მაშინ მეგონა, ჭორებს იყო დანაცრული და რამე. თურმე, საქმეში ხარ? მართლა ძველია, მაგარი გამოცდილი ძველი. ახლა რომ ვიხსენებ, სულ ამერიკული თელმები მიდგას თვალწინ, იქ რომ ბაზარი გაიწევა და რამე. ზუსტად ისე იყო, ზუსტად. თუმცა, მაშინ არ ვფიქრობდი ამაზე. ჯერ არ ვიცოდი, რომ რაც არ უნდა შორს წახვიდე, შენს ცხოვრებას ვერ დაემალები, როგორც გჭამდნენ სიონის ბარების ხმის ქვეშ, ისე შეგჭამენ სხვაგანაც, არ დაგანებებენ.

მერე გარეთ გამოვედი. კარგი მაგარი მთვრალეები ვიყავით. ვალერა ისედაც მთვრალი იყო, მანამდეც, მე კიდევ კარგი ლოთივით შევბრუნდი წინაღამის გრადუსებში. ჩემი „კორემის“ შოკოლადისფერი სახე, რომელიც თიბიკურ რუკას წააგავდა, უამრავი ნაოჭი და შეთხელებული ჭკარა თმა... აი, ავლაბარში ნახავ ეგეთ ხელოსნებს, ან პროფილაქტიკებში, ან სანთებელას დასაგენ ჭიხურებში. მაგრამ ვალერა სხვანაირი იყო, მხატვარი იყო, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა და არაფერს იტყუებოდა. ეგ იყო მთავარი. ყველაზე კარგი ეგ ქონდა, თორემ ისე, მაგარი შეზღუდული კლიენტი იყო. კიდევ, კიდევ, გამოცდილი იყო, ნაძალადარი, ნაცვეთი, ნაუბედურალი. თითქოს ყნოსვა ჰქონდა რაღაცისა, წინასწარ იცოდა ბევრი რამე.

ერთხანს ჩუმაღ ვისხედით. მერე ადგა და თავისი ბორცვების ღებვა განაგრძო. დიდი მონდომებით ღებავდა, თუ შთაგონებით, მგონი, ასე უნდა ითქვას.

— იცი, ძმაო, მოდი, შენც დახატე რამე.

— რა ვიცი. რა დაეხატო?

— საცოლლე არა გყავს? დახატე.

— თუ ძმა ხარ.

ვიცინით. როგორ დაგხატო, იანა? მე რომ მაგდენი შემეძლოს, მთელი წელი მეც არაფერს გავაკეთებდი, ვიჭდებოდი და ვხატავდი, საერთოდ არ ავიღებდი ტელეფონს და კარსაც არ გავაღებდი. მაგრამ როგორს დაგხატავდი. ცხვირი გაეს? გაეს, შუბლი გაეს? გაეს, ტუჩ-ნიკაპი და რამე, ეგეთი სისულელე გამომივიღოდა. მე კიდევ... მოკლედ, არ მომიხდა ხატვა ჭყეტელა ყვითელი ფერით.

— შენ რომ შემოხვედი, სახე გქონდა ისეთი, რომ ჩემი ბიჭობა გამახსენდა... იქეთ დამაბრუნე, რა. აი მაშინ მოვწვევდი, მერე სახელოსნოში ავდიოდი და ვხატავდი. ეგეთი დრო გვექონდა. მერე ქალი გაუძარცვეთ ქუჩაში. ძალიან შეეშინდა, კინაღამ მოკვდა და მიმარიცხეს, ექვსი თვე ვიჭექი. ჩვენ რა, ორი ბოთლი „ვასპურაკანის“ ფული გვინდოდა. მეფურად უნდა შეგვებერა.

რაღაც ტირილში გადავარდა, ძალიან მოენატრა რაღაც, კაიფში წავიდა, რა. შემეცოდა, ამდენი ვინმე და რამე არ შემეცოდებია არასდროს, რაც ბოლო ერთ წელიწადს. გარდაცხის ასაკი მაქვს თუ რა ჯანდაბაა.

უცებ წამოვდექი:

— შენ ხატე, ვალერ, მე გავალ და მერე გამოვივლი.

ფუნჯი გაუშემდა ხელში და შემომხედა. ძალიან ძმურად, ძალიან ისე, რა.

— რამდენი წლის ხარ, გიუშ, ძმაო?

— ოცდაოთხის, — გამეცინა მე.

— ვეს მირ ვ კარმანე.

— აბა, აბა...

— გიუშ, ჩემი იმედი გქონდეს, — მითხრა ხმადაბლა, მოჭუტული თვალებით.

მერე ოთახის კარი შეაღო და გამომხედა.

— აჲ, კარადის თავზე, გადაჭრილი შაშხანა დევს, თავისი ოთხი ტყვიით. ჩემია, იმისთვისაა, რომ კაცმა გამოიყენოს, იცოდე, ძმაო.

ისევ გამეცინა. არ მეგონა საქმე ეგრე ცუდად, თუმცა არყიანი ფიქრები მანვებოდა უკვე.

— ეგ იცოდე, ძმაო. — მერე ერთმანეთს გადავეხვიეთ.

კინოში ვცხოვრობდი, რა, ორი დღე პანსიონატში, მერე რალაც ისეთ, შემპარაფმუსიკიან კინოში.

წამოვედი.

სოფლის გზებს ამოვუყევი ისევ. შტაბში მოვდიოდი, ჩემი ოცნების ქალიშვილის და მისი ძმაბიჭების შეთვალაიერება მინდოდა. განწყობილება — დებოშისთვის მზად ვარ. დაბალი, გატარჩხული ხეები მეჩხირებოდა თვალში. მაგარი ბიჭი ვიყავი უკვე.

აღარც მზე იყო, აღარც არათფერი. საერთოდ აღარ იყო მზე და იმ შტაბშიც არ მინდოდა მისვლა, მაგრამ რა უნდა მექნა, მართლა ვალერასთან ხომ არ გადავიდოდი! ახლა რომ ვფიქრდები, ნაღდად უარესი იყო.

მეთაური რაფიკა, კუნთის ნაგლეჯი, ვართანა თავის სათვალთ, არმიკა, ისტორიის მხრეკელი, გათიშული მარკიორი, წვერგაბურძენილი გუმაგები, ნავთის ლუმელი და სიგარეტი „დვინი“, თხასავით რუსები, თავიანთი წიგნაკებით, ცენტრუშკა მარინკა, ომი, ღომი რა ვიცი, ამათი „ბეტეერები“, ჭანდაბები და თაღლითობები, ჩათლახური ძმობა და რამე. ეგ

მაგათი ტიტველი ბორცვები... მოკლედ, მაგარი ვინეგრეტი მქონდა თავში. მა-გა-რი. ახლა ჩემი შინდისფერი არწივი, ჩაცხრილული და მიტოვებული, გოგლივით ვირისთავი, დაკარგული და მიტოვებული. ერთმანეთისთვის... კიდევ ათასი რამე. მე და ამ ვალერამ ერთმანეთს დაუმართეთ რაღაც, მაგრამ მარტო ეგ არ იყო, არ ვიცი, ამ სამხედრო ფორმის ბრალი იყო თუ რის, მაგრამ რაღაცნაირი, საბრძოლო ფიქრები მქონდა. თითქოს ჯანი მანვებოდა მხრებში და ხელებში. ვალერას გამო იყო, ნაღდად ვიცი, ვალერა იყო და იმიტომ, თორემ მე აქ...

ენა მისწრებს, რა.

შგაბში ავედი.

არც ბილიარდის ბურთების ჭახუნისთვის მიმიქცევია ყურადღება, არც ბნელ ღერეფანში მოფუსფუსე ტიპებისთვის. პირდაპირ ჩემს ოთახში შევედი და იმ ჭრელ ტახტზე დავეგდე. ის ლურჯულვაშებიანი ანდრანიკაც მიყურებდა პირდაპირ თვალებში. შემჭამა, რა. რას მიყურებს, რა უნდა. აი, ვიკა მიყვებოდა ერთხელ, ეგეთ რაღაცას. მაილს დევისის მიტოვებული პლაკატი ჰქონდა, თრანგული თუ რაღაც. ამ დევისს თვალები ჰქონდა დიდი-დიდი. გაშინებდა, რა. ფიქრით გაშინებდა, ისეთი ჩამჯდარი და ჩასიებული, ლიბრგადაკრული თვალები ჰქონდა, რა მხიარული ჭიკჭიკიც არ უნდა გქონოდა თავში, მაინც რაღაც შფოთს აგიტყებდა. მოკლედ, ვიკა ვერ იძინებდა, დევისის თვალები ანათებდა სიბნელეში და ვიკა-ჩერჩეტი ნერვიულობდა, ქვეყანა როგორაა მონყობილიო და რამე. მერე დაახვია და კარადის თავზე შეაგდო. ამოვისუნთქეო, ხუმრობდა ხოლმე, კიდევ მძინავს და სიზმრებიც გემრიელ-გემრიელი მესიზმრებაო.

ჩემს ანდრანიკას ვერ ჰქონდა ისეთი ფიქრის ამშლელი გამოხედვა, მაგრამ მოშტერება კი ეხერხებოდა, მაგ ცხვირპირგახუნებულს მაგას.

ვართანა შემოვიდა, მაგიდასთან დაჯდა და რაღაცის წერა დაიწყო.

— გიუმ, არ გშია? მოდი, რამე ვჭამოთ.

არა-მეთქი, ვუთხარი.

— რაღაც ვერა ხარ. მოგეწყინა აქ?

წადი შენი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— შენ, როცა გინდა, თქვი და ნახვალ, თუ რამე ისეთია... შენ არ იფიქრო, რომ აქ ვინმე წახდება და შენს გამო რაღაცას ვერ აკეთებს. ეგ არ იფიქრო. აი, ეს ჩვენი რუსები რომ წავლენ, თუ გინდა, გაჰყევი.

— როდის მიდიან?

— ერთი, ორ-სამ-ოთხ დღეში. აქ რომ ვერცმფრენი იყო, იმით...

— რა ვიცი. სად წავიდე, ვართან?

— მე მგონია, ეგ მე არ უნდა ვიცოდე.

— თათრები უნდა გაუწენო, ძალიან ძვირი დამისვეს ერთი გასეირნება.

გაეცინა.

— როგორ უნდა გაწენო?

— თბილისში ჩავალ და იქედან ჩემებს წამოვასხამ, სხვა ვარიანტი არაა. — რალაც სისულელე მოვიგონე.

— ძნელია, ძმაო, — მითხრა სერიოზულად.

უკვე ვაპირებდი ამათთვის არევის.

— თბილისში სამოცდაშვიდი იაღონი მყავს, ყველას აქეთ წამოვასხამ.

იაღონმა დააბნია. ალბათ ფიქრობდა, იაღონი რამე იმათეური ჟარგონიაო. ხომ ნიშნავს მილიციის მოტოციკლებს „უანარეიკა“ თუ რალაც ჭანდაბა.

— ოო, ეგენი თუ ჩამოიყვანე, კარგი ამბავი არ მოხდება.

— რატომ, — მთლად გავიჭეტილე, — იგალობებენ და იგალობებენ, მერე განჯის ბაზარზე დაგყიდი და აღებული ფულით მანქანას გამოვისყიდი.

— შენ, რა, ხუმრობ? — ცოცხა არ იყოს, შეცბა.

— რა მაქვს სახუმარო, იაღონების ფერმა მაქვს, ბარბალოსი გაგიგია? აი, იქ.

— ბარბალოსი?

ბარბალოსი, მგონი, ქალაქი თუ კუნძულია, ცხელა და ზანგები ცხოვრობენ.

— ჰო, ბარბალოსი, აი, არმიკას ჰკითხე და გეტყვის, იაღონების ქვეყანაა...

ვართან-ბრძენმა სიგარეტს მოუკიდა და ჩაილიმა.

— ეშმაკი ხარ, შენ, გიუმ...

— თქვენზე ეშმაკი ვარ? — შევუბღვირე უცებ და თვალეში მივაშტერდი. — შენი შესამონმებელი არაა, მე სად დაუხვევ და სად ჩაუხვევ, გაიგე?..

— შენ, შენ ხომ არ იცი, მე გეუბნებოდი...

აღარ დავაცადე.

— ნადი, ის რუსები აცყუე, რა. დაახვიე აქედან, დაახვიე და ნაბიჭვარი რუსები აცყუე, სუჯუკი აჭამე და აცყუე, გაიგე?

— შენ რამე ხომ არ გეძლება? — ძუძუმწოვარა იყო, რა. ამ ომებმა და უბედურებამ ისეთ ხალხს მიაჩნია ავტომატები, გაგიჟდები.

— დაახვიე აქედან და რაფიკას უთხარი, მე რუსის ნაბიჭვარი არ ვარ-მეთქი, გაიგე?

— გიუმ, ძმაო...

— შენი ძმები ფერმაში ეძებე, ნადი, რა...

აღგა და გავიდა, თან სათვალეს ისწორებდა.

ესეც ასე.

ორი წუთი არ გასულა, რაფიკა შემოვარდა.

— რა იყო, ძმაო?

არეული სახე ჰქონდა. ფიქრები ვერ დააღაგა, ალბათ.

— მე ტყვე ვარ?

— ძმაო...

— მე ტყვე ვარ?

— შენ ჩემი ძმა ხარ.

— აბა, რა მაგის საქმეა, საით გავუხვევ და რას ვიზამ?

რაფიკა ჩამოტდა.

— ძმაო, — დაიწყო მძიმედ, ბევრ-ბევრს ფიქრობდა. შენ ჩემი ძმა ხარ, შენ მე უნდა მელაპარაკო. აქ ომია. ამათ შენ ვერ გაუგებ. მე კიდევ უნდა გამიგო, აქ ომია. თუ გითხრა რაღაც, ხომ იცი, ან გაგაფრთხილა, ან იფიქრა რაღაც ისე...

— ნაფიდეს, თავისთვის იფიქროს, სულ რაღაცეებს მეკითხება, ყნოსავს და რა ვიცი...

— შენ მე მელაპარაკე, ძმაო, ნასვლა გინდა, ნადი, დარჩენა გინდა, დარჩი, ჭამე და სვი...

— ეგ აზრზე მოვიდეს, — ვუთხარი წყნარად და მერე შევუგდე: — სოფელში გადავალ სადმე, იქ ვიცხოვრებ, არ დამიყენეს სიტუაციები?

— ძმაო, შენ ჩემი სტუმარი ხარ, მე ეგრე მგონია და ისე, როგორც გაგეხარდება.

— კარგი რა, რაფიკ, სულ დამდეგს და მიყურებს.

მთელი ამ საქმიდან, ყველაზე უფრო ის მიკვირს, როგორ მოვახერხე ესეთი ნაღდი ლაყბობა.

მერე ძველებურად, ძმურად, ხელიხელგადახვეულები გავვდიოთ დერეფანში, რადგან თურმე იქით ოთახში ჩაი და ვახშამი გველოდა.

რუსები არ იყვნენ, ჩაიდან თუხთუხებდა, არავინ იყო, ერთი ჩუმი რადისტის გარდა.

ვჭამეთ და ჩაიც მოვიდა.

— მორჩა ყველაფერი? — მკითხა რაფიკამ.

— ჰო, — ვუბასუხე ხმადაბლა.

მერე სიგარეტს მოვუკიდე და გარეთ გამოვედი. ისიც გამომყვა.

— დაისვენე, ძმაო, — მითხრა და იმ ფერმა-ყაზარმისაკენ წავიდა.

— ბილიარდს ვითამაშებ, — გავძახე მე.

ჩუმი სიბნელე იყო, როგორც ყოველთვის.

აღბათ, უკვე ხვდებით, რაც მოხდებოდა. აღბათ უკვე იცით, შტაბის გერიტორიაზე ვახშობის დრო წყნარი და მთვლემარე დროა. საგუშაგოები ამ დროს ორმოციოდე წუთით იხსნება და რამე. მხოლოდ სოფლის მისადგომებთან და ბორცვებზე რჩებიან.

თვითონაც იცით, ისევ კვნესა. ისევ კვნესა. დღისით, უბრალო ხმაურის გამო რომ არ ისმის, ისეთი. აი, ეგ იყო. ახლა მივხვდი. ეზოში ჩავედი და საუქუნაობთან გავიარე. ფრთხილად, ფრთხილად, თითქმის ფეხის წვერებზე. უკვე ვიცოდი, საიდანაც ისმოდა, სახლიდან ათ ნაბიჯზე იყო, დამხმარე სათავსოდან თუ რაღაც ჯანდაბიდან. კარზე დიდი ბოქლომი ეკიდა. არც ფანჯარა, არც სარკმელი, არც რამე. მერე მიწყდა, თითქოს არაფერი. ისევ სიჩუმე იყო. რაღაც გაურკვეველი ხმები მოდიოდა. თითქოს აცივდა, თითქოს კაცები თუ რაღაცეები დაძვრებოდნენ. რა ვიცი.

გამოვბრუნდი და პარმალზე ავედი.

ყველაფერი გამზადებული იყო გვინში. აქაც არ მომასვენეს, ამირ-დამირიეს ყველაფერი, გამაგიჟეს. ორი დღე და მორჩა, ან რას მოვეხეცებოდი, ან რეებს ვფიქრობდი. ჩემი საშველი არ იყო, უაზრო დეგენერატის საშველი, ჩემი საქმე, არ იყო ეგ ჩემი საქმე. თითქოს მარტო ვიყავი ისევ. ვეგდე, რა, „ელემის“ ჩამწვარი ღერით ხელში. ვეგდე.

არაფრის იმედი აღარ მქონდა.

არავის იმედი. მერამდენედ, მერამდენედ და სულ მარტო, არაფრის მცოდნე, არაფრის გამკეთებელი.

შევედი და ტახტზე დავეგდე. ისევ იანა გამახსენდა.

ისევ მოვნიე იმათი სიგარეტი. კურტკა გავიხადე და სკამზე მივაგდე, „ლიმონკა“ ვადმოვარდა და გავორდა სადღაც. დღეს უკვე მერამდენედ თითქოს თავს მახსენებდა, მისტიკა იყო, რა, ნაღდი მისტიკა. შლეგიანივით წამოვხტი, მოვძებნე და თავქვემ ამოვიდე. მერე ვალერა გამახსენდა, ხელყუმბარა, ვალერა, მისი ყვითელი ბორცვები და გემრიელი მწნილი.

რაღაცეები მოფიქრებული მქონდა უკვე, მაგრამ ამ კვნესებმა თუ ოხვრებმა, თუ ოხრობამ და ჯანდაბამ, ყველაფერი ამირია თავში. ჩემ გვერდით რაღაცას ვგრძნობდი. ვალერა იყო. არ ვიცი, ჩემით გამოვიგონე, თუ მართლა იყო ასე, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მეხმარებოდა. მეგონა, რომ მარტო აღარ ვიყავი. ახლა რომ ვფიქრობ, ჩემ გვერდით იყო, მაგრამ მაშინ ახურებული ვიყავი, უთოსავით, რა.

ერთი საათი ვეგდე. მერე წამოვდექი, სიგარეტს მოვუკიდე და ღერეთანში გავედი. უკვე ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი მოთქმებული მქონდა. მე ცხოვრება მიდი-მოდი და ერთმანეთის ფერება მეგონა, ალბათ, ეგრეც იყო, სადღაც, ვიღაცასთან, მაგრამ ჩემთან აშკარად იმაზებოდა. იმაზებოდა, რა.

გვინს თურმე ბევრი გოთვერნობის მოთქმება შეუძლია.

უკვე ვიცოდი ეგეც, მაგრამ ჩემი გვინისთვის და ჩემი ღოყლაპია თავისთვის მეგონა ასეთი რამეების მოთქმება წარმოუდგენელი. სად იყო გოგლივო?

მაგრამ აქ კიდევ იყო ვიღაც. ჩემი მეფუნჯე „კორემი“.

დემოკრატი ჟურნალისტების კარს მივაკაკუნე.

— მობრძანდით, — მოისმა იქედან.

კარი შევალე. ჯეელები მუშაობდნენ, მიშუგვა და სლავიკა. ორივენი წერდნენ. ეს ჩემი ცენტრუშკა მარინკა ლოგინზე იტდა ფეხმორთხმული, უამრავ რაღაცაში გამობხვეული. გვარიან-გრილოში სუფევდნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — მივესალმე ამათ ქალაქური ღიმილით და რამე.

ისინიც მომესალმნენ, თავიანთი ნიგნაკები გასწიეს და შემომჩერდნენ.

— მარინკა, თუ შეიძლება, ერთ წუთს, — გავიღიმე მე და ასევე შევაცქერდი.

— რა იყო? — მკითხა ისე, თითქოს გუშინ — არაფერი.

— ისე, საქმეა.

— რა ნაზი ხარ?

— მარინა, — მიუბრუნდა სლავიკა, ეგ იყო, ალბათ, მაგის კაცი, სულ შენიშვნებს აძლევდა.

წამოდგა და ორივენი ღერეთანში აღმოვჩნდით.

ასეა, სხვანაირად არ გამოდის.

თავი მათშია

ყოფნა, წრუნუნ-ჯან, ყოფნა.

მულტფილმები მესიზმრებოდა თუ რა, ვერ გავიგე. სიზმარი არ მახსოვს. რაღაც ისე მეძინა, ჰოპ-სტოპ და გავიღვიძე. თითქოს წამი იყო. ისე, არცაა გასაკვირი, რაც მე ძილის წინ ვილაპარაკე და ვიჩაღიჩე. ვიმუშავე, რა. ცხოვრებაში პირველად ვიმუშავე. მერე კიდევ დამეძინა კარგი ნამუშევარივით. ეს იყო პირველი საქმე, რომელსაც სერიოზულად მოვეკიდე და გავაკეთე. ესეთი საქმე. ალბათ, იმიტომ, რომ ეს საქმე მე მეხებოდა. ჩემს სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. არ ვაჭარბებ. უკვე ბევრი რამე ვიცოდი. ისე ჩამალპობდნენ აქაურ ღათოვლილ ბორცვზე სადმე, რომ თენგიზა მიქაგაძე და მისი არწივები კი არა, ინაური ვერ მომაგნებდა. ნამდვილად ვგრე იყო და თუმცა დღესაც არანაირი მტკიცება არა მაქვს, მაინც ვერაფერს ვადამარწმუნებს: იმ რაფიკასთვის მეც ისეთივე ტყვე ვიყავი, როგორც იმ უფანჯრო ჭურღმულში გამოკეტილი ტიპები. აბა, ნახეთ, მაგის დედაც ვატირე. რომ მოვრბოდით, თითქმის ძალით შემტენა მანქანაში. თუმცა ბრძოლა იყო და რაღაც ნაღდივით გამოვიდა, რა. გოგლივო ღარჩა. რაგომ არ დამიძახა? რას გაიგებ, ეგებ ეგონა, რომ ასეთ რამეს დამახება არ სჭირდება. ორივე კარგი ქლიავეები ვართ. მე ხომ ყველაფერი ჩაუუკაკლე ამ რაფიკას საკანში ყოფნისას. იმანაც იფიქრა, რაღა თათრებმა აკეთონ ამბზე ფულიო და წამიყვანა. დეპშას გაგიზავნო, მისამართი გამომთხოვა, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის. აქ ვყავდი, ამ მივარდნილ სოფელში. მომძებნიდნენ და მომადგებოდნენ, ჰოდა, მოითხოვდა ფულს ან საერთოდ გადამძალავდა და ისე დაითრევდა რამეს. ძნელი იქნებოდა ჩემი მოძებნა. შეიძლება, დამაჯერებელი არაა ეს ყველაფერი, რომელი ავაგა კრისტი მე ვარ, ან რომელი მომთქვრებელი. ეგრე ჩანდა, უბრალოდ, მორჩა და გათავდა. ისე დაფრთხებოდა ხოლმე, სადმე რომ ნაფილოდი ან ვინმეს ველაპარაკებოდი, ეტყობოდა, რა. სულ გვერდით უნდოდა, ვყოლოდი. ვითომ ძმაკაცი, პატრონი და რამე. ეგრე ჰქონდა გვინი მონწყობილი, შეხედა, მანქანა, შმოგვა, რამე, თან მიხვდა, რის თათარ ძმაკაცთანაც ვიყავი წამოსული. მერე გაჭედავენ ყურებს: ავღანელი ესაო, ისაო, ნაბობარი იყო საბჭოთა სინამდვილეში, მორჩა და გათავდა. როგორ მიცინოდა. თუ ეგეთი ძმა იყო, ვინ უკუნესოდა იმ საუკუნაში, არ მიმხელდნენ. ყველამ იცოდა, რომ ჩემშიც ფული იყო ასაღები. როგორც ვიღაც თათრებში, ისე. იმ ვართანამაც იცოდა. თან მეფერებოდნენ, თან გული უსკდებოდათ, არ მიხვდესო. ეს ვართანა რომ გამომეკიდა მაღაზიასთან... არა, ჩამაგდებდნენ სადმე ხაროში. ნაღდად ჩამაგდებდნენ. ერთ-ორ დღეს შეხედავდნენ კიდევ და ჩამაგდებდნენ. ამ რუსებთან ერთად არ მათრენდნენ ცაში. სწორედ მათი ნასვლის წინ დამძალავდნენ და მერე დაინწყებოდა. თან მეც რომ ეგეთი ბოთე ვარ. გამისწორდა. გავექცევი, აბა, ამას, იმას, მოგვცდები, ჩემთვის ვიქნები. გავთავისუფლდები. რას გათავისუფლდები, ყარაბალში გათავისუფლდები? კუბოებისთვის ფიცრები არაა და აქ გათავისუფლდები? ყველას და ყველაფერს დაიფინყებ? ვინ დაგავინწყებს,

ეს ჩათლახი „ბაევიკები“? თავიანთ მინას იცავენ თუ რაღაც ჯანდაბას, ფულის გაკეთებაც უნდათ, ბიზნესია თუ სამშობლო, ვერ გავიგე, რა.

ომი თუა, უნდა მოკლა, არა? შენ მირბიხარ, იტაცებ და მერე ფულს ითხოვ. ან მკვდარში, ან ცოცხალში. ეგაა ომი? ომი კი არა, კოლპერატივია. სომხურ-თათრულ კავკასიური კოლპერატივი. ერთმანეთს სახლებს ვუნგრევთ, ცოლებს ვუხოცავთ, შვილებს ვტაცებთ, მერე ფულს ვთხოვთ, ამ ფულით „მუხებს“ და „ზემლია-ზემლიას“ ვყიდულობთ და ერთმანეთის სახლებს ვუშენთ. წვერცანცარა რუსის ჟურნალისტები მოეთრევიან, ბატონი დემოკრატები და ჩვენზე წიგნებს წერენ, მამაცი რუსის ჟურნალისტები, ბრძოლებში კამერით დარბიან და რამე. ეგაა დღეს მთელი ჩვენი ამბალოვი. რუსი წერს, თან, როგორც აწყობს, ისე. დღეს შენ გაქვებს, ხვალ — იმას, ზეგ კიდევ — იმას და ა.შ.

ეგეთ რამეებს ვფიქრობდი.

სომხის მოტაცებული და რამე. თან რა სომხურად გამიცეუეს, ვითომ მე მშველოდნენ და რამე. ჩათლახები.

ამ ოთხი დღის მანძილზე, პირველად შემრცხვა გოგლიკოსი, სად დავტოვე, რატომ, რა არა...

მოკლედ, ღამე ვიმუშავე-მეთქი, გოგლიკოს ენა გამოვიბი და მარინკა-ძვირთასი დავაბზრიალე, სულ გადავრიე. ისე, ვერათერი გოგო იყო, გარეცხილ, სველ თოჭინას ჰგავდა. მაგრამ ძან ენერგიული რამე იყო, გამასავათა, რა. მიდი და მიდი, მიდი და მიდი, ორ-ორ ნათებას თუ მოასწრებდი კაცი. მაგარ აუტანელ რამეებს ვყვები, მაგრამ ეგრეა, რახან რაიმეს დაინყებ, ბოლომდე უნდა გახვიდე.

მოკლედ, მოვრჩით. დავანყნარე, თუ რაც იყო. თან თავიდან იბღვირებოდა.

— მომანეგინე, რა, — მითხრა უცებ. ხელი მქონდა გადახვეული, ჩემს მკლავზე იწვა, რა და, პირდაპირ ასე ეწეოდა ჩემი თითებიდან.

— აქედან როდის მიდიხართ? — ვკითხე მე. — ალბათ, ოთხ დღეში.

— ერევანში?

— ერევანში რა მინდა, სამხედრო ნაწილში დავსხდებით, ჩვენებთან.

— თქვენები რომელია, სომხები თუ რუსები?

— ჩემები ისრაელია, — გაეცინა. განუხელი თოჭინა იყო, რა, თვალეების ხამხამის თავიც აღარ ჰქონდა და არც მე ვიყავი ჯანზე მაინცდამაინც, მაგრამ, ძველებური, ლოთური ნათქვამი მუშაობდა, თან საქმე.

— გააკეთე რამე? გადაიღე და რამე?

— ისე რა, ბევრი არაფერი. რა უნდა გადავიღო, სახეები. ამოვიდა ეს გაბურძენილი ცხვირ-პირი ყელში.

— ეგ შენი აპარატი ღამითაც იღებს?

ისევე გაეცინა.

— პირველ კლასში ხარ?

— რა ვიცი, თქვენსას რას გაიგებს კაცი.

გაფრთხილებით, ძალიან მეძინებოდა, მაგრამ სულ ცოტა მქონდა დარჩენილი და ვთვითქობდი. ბურუსში ვიყავი, რა. ძან კაბანოვური მეჭირა, აი, კინო რომაა, ფელინი და რამე. იქაც თოჭინა არაა. ეგ მუშაობდა, რა.

— მე ავღგები, — და ერთი ისეთი მაკოცა. უჰ, მაგის.

მაგარი, მაგარი, საიდან ჰქონდა ამდენი ჯანი, ვერ დავადგინე. ახლაც არ ვიცი.

ადგა. ის თავისი ჯემპრი გადაიცვა, ჩაიცვა, რა.

— გინდა, კარგი რამე გადაგაღებინო?

ერთი შემომხედა. ისე, თავისებურად, დაცენტრილად. ალბათ იფიქრა, რამე უნმანურობას თუ ვეცოდი.

— რა გინდა?

— ცუდი ბიჭი ვარ? — გაუმარიაჟდი.

— თქვენსას კაცი ვერ გაიგებს, — თქვა და ჩამოჯდა ტახტის კიდებზე. — რა მაგარი სანოლია?!

— გინდა, გადაგაღებინო?

— რა უნდა გადამაღებინო? თავი გამანებე.

— აბა, აქ რისთვის ჩამოხვედი? ერთი ნაღდი ვერ უნდა გადაიღო? ჩემი და არმიკას ფოტოები უნდა ჩასვა იმ შენს ჟურნალში?

— რა გინდა?

ნამოვუტეცი და ალბათ ძალიან, ძალიან სერიოზული სახე მივიღე. ღამე იყო ნათელი და იმ ჩრდილებში, მე რომ თოჯინა მეგონა, იმას ალბათ პრიმაკოვი ვეგონე, ისეთი სიფათი მოვკერე. სერიოზული, მძიმე-მძიმე, პოლიტიკური სიფათი.

— მისმინე, სომხები უფრო გიყვარს თუ თათრები?

— ქართველები უფრო მიყვარს, ცოცხა იდიოტები რომ არ იყვნენ, — ისევ გაიცინა. აცუნდრუკებული იყო რა.

— მისმინე, მე შენ მაგრად მოგეხმარები, თუ გინდა მე ისეთი რამეები ვიცი, თქვენს ტილიან წიგნს რომ დახატავს, მოგეხმარო?

— რაში უნდა მომეხმარო? მეტი საქმე არა გაქვს. გუშინ გინდოდა და გამაგლე, დღეს გინდა და დამტოვე, თუ მომიყვანე. ახლა მოხმარება გინდა?

და ნამოდგა.

რაში ჭირდებოდა ჩემთან წოლა, მაინც ვერ გავიგე, ეგეთები არიან, რა.

— ნავედი.

— ბიჭები არ გაგიჭაჯრდნენ.

გაეცინა.

— შენ გეტყვი და შეაშინებ, შეაშინების ოსტატი ხარ.

მერე იღგა, იღგა და მიყურებდა.

— მაინც ვერ ვხვდები, რას აკეთებ აქ.

— ლენტი გაამზადე, სურათები უნდა გადაიღო, — გაუუმეორე ისევ.

— ნავედი, ნავედი.

და გავიდა. იდიოტი იყო, ნაღდი იდიოტი. ვერ დაეღაპრაკებოდი, ჭკუას კი ეკითხებოდნენ, ალბათ, იმ თავის ჟურნალში.

აი, ეგრე იყო.

ახლაც ავდექი, თავი ნავედარი და ჩაცმა დავინწყე. მძიმედ კი ვიყავი. ეგებ არც უნდა ვამბობდე, მაგრამ აქაური საპირფარეოსკენ, არც კი გამიხედავს. ეგრე ვიყავი, ყველაფერს თან ვატარებდი და კახელივით დამემართა, ხასიათში გადასდისო და რამე.

დიდ ოთახში გავედი, არავინ იყო, ჩაიდან ცხელი იდგა. თვითონ ჩაი არ ვიცოდი, სად იყო. ყველაფერი როგორა აქვთ დამალული... მთლად შეგყოფილი ვიყავი, ეს წვერიც წერვებს მიშლიდა. რომელი ის მე ვარ, ახლა წვერი.

ისევ მზე იყო გარეთ. რა მზე აუცყდა. რალაცნაირად სიმყუდროვე მომისპო ამ თბილმა ამინდებმა. უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა.

ეზოში გამოვედი. მიდი-მოდიოდნენ ეგენი. ჩემი ძმებიდან არავინ იყო, ალბათ სამხედრო სტრატეგიულ საქმეებზე თუ იყვნენ გაკრეფილნი. ეგენიც მყავდნენ, რა. იმიტომ ვერ იტანდა ბებიჩემი. თორემ მე რა, ერთხელ დავცხეთ დავგომისში და იქაც ოთხი იმათი დაიჭრა, ორიც — ჩვენი. ბლომად ფული კი წავიდა მაშინ. ყველას მამები ჩამოლაგდნენ. ჩამოიგანეს ასიგნაციები. იქაური მილიცია, მგერს. გაფუჭებულები არიან ჩვენი ფულით. თენგიზაც ჩამოქანდა, მერაბა ჩიკვაიძეც, დიგო რამიშვილიც. ძან ბრიგადა ვიყავით. ერთი გოგლიკო რჩებოდა, რა, შიგნით. საწყალი გოგლიკო. მაგრამ ისიც გამოვაძვრინეთ. ვიტრინების ფულში იტოვებდნენ ეგ ნაბიჭვრები. სხვა, სომხებთან, აბა, რა უნდა მექონოდა. დავლენეთ ერთად რესტორანი და ალიურა!

აქ კიდევ...

არა, დევნერატი ვარ, ქვეყნისა არათფერი გამეგება. რამ ჩამაკვეტა იმ დაფეხვილ მანქანაში?

მოკლედ, გამოვედი.

ისევ ჩაუყევი სოფლის გზას. ისევ გავიარე მალაზიასთან, იმ თოვლიან ბორცვებს მაინც არ აღვა საშველი. არც ეტყობოდა დნობა.

ვალერას სახლის აივანზე დასრულებული ნახატი იყო აყუდებული. მანდარინის მურაბაგადასხმულ ნაყინს ჰგავდა. არც სოფლის სახლები ჩანდა, არც რამე. ერთი ხეც არ გაემეცებინა. მაგრამ ეძუშავა, რა გინდა. ცა ნაღდად აქაური იყო. ოღონდ უამინდობის დროს რომაა, ისეთი. იაგაკის საღებავით და თეთრით დაეხატა. ბორცვები კი მზიანი იყო. თითქოს კარგი ბიჭები ვართ, მაგრამ ჩვენ-ჩვენი საქმეები, ხელობა რომ ჰქვია, როგორღაც არ გამოგვდის, არ ვიცით, რა. ისე ვართ კარგი ბიჭები. ოქრო ბიჭები. კეთება კი არათურისა არ ვიცით, რაც გვისწავლია, იმისიც არათური გაგვეგება. რაღაც ერთი პონტი გვაქვს დამხეცებული და ეგაა. გამოდის, ხომ კარგი, არა და ისევ იმას ვანვებით.

ჩემი მხატვარი კორეში ოთახში იყო. ინვა და ეძინა ჩამხობილს, მოკუნტული იყო, ერთი მტკაველი თუ იქნებოდა. თავი საღდაც კედელთან ჰქონდა გაკვეცილი. ნავთი შევასხი მიმქრალ ღუმელში და ცეცხლი დავანთე. მერე წიგნებს დავუწყე თვალთვრება. რუსული რაც იყო, ყველაფერი ვნახე. რაღაც სათავგადასავლო რომანები და ჰუმუნიის ლექსები. კარგი ლექსები იყო, მაგრამ საღ მქონდა იმათი კითხვის თავი. ჰუმუნი კი არა, მთელი მაგათი სიბრძნისმეცველება ვერ გამომიყვანდა, ისე ვიყავი. უკვე ვნერვიულობდი. ჯერ დილა იყო და უკვე ვნერვიულობდი. მაინც რაღაც მეიმედებოდა, ალბათ, ვალერა, მაგრამ ისიც ხომ იმათიანი იყო. როგორღაც ისე მოხდა, რომ ჩვენ ერთმანეთთან კარგად ავეწყვეთ. არ ვიცი, რატომ. იმას ჩემი ის მოსწონდა, რაც არასდროს მქონდა. მე კი იმისი — ის, რაც ალბათ თვითონ ეზიზღებოდა. ახლა, მის მინგრეულ-მონგრეულ ოთახში მჯდომი, ვიჯექი და ვთქვით იმაზე, რომ არსად წასვლა არ მინდოდა. მიუხედავად იმისა, რაც რაფიკამ გამიჩალიჩა, მაინც აქ მინდოდა ყოფნა. მინდოდა ასეთივე სახლი, ასეთივე ღუმელი და ასეთივე ნესტგამჯდარი წიგნების გროვა კუთხეში. ძველი ლიტრიანი ბოთლები, შაფარჩიანი გახუნებული ფოტოები და სიჩუმე. რაღაცნაირი, ნისლიანი, ცისფერი სიჩუმე. მინდოდა ძილისწინა ღერი რიკულებჩაცვენილ აივანზე და იანაზე ფიქრი მთვარიან ღამით.

აი, ეგ იყო. ოღონდ, აქაც არ დამაყენეს.

თავისუფლება, მარტობა კარგი იყო, მაგრამ ამ „ბაევიკების“ ტყვედ რომ ვგრძნობდი თავს, აღარათური ჩანდა. ისევ ძველებურად ვიყავი, როგორც თბილისში. იქ თენგიზაზე და ბიჭებზე ჩამოკიდებული, აქ — რაფიკაზე და იმ ოთხთვალა ვართანაზე.

ისევ ძველებურად იყო ყველაფერი. ისევ ძველებურად. როგორც ვიყავი განჯის გზაზე, ისეთი ვიყავი ახლაც. არადა, შემეძლო, თითქოს. მაგრამ შემთხვევაზე იყო აგებული ყველაფერი და არ წამოვიდოდა. მე კიდევ მერამდენედ მეგონა. მერამდენედ. ყველაფერი ხელახლა იწყებოდა, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რატომ გამოდიოდა რაღაც. მე ხომ არასდროს არათური გამომსვლია. ყოველთვის უკან მივყვებოდი რაღაცას. ახლა, ალბათ, ვალერა იყო. ლოთი მხატვარი. არა, ეგ ის ტიპი კი არ იყო, ვინც რაღაცას შთავაგონებდა.

ისე, უბრალოდ, ვიღაც იყო, ვინც თავისი უსაქმურობით, უდარდებლობით თუ რა ვიცი, ანარქისტობით თუ რაღაც ჯანდაბით გამქაჩა. ვხედავდი, ისე უნდა მეცხოვრა, როგორც ის ცხოვრობდა, თან ვფიქრობდი აქედან გაღწევას და რაღაც ომის სუნი მიტრიალებდა ნესტოებში. არ ვიცოდი, ნაღდად არ ვიცოდი, როგორ კეთდებოდა ეგეთი რამეები. ისე, მოფიქრებული კი მქონდა, მაგრამ ვლელავდი. იყო, რა, სანერვიულო, ნაღდად იყო.

ბოლოს გაიღვიძა.

დავიღალე, რა.

ნელა გადმობრუნდა, გაიბმორა. ნელზე უაზროდ დახვეული თხელი საბანი მოიშორა და ჯერ მე შემომხედა, მერე თავისი კანტორა მოათვალიერა. შოკოლადისფერ სახეზე ჩამოისვა ხელები და ჩალისფერი ველვეტის ქუდს დასწვდა.

— ნახატი დაამთავრე? — ვკითხე მე.

— ჰო.

მერე რაღაც დიდ ქვაბში ჩაეყუდა თავით და პირი საბნით შეიმშრალა.

— კარგად მეძინა, გვარიანად.

— კარგია ძილი. ნახატი დაამთავრე?

— დავამთავრე. შევუბერე, რა, შენ რომ ნახვედი, შევუბერე და მერე დავიძინე, მოგწონს?

— კარგია, რომ დახატე.

— ჰო, კარგია. მისძინე, მაგათ, შენებს, რამე მოსაწვევი არა აქვთ, რომ დავითრიოთ?

— რა ვიცი, არ ვუკვირდები.

— დაუკვირდი, ძმაო, მაგათ თავისი წილი ბალახბულახი ყოველთვის აქვთ.

ერთი ამბავი გამახსენდა ისევ.

გიგი აბაიშვილმა ერთხელ ექსპედიციაში წაგვიყვანა მე და გოგლიკო, არქეოლოგების ექსპედიციაში, დუშეთში. სულ ცხრა დღე გავძელით იმათთან, სკოლა-ინგერნატის შენობაში და მერე, მონყენილებმა და თვალეზდასიებულებმა გამოფნიეთ თბილისისკენ. გამოვუბერეთ, რა.

ორი დღის ჩამოსული ვიყავი და გურჩიკა შემხვდა. ეგეთი, ბებერ-ბებერი ცფილელი ნარკუმა. რას შეეხი, როგორა ხარო, აქეთ-იქეთ, ვილაქლაქეთ. დუშეთში ვიყავით-მეთქი, ექსპედიციაში.

— მთებში და რამე? — მკითხა.

— ჰო.

— მანდ ოხრად მაკეხია ბიჭო, მაკეხი არ ნახეთ?

არა-მეთქი, რის მაკეხი, რა მაკეხი.

ეეო, ჩვენ აღარაფერს გვიჯერებთ და თვითონაც არაფერი იცითო. ისე დანყდა გული, ვიფიქრე, არ ნაიქცეს და არ მოკვდეს-მეთქი. ნეტავ იქ ყვოფილიყავიო, მითხრა და გამძორდა რწევა-რწევით. ვალერას კადრი იყო, რა.

ნამოვლექი და თანჯარასთან მივედი.

— ვალერ, — ძლივს ამოვლერლე ბოლოს, — მე მივდივარ.

— როდის? — თითქოს გაუკვირდაო, ისე მკითხა.

— დღეს, — ვთქვი და თითქოს რაღაც ჩამწყდა.

— ვერგმთერენი დაჯდება?

— არა, ჩემით უნდა ნავიდე. არ მინდა აქ. — სიგარეტი გავაბოლეთ ორივემ. მერე ლუმელთან ჩავსხედით.

— განყენინეს რამე?

— მაჭამეს, — ბრაზიანად გამომივიდა, სულ სხვა რაღაც მინდოდა, მეთქვა.

ისე ჩაფიქრდა, გეგონებათ, ომის დანყებას წყვეტსო.

— მე ვხვდებოდი ძმაო, ეგებ ჩემი აგეხილიც იყო, — ზუსტად ასე მითხრა. — აქ ომია, ხალხი პურის ფულს შოულობს ამ ომით, თუმცა რა ვიცი, ეგებ სულაც არაფერი.

— თათრები ჰყავთ.

— ხომ ვითხარი.

მერე ორივენი გაუჩუმდით.

— მე მაინც წავიღოდი, არაფერი რომც არ იყოს, მაინც.

რაგომ ვენდობოდი ასე? ახლაც არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ ვიცნობდი ასეთ ხალხს, დაახლოებით ასეთებს. რაგომ უნდა ეთქვა ვინმესათვის, ვინ რას ჰკითხავდა? თუმცა, უკვე იცოდნენ, რომ მასთან დავდიოდი, ნაღდად იცოდნენ. მაგრამ უთითო ლოთი მღებავი ეგონათ, ალბათ. თუმცა მისი სოფლელებიც იყვნენ ამ თავდაცვის რაზმებში, მაგრამ იმათ დიდი არაფერი მოეკითხებოდათ, ვინ გარეგდა ჩემზე გაკეთებულ ფულში.

წასვლა უნდოდა, თვითონ მაგას უნდოდა წასვლა და რაგომ არ მიდიოდა, ვერ გავიგე, ჩათლული იყო აქ, სიჩუმესა და მყუდროებაში და მოხებრებული ჰქონდა.

მე არსად არ მიწოდდა წასვლა და უნდა გავქცეულიყავი. ბედი ჩემი, ერთი რამე მაინც ვიცოდი ცხოვრებაში, მანქანის ტარება.

— ვალერ, იარაღი მინდა...

წამოდგა, სიგარეტი დააქრო ღუმელზე.

— აქ იმის სროლა სისულელეა, ძმაო. მოგკლავენ.

სიკვდილზე, ჩემს გადაცხრილულ გარეგნობაზე და რამე როგორღაც არ მიფიქრია. დემოკრატი ჟურნალისტების იმედი მქონდა, რა. საათივით იყო აწყობილი ყველაფერი, ოღონდ... ჭკვიანად უნდა ვყოფილიყავი და არ მომკლავდნენ, პირიქით, ყველა საგუშაგომდე მიმაცილებდნენ და კარგად იყავით-მეთქი, ვეტყოდი.

— არ ვისერი, მაქვს სასროლი, ეგ ისე, საქმისათვის.

— შენ იცი.

კარადასთან მივიდა, უზურგო სკამზე შედგა და თეთრ ტომარაში გახვეული შაშხანა გადმოიღო. მაგიდაზე დადო და ტომარა შემოაცალა.

— საგვარეულოა, ბებიჩემმა დამიტოვა. ამით ბლომად თათრებია ნახოცი თვრამეც წელს, — მითხრა ამაყად.

ახლა სომხებისთვის უნდა მიმეშვირა. თვითონაც სომეხი არ იყო? მაგრამ ჰქონდა რაღაც ისეთი, ყველას რომ აერთიანებს. მაგარი ინტერნაციონალისტები არიან ეს ძველები, შავები და რამე. ვინც მართალია მათთვის, იმათკენ არიან.

შაშხანას არც თავი ჰქონდა, არც ბოლო, გადასარეგად ჩაიმალებოდა ქამარში, გადაჭრილი ლულა, დაჩხაპნილი, გადაჭრილი კონდახი და შიგ, თურმე, ოთხი ცყვია. ოთხი ცყვია. ერთის მეტი არც დასჭირდებოდა ჩემს საქმეს. ისიც, თუ ჭკვიანად მოვიქცეოდი, საერთოდ არ გავისროდი.

— რა იარაღი გაქვს კიდევ, ღურკა?

კურტკის ჭიბეში ხელი ჩავეყავი და „ლიმონკა“ ამოვაძვრინე.

— აი, ესაა.

ვალერა იღვა და მიყურებდა.

— რა მოიფიქრე, ძმაო?

— არათყერი. რა ვიცი.

— სოფლიდან როგორ უნდა გახვიდე?

— გავალ, ვალერ. არ დავითარსო, ნუ მალაპარაკებ.

ესეთ რამეებზე გიყუდებოდა.

— სწორია. ერთ რელსებზე ვდგავართ, ძმაო, აბა, მოირგე...

შაშხანა ქამარში გავირჩე, მარჯვენა ფერდთან და კურტკა შევიკარი.

— შევიცარიის ბანკს წაიღებ, — გაიცინა ვალერამ და უცებ ვიგრძენი, რომ მორჩა. ჩვენ ერთმანეთს ველარ ვნახავდით.

გაფრთხილდით.

— ჰა, — თქვა ბოლოს.

ერთმანეთს გადავეხვიეთ, მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. ლამის ავტირდი.

— ხომ იცი, ძმაო, სხვაგან რომ ვიყოთ, ერთად წავიღებდით ყველაფერს.

— ვიცი.

— წამოვიდოდი.

— იქით სომხებს გზა არ აქვთ.

ისევ გადაუხვევით ერთმანეთს. ძლივს წავაბი ორი სიგყვა ერთმანეთს.

აივანზე გამომყვა და ებოში რომ გავედი, ისევ მომესმა მისი ჩუმი, ხრინწიანი, შეშხარავი ხმა:

— ნი ჰუხა...

ველარ მივიხედე, ხელი ჩავიქნიე და ჩამორღვეულ ყორეს გადმოვაბიჯე.

ვალერა, ჩემი უცნაური „კორეში“, ყარაბაღის მივარდნილ სოფელში ჩაბუდებული ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მხატვარი, ლოთი და შეთოთი, ბებერი და ახალგაზრდა, ყველაფრისგან თავისუფალი, დამშვიდებული და მონყენილი. მორჩა და გათავდა, ჩემს ტახტზე ვეგდე უკვე იმ ანდრანიკას ლურჯ უღვაშებს შეჩერებული.

ვინეჭი და სალამოს ველოდი. რა არ მომდიოდა თავში. ლამის გავერკვე, რა ყველაზე სანყალ და გაჭირვებულ კაცს ვეგაკებოდი ყველაზე მაგრად, მაგრამ რა მექნა. უსახელო ძაღლობზე წოლას, თოვლის ქვეშ, ისევ ეს მერჩივნა. როგორღაც არ მექონდა სიკვდილის შიში, არც იმის, რომ მესროდნენ, თუმცა უკნიდან ნასროლი ტყვიების სუნი კი ვიცოდი უკვე. მაგარი რამე მოვიფიქრე, რა. ესენი აზრზეც ვერ მოვიდოდნენ. ასეთ დროს კაცი ოცნებობს ხოლმე, მაგრამ მე საოცნებო არაფერი მექონდა. გადასარეგად ვიქნებოდი და რამე, ეს კვნესა, ეს მაგათი გახუნებული ტყუილები და ძალით კარგი ბიჭობა რომ არა. თან რა გამიჩალიჩეს... მგონი, ჩამეძინა და ფეთიანივით გავიღვიძე. უკვე სალამოვდებოდა. ჩემი ფანჯრიდან ერთ-ერთ ბორცვზე შემომდგარი ძველი ქვემეხი ჩანდა.

კურტკა შევიკარი. იანას ყელსახვევით გავიკარი თავი, სათვალე გულის ჯიბეში ჩავიდე. „ლიმონკას“ ცხვირსახოცი შემოვასვიე და ქამარში შაშხანა გავიჩე. მზად ვარ!

ავდექი და იქეთ ოთახში გავედი. აღარც ვაპირებდი ჩემს ჭრელ ტახტთან დაბრუნებას. გაღანყვეტილი იყო და რამე. მორჩა. მაგიდასთან ვართანა, მარინკა, მიშა და ორი მებრძოლი ისხდნენ. ჩაის სვამდნენ და ვართანა ამუშავებდა. თუმცა, ეს ბიჭები მაინც არ ჩანდნენ იოლად მოსაგყუებელი. კარგი ქლიავეები იყვნენ, მაგრამ ვართანას მოსაგყუებელი ვინდა იყო. ერთი

პირობა კი დავუბრუნო, მეტი, ამ სულელმა არ დააყრანგალოს, აბა, რა უნდა გადამაღებინო, მაგრამ მერე დავწყნარდი, ხმაც არ ამოუღია, ერთი შემომხედა თავისებურად და ისევ ჭიქას ჩააცქერდა. ვენაცვალე რუსის იდიოტ ჟურნალისტებს. ზოგჯერ ეგენიც საჭირონი არიან, ოღონდ ისე, თავიანთი კამერების, კალმისტრებისა და დიქტაფონების გარეშე. ისე, შიშველ-ტიტვლები საჭირონი არიან. პოლიტიკა და რამე, ხომ იცი.

მოკლედ, ორი საათი ვიყურე იქ და მერე ვართანას მხარზე დავკარი ხელი, შერიგებისათვის, თუ რა იყო, არც მახსოვს. ისე ვღელავდი, ვენეოდი და ვენეოდი. სანამ სომხები გავიდოდნენ თავ-თავიანთ საქმეებზე, არც ღირდა რამეზე ფიქრი, არც მარინკასთან ლაპარაკი და არც არაფერი.

ბოლოს და ბოლოს, დავიმარტოხელე და ებოში გადავიყვანე.

— გამზადე შენი აპარატი, გადაღების დრო მოდის.

— რისი გადაღების?

— არ გახსოვს? გუშინ არ გითხარი?

— გუშინ.. რა უნდა გადამაღებინო?

— მისმინე, შენს ძამიკოებთან არც ერთი სიტყვა, — განგებ ვუთხარი ასე, სულერთი იყო, ეტყოდა თუ არა.

— რა მოითქვრე? რაღაც ახალი სისულელე?

მაგარი პაუზა დავიჭირე. ძა-ან. ძა-ან.

— მე, შენთვის, — და გაფხუმი.

— მიდი, მითხარი, თორემ წავალ.

— წადი.

— წავალ, აი, შევალ ჩემს ოთახში.

— თქვენი გამკვირვებია.

— მიდი, ნუ დამგანჯე, ან წავალ.

— თუ ჭკვიანად იქნები, ამაღამ თათრებს გადაიღებ.

თვალეები გაუფართოვდა და ის უფერული ტუჩებიც მოილოკა.

— ვინ თათრებს?

— ვინ თათრებს და აზერბაიჯანელ თათრებს. ტყვედ რომ ჰყავთ აქედან ოც ნაბიჯზე და შენი წასვლის შემდეგ რომ დახოცავენ, დანვავენ და თითო ძვალში რომ ოც-ოც ათასს მოსთხოვენ ნათესავეებს. რა, არ გჯერა?

ერთხანს ჩუმად იყო.

— როგორ არ მჯერა. ხდება ეგეთი რაღაცეები. ბიჭებმა ნახეს. ისინიც აკეთებენ.

— გადაიღებ?

თავი დამიქნია.

— შენ რაში გჭირდება ეგ ყველაფერი?

იფ, მომინდომა, რა.

— რაფიკას მეგობარი არ ხარ?

— კრემლის აგენტი ვარ, — გამახსენდა ნაცნობი, ყურს შეჩვეული ფრაზა.

გაფუცინე. დაბნეული მიყურებდა.

— რომელი საათია, — მის საათს დავხედე, — საათნახევარში გარეთ ვიქნები.

კარგად გამოვიდა, არა უშავდა.

ახლა მთავარი იყო დარჩენილი. მთა-ვა-რი. ეზოში ვიდექი და „დვინს“ ვენეოდი. თითქოს ვემშვიდობებოდი აქაურობას. შტაბის ეზოში „ვილისი“ შემორახრახდა. ობერჩათლახების მთელი ბრიგადა გადმოვიდა. ჩვენი ავღანელი ვეფხვის, რაფიკას თამაღობით.

— ძმაო, რაღაც მოგეწყინა, ა? — პირდაპირ ჩემკენ არ წამოვიდა? ხელში პრიალა ავტომატით. ქამარში უაზრო, უსარგებლო, მაკაროვის ტყვიანე მომუშავე ყარაბალული ავტომატით, ყუმბარებით და რამე.

— სამშობლოზე ფიქრობს, — გამიცინა ერთ-ერთმა. მაგის მამასაც არ ვიცოდი მისი სახელი. ნაღდად მენილე იყო. ოსმალეთში რომ გამყიდდნენ, იმის მენილე.

— რომელი საათია? — ვკითხე მე.

— დალევის დროა, — კარგ ხასიათზე იყვნენ, რა.

ახლა ჩემი ეკითხათ. ისე, დღესაც არ ვარ დარწმუნებული, მართლა ისე იყო საქმე, როგორც მაშინ წარმოვიდგინე თუ არა, დრო რომ გადის, ხომ იცით, სხვანაირად ჩანს ყველაფერი. ასეა თუ ისე, მაინც იდიოტი გამოვდივარ, თუმცა, ყველაზე ნორმალურად ცხოვრებაში სწორედ ეს იდიოტობა გამომივიდა.

მოკლედ, ხელი გადამხვიეს და შევედით. ავტომატის დათრევა კი შეიძლებოდა, მაგრამ მაინც რისკი იყო. თან არც მჭირდებოდა ეგ ციალი „აკაემი“, თუ გამოვიდოდა, ისედაც გამოვიდოდა, თუ არადა, არა. არგამოსვლისას არაფერს ვფიქრობდი. და სწორიც იყო, ალბათ. და საერთოდ, არ მეხერხება ეს მომავალზე ფიქრი და რა ვქნა. აბა, დაჯექი და ითიქრე, ასე მომივა, ისე მომივა, ამას მიზამენ, იმაზე ჩამომკიდებენ. როგორია, ერთი!

შევედით, რა. არაყი, პური, კარტოფილი, ჩაი. ჩაი დავლიე, ბლომად სიგარეტი დავაყოლე და განვაცხადე, სომეხები ქართველებზე ლოთები ყოფილხართ-მეთქი. ისე გაუხარდათ, გეგონება მთელი სათათრეთი აეღოთ და ბაქოში ერთი ჭრელი დროშა მეორით შეეცვალათ. ო-ჰო-ჰო-ჰო, რა მსახიობი დაიკარგა? თეატრალურზე მაინც ჩამებარებინა, ღეგენერაცივით დამსვეს სამშენებლოზე, ვიღაც სათვალთანმა კლიენგმა პასპორტში ჩადებული ამოხსნილი ამოცანები მომირბენინა. ეგრე მოვეწყვე, ახლა კიდევ სად აღარ მინდა, მაგრამ არა ვარ არაფრის მსწავლებელი, ასი წელი!

სწავლა იქეთ იყოს, ახლა მთავარს მივადექი. კარგი იყო, რომ სვამდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს შემიშლიდა, მაგრამ მაშინ ხომ ყველაფერი მოთიქრებული არ მქონდა. წინასწარ რას განსაზღვრავ. ახლა რომ ვუფიქრდები, ბითურული გეგმა მქონდა, აი, ისეთი, რაფიკამ რომ მოიგონა თათრებისაგან გამოსაქცევად. პატარა რაღაცა და მორჩა და გათავდა. თან ვფიქრობდი, ნაღდად გამეგო, ტყვე ვიყავი თუ უბრალოდ, უცნაური სტუმარი.

მოკლედ, რა.

არმიკას მიუბრუნდი და ვეუბნები, წამო, ბებერი მოვნახოთ და ბილიარდი ვითამაშოთ-მეთქი. მე რა უნდა ვითამაშოო. ან შენ რა თამაში აგიცვდაო. ესეც სისულელე იყო, არმიკა რად მინდოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ჭიქას არ მოშორდებოდა და არ წამოვიდოდა იმის საყურებლად, რაც ყელში ჰქონდა ამოსული.

— გადი, იქა, — დამიძახა რაფიკამ სუფრის მეორე ბოლოდან, ვითომ ძალიან მპაგრონობდა და რამე. არ ვიცოდი, რა მექნა. რომ შემოვედით, იმ სუნიან საკუჭნაოში არც შუქი ენთო და არც არათფერი.

ბნელ დერეფანში გამოვედი და მორჩა, აეწყო საქმე.

ბურთები ჭახუნობდა.

კარი შევაღე.

თაჰვი მარჰვი

კაცის მოკვლა.

ამაზე, ასე, არ მიფიქრია, მაგრამ იმ მყრალ საბილიარდოში რომ შევაბიჯე, თვალთ დამიბნელდა. უცებ წარმოვიდგინე, რა უნდა მექნა და ხელებით ლამის ჭიბეები ჩავხიე. სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე...

შემცივდა.

ისე, ღირს ბევრი ლაპარაკი ამ ლამის შესახებ, ღირს, რა.

ჯუჯა მარკიორი მაგიდაზე გადაწოლილიყო, ცალი თეხი აეპლაკა და უმიბნებდა. სანყალი მოხუცი, მთელს ამ ისტორიაში ყველაზე მეტად, ალბათ ის დაბარალდა, უწყინარი, ყვითელი ბურთების ჯადოქარი, რომელიც სულაც არ უნდა ყოფილიყო აქ, არ უნდა ჰქონოდა ის დაწყველილი გასაღებები და რამ, მაგრამ რას იზამ, ამ ბოლშევიკებმა ყველანი ერთად შეგვშალეს ჭკუიდან, სომხებიც, თათრებიც, ქართველებიც, პროფესორებიც და ტაქსისტებიც. დრო, დრო, დრო. თორემ ან აქ რა მინდოდა, ან ვისი გამსაღებელი ვიყავი, ან საერთოდ. მთელი ჩემი ოპერაციიდან მხოლოდ ეს კაცი მეცოდებოდა და ყველაზე მკაცრად თუ დაუნდობლად, თუ რაც ქვია, მას უნდა მოვქცეოდი, და რისთვის, იმ სულელური რაღაცისთვის, რაშიც გამხლართეს მისმა უფროსებმა რაფუამ და ვართუმ, თუ ვინც, რა. ეხლა აღარ უნდა ამას ლაპარაკი. გული თითქოს ამომიფარდა, სადღაც გამიქრა, ყელში რაღაცეები გამეჩხირა და პირი გამიშრა.

ეს გამოქვლიანებული მარკიორი კი არ ინძრეოდა. როდის-როდის გლიჯა და ორი ბურთი გაუშვა თავ-თავიანთ ადგილებზე და მერედა ამხედა თავისი უწყინარი თვალებით.

შემეცოდა, რა, ძალიან შემეცოდა.

ვერ მოვახერხე ეს თვალთვალი და ჩალიჩი. მისი გასაღებების მოპარვაზე ხომ არც მიოცნებია. ეგრე, გამოთვლილად უფრო ძნელი იყო.

სად ვარ, რას ვაკეთებ. ადამიანურად რომ მეცხოვრა იქ, ჩვენს მშვენიერ, პირდაუხანელ თბილის-ქალაქში, სადაც ვითომ ლამაზი, მგვრიანი, ნამწვებით, ვიდუოკასეცებით და სავარძლებით გამოტენილი ჟანგიანი გალია მქონდა, ასე არ იქნებოდა.

ჰო, ჰო, დაუჟანგდა გალია ჩვენს თენგიზა მიქაგაძეს.

მაგრამ მაინც.

ჯერჯერობით ისევ გვბრიდავენ.

ჩემისთანებს და რამე.

ისე, ბოლო გახურება აქვთ, ავტომატები, ინტერვიუები, რა ვიცი. მაგრამ მიდიან, მილაგდებიან კარგი პატრონის ხელში.

თენგიზაც, მერაბაც, ორლიკაც, გეგელაც, თამაზაც, რომიკაც, ყველა. მაგ თაობის სიბერე ჯერ არ მინახავს, მაგრამ, ალბათ, ისევე ჩაბერდებიან, როგორებიც არიან. „რამიშვილი გახსოვს? მთელი ნახალოვკის უბიცილობა დგას ამ პანაშვიდზე“ და რამე.

და რამე, რამე, რამე.

„ჩემი ღუშკა, რა კამისიონნი პურის დავესკასავით დაიკარგე“, — აი, ეგრე ბაზრობენ. კლიმაქსამდე ერთი ორი გაგორება დარჩათ და მერე ნახეთ მაგათი არეკვა...

მოკლედ, ამომხედა მოხუცმა მარკიორმა. გაუხარდა, ნაღდად გაუხარდა. მე კიდევ...

საწყალმა, ალბათ იფიქრა, ჩემი სიყრმის სანახავადმოვიდა გურჯის მარტოხელა მებრძოლი.

ბოლო ნამამდე მეგონა, რომ თავში ჩავარტყამდი ვალერა-მხატვრის გადაჭრილი შაშხანის კონდახს და ეგრევე დაემხოვოდა იმ მგვრიან მაუღზე, მაგრამ უცებ ისე მოხდა, რომ ვერ გავბედე. ვერ გავბედე კი არა, შემეცოდა, არ მიღირდა. არ მიღირდა ამ უწყინარი და გაუბედურებული ბერიკაცის სიცოცხლედ არც გაქცევა, არც არაფერი.

რაგომ უნდა ჩამერცყა?

ისეე მილიმობა ჰია მეკუქნავე. თაჱის საყვარელ რაღაცას ჰალიხოზდა და უხაროდა, რომ ვიღაც ესწრებოდა ამას. უხაროდა.

ახლა მე მკითხე?

ლამის იყო, შეებრუნდი იმ არყის მელურწველ ყვენებთან და გამოუცხადე, სადმე ხაროში ჰამაგდეთ, თორემ ბებერი კაცის მოკვლა გადაწყვიტე, გაქცევა გადაწყვიტე და თქვენ არაფერი გაგეგებათ-მეთქი.

აბა, გოგლიკო ყოფილიყო? არა, ამდენს კი ვერ მოიფიქრებდა, მაგრამ რასაც დაგეგმავდა, იმისთვის მაინც იომებდა. მე კიდევ... ევროპულად მაგას რაღაც ჰქვია, ახლა არ მახსენდება. ჰვენებურად კი უფრო ქაჭური და მარტივი რამე — წარაკუობა, ჰემი აზრით კიდევ... მოკლედ, რის წარაკუობა, თქვენც იცით. ათასჯერ მაინც მიხზუბია, დაჭრილიც ვყოფილვარ, მეც დამიჭრია მარჯვენა ღუნდულში და რამე. მაგრამ სად ვიღაც ვერელი „აღნაგოდკის“ უკანალში მონკაემირის დანის შერჭობა, სად ეს.

აბა, წარმოიდგინე.

დგახარ თბილისელი ახვარი. ქამარში იარაღით, ჰბეში ხელყუმბარით და უნდა გააქრო; ვინ, ბაბუაშენის ცოლი, ერთი ბენო, გაუბედურებული კაცი, ხანმოკლე სიხარულის წუთებში, რაღაც გასაღებების ასხმის გულისთვის...

დამნაშავე სხვაა, შენ კიდევ ეს უნდა გააქრო.

მაგარია, არა?

წერილი, წელიანი თვალეზი ჰქონდა. თვალეზიც კი უცინოდა. კიის აწვალეზდა ცალ ხელში და ჰუქყიანი, წითელი ჰემპრის მაღალი საყელო ებჭინებოდა ნიკაპზე.

დაბალი, მხიარული და უმწეო. ცირკის კლოუნით იყო, რა.

— ვითამაშოთ, — მითხრა დამტვრეული რუსულით.

რომ დამერცყა, ნაღდად მოკვდებოდა. ბიჭი ხომ აღარ იყო. სულ ოფელში ვიყავი, ამოვლესულივით, რა. ხელეზს ველარ ვგრძნობდი.

ოჰ, მე ამათი ღედა... ამ ჰათლახების, ამათი. რაღა ესენი და რაღა... თან როგორ იცინიან ხოლმე. ეტყობა, კაცი ყველაფერს ეჩვევა. ჰუქყიანი თრხილვებით ინყება და რამე, მერე ისე ამოითხვრები, რომ ბედნიერიც კი ხარ.

ეგრეა.

ვიდექი დეგენერაციით. ვერ ვურტყამდი. ისიც იდგა, მიდიმოდა. დამცხასავით. ყელსახვევი მოვიძვრე შუბლიდან და უცებ გამინათდა, იანა, იანა, იანა, შენ მიშველე, რა. შენ, სადღაც გადაკარგულო, ჩუძო, ნაღვლიანო...

ცოტა ამიმუშავდა ეს გადასლექილი ტვინი. თურმე პატარა უბრდელობა უკეთესია მკვლელობაზე.

ყელსახვევი ჯიბეში ჩავიდე და კურტკის ღილები ჩავიხსენი. სანყალმა, ალბათ იფიქრა, სათამაშოდ ემზადებაო.

ჩემი მოკლე შაშხანა ვიძრე და არც გადამიტენია, ისე მივაბჯინე მკერდზე.

თითქოს გაშრაო. კიი ხელიდან გაუვარდა და შემომხედა ისე საცოდავად, ისე საცცოდავად, ახლაც თვალწინ მიდგას. ღიმილი ეგრევე შეაცივდა სახეზე, მხოლოდ თვალები ჩაუქრა და ხელები ჩამოევიდა რალაცნაირად.

სიკვდილის თვალები ჰქონდა.

მახსოვს, მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ერთი ჩემი სკოლელი დაჭრეს. ბიჭების საპირფარეოში იდგა, მუცელზე ხელებნაულებული და ვერავინ ეკარებოდა. ეგრევე იდგა, გაშტერებული თვალებით, სადღაც ჩვენს იქეთ იყურებოდა. მასაც ესეთი თვალები ჰქონდა.

მარკიორი მე არ მიყურებდა.

ლულა ვვარი მკერდში და გასაღებები-მეთქი, ვუთხარი. საიდანღაც ამოაძვრინა და მაგიდაზე დადო. მოტოვებული ასხმა იყო. ერთი ათი-თხუთმეტი ცალი იქნებოდა.

მაგიდის ქვეშ შევაძვრინე. ისე მრცხვენოდა, სახეზე აღარ შემიხედავს. მითხრას ვინმემ, რა უნდა მექნა.

ხელები მაგიდის ფეხს შემოვახვევინე და იანას ყელსახვევით შევუკარი. ერთიანად განუწული ვიყავი.

თითქოს დამთავრდა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ უცებ ვიაზრე, როგორც კი გავალ, ყვირილს დაიწყებს-მეთქი. ჩემს კურტკას ცალი ჯიბე გამოვაგლიჯე. ბენჯიანი, უშველებელი ჯიბე. ლამის სისხლი წამომივიდა ფრჩხილებიდან. ეს ჯიბე ჩაუგუნე პირში.

საწყალი. ისე საცოდავად იჯდა და რამე, თითქოს მკვდარი იყო. თავი ჩაექნდრა, მონყვეტილივით ეკიდა.

მერე წამუშავებამ მომინია, თან ტვინი მიღუღდა უკვე. მთელი ტომრები მაგიდაზე გადმოვალაგე. მხრებით რომ არ აენია ეს დანყვეტილი მოედანი და გარეთ რომ არ გამოვარდნილიყო.

ეგვეც მაგათი ბილიარდი.

გასაღებები ჩავიდე, „ლიმონკა“ მოვისინჯე შერჩენილ ჭიბეში და ჩემი შაშხანა, უკვე გადატენილი გავირჩე ქამარში.

შუქი ჩავაქრე...

დერეფანში გამოვიხედე. ხმები ისმოდა ყრუდ, მოქეიფე ჩათლახების ხმები. არავინ იყო, ან ვინ გამოვარდებოდა, უხმაუროდ გავაკეთე ყველაფერი. გულისამრევად, მაგრამ უსისხლოდ.

სწრაფად გავვარდი გარეთ, პარმალზე. პირდაპირ შუბლში მეტაკა სიგრილე, გახურებული ვიყავი და რამე.

ეზოს ვათვალიერებდი. სანამ სიბნელეს თვალი შევაჩვიე, ლამის ჩავისვარე. არ ჩანდა ის გამოქლიავებული დემოკრატიული პრესა.

სუკნიდან ხმა მომესმა.

მოვიხედე.

ეს ჩემი მარინკა იყო. თეთრი ქუდით და რამე, გვეგონებოდა, პარკში მიდიოდა ლამის მოციონზე. გოგლიკოს შეგინება მომინდა უცებ, უხ როგორ მომინდა. მაგრამ სად იყო მაგაზე თიქრის დრო.

— ჩუმაღ, წამოდი, — მივუვდე ძალღლივით.

და ეზოში ჩავედი. უნდა მეჩქარა, რომელიმე მათგანი მაინც არ გამობოდილალებულიყო სახლის კედლის დასასველებლად.

— სად მივდივართ?

უჰ, რა ლაქლაქა რამე იყო.

სახლს გვერდი ავუქციე და იმ ხუხულას თუ რაღაც ჯანდაბას მივაღეჭი. რაღა ეგ და რაღა მთავრობის სასახლე. ვერ დაანგრევდი, რა.

სანთებელას ჩამოვკარი და ბოქლომი ვიპოვე. კარგი ტრანზიანი კი იყო ეს ჩემი ფოტოხელოვანი. ისე გაიგრუნა, მისი არსებობაც კი დამაფინყდა...

ძალიან აფსიხებული ვიყავი. მეშვიდე თუ მეცხრე გასაღები ძლივს მოვარგე. ხელები მიკანკალებდა უკვე.

ეჰ, ყარაბაღ, ყარაბაღ...

ტვაც! — და ჩამოვკიდა ბოქლომი თავის ენას. მოვხსენი და მოვისროლე. მერე კარს მივანეჭი და შევალე. რკინის კარი იყო, მაგის დედაც...

— სად მოვედით?

და ხრიალიც მომესმა. ისე მომეკრა ეს დაცენცრილი, ხელი ვეღარ გავაშვებინე. მაგრად ვიყავი უკვე. ვალერას რომ დავენახე ასეთი სიფათით, შაშხანას კი არა, ჭიქა არაყს არ მომცემდა.

— ეს რა არის? — თვალეხი კი ჰქონდა მჭრელი, იცოცხლე. სანამ აზრზე მოვიდოდი, უკვე მონვა რაღაც.

— მიდი, მოამზადე ეგ შენი საჩხაკუნო, — ნავიურჩულე და სანთებელას ჩამოვკარი.

კედელი იყო და კიდევ — თივა თუ რაღაც ჯანდაბა. უფრო აქეთ, კუთხისკენ, კედელს მიყრდნობილი კაცი იჯდა. შავი, შავი, მეტი ვერაფერი გავარჩიე. მხოლოდ მივხვდი, ავადმყოფი თუ დაჭრილი იქნებოდა. პირი ჰქონდა რაღაც უცნაურად, მორღვეულივით, ამოშავებული თუ რაღაც ჯანდაბა.

— მიდი, გადაიღე, მიდი, — კბილებს ვაღრჭიალებდი.

უცნობი არ ინძრეოდა. მარინკამ გააჩხაკუნა და განათდა კიდევ. მხოლოდ წამით.

— კიდევ, კიდევ! — გაუუმეორე ისევ და წინ ნავდგი ნაიჯი.

კიდევ ორჯერ გაჩხაკუნდა და უკვე მიუახლოვდი ტყვეს. მაგრამ ამ დროს ფეხი წამოვდე რაღაცას და კინალამ ნავიქეცი.

ისევე ჩამოვკარი სანთებელას და მეორეც დავინახე. მინაზე ეგლო გულაღმა. ისეთი ამოიკუნესა, ლამის გავეჯიჟდი. მომაკვდავი იყო, რა, ნაღდად მომაკვდავი. ეგეთივე, ამოთხვრილი, მიგდებული. თითი დამწვა სანთებელის ცეცხლმა, მაგრამ მაინც არ ვაქრობდი. ეს უკვე დაჭრილი იყო, ფეხზე სულ შემოხეული ჰქონდა შარვალი და რაც მთავარია, ფეხშიშველი იყო.

ქარმა მოუბერა, თუ რა იყო, არ ვიცი, შარდის სუნი მოვიდა ისეთი, ისეთი, წაფიქცი, რა. ეგეთი არაფერი მიყნოსია არასდროს.

კედელთან მიმჯდარ ცყვესთან ჩავიმუხლე.

— ვინ ხარ?

თვალეები გაახილა მძიმედ, ეს თავისი მორღვეული პირი არც დაუმუნავს, ისე მიპასუხა:

— სამანთარ ვაგიფ, ვკვდები.

— არ მოკვდები, — ვთქვი და მარინკას გავხედე: თეთრი ქუდი სულ ახლოს იყო, — მიდი, კართან დადექი — თუ რამეა, მითხარი.

— სიარული შეგიძლია? — ვკითხე თათარს.

— მშიერი ვარ.

აუ, რა გადებული ხმა ჰქონდა?

— უნდა გავიქცეთ. იარაღს მოგცემ, ოღონდ არ ისვრი... გაიგე?

ამომხედა, უკვე ვარჩევდი მის სახეს.

— ეს შენი ძმაკაციც მოიკიდე ზურგზე და წავედით. კარებში გაჩერდები. მერე ვნახავთ...

— სად გავიქცევით?

— შენებთან. შენ ოთხი დღის წინ დაგიჭირეს?

— ჰო, მე და ბაჰრამი.

— ჰოდა, მოიკიდე ეგ ბაჰრამი და ვინცაა...

— კვდება, სისხლი დაკარგა...

ხედავთ ჩათლახობას? განძრევაც ებარებოდა.

— ალე, ალე...

ძლივს წამოვაყენეთ ის თათარი. უგონოდ იყო. ცალი ფეხი ქარში გაფენილი სარეცხივით უქანავებდა. ამ სამანდარას მხარზე ჩამოაღო თავი და ძლივს გავაფორთხიალეთ კარებამდე.

— რას შერები? — ამ მარინკას ნაბიჭურულმა კითხვებმა სულ გადაძრია. თან ტვინი გადაკეტილი მქონდა.

— ზამთრის სასახლეს ვიღებ, შენი რუსი დედაც... — პირდაპირ მივაგინე.

— რა, გაგიჟდი? — უცებ ამყრალდა თეთრქუდიანი ნაბობარი.

— არა, ძვირუფასო, — ვუთხარი ნაჩქარევად, შაშხანა გავაძრე ქამრიდან და ჰაერში გავისროლე. მერე უცებ გადავტენე და თათარს მივანოდე. მარინკა ხელით დაავითრიე, მკლავი მოვხვიე კისერზე, მეორე ხელით „ლიმონკა“ დავაძრე ჭიბიდან, რგოლში თითი გავუყარე და თვითონ ხელყუმბარა იმ ხელში გადავიტანე, რომლითაც მარინკა მეჭირა.

წურწურით მომდიოდა ოფლი.

წამიც და სომხებიც გამოჩნდებოდნენ.

თავიდან ვერც მიხვდა, რა გავაჩალიჩე. აი, მაგის დემოკრატი პრესას დავაფსი!

უკვე გავიგონე ერთი-ორი შეძახილის ხმა. მიხვდნენ, სროლა ახლოდან იყო.

— ამას დაუმიზნე, — მარინკაზე ვუთხარი იმ დადამბლავებულ თათარს და გამოჩნდნენ კოლეც.

კარგად ვიდექით. ზედ კარების წინ. ვერც ალყას დაგვარტყამდნენ, არ ექნებოდათ მაგის დრო. სულ გადაირეოდნენ, მარინკას რომ დაინახავდნენ.

მაღე გამოჩნდნენ. არეულ-დარეულები, სახლის წინიდანაც და უკნიდანაც. ავტომატებს ვხედავდი, დიდი ჩოჩქოლი იყო. ყველანი ერთმანეთს გავდნენ იმ სიბნელეში. ყველაფერი მიკანკალავდა. მაგრამ ისინი რას დამინახავდნენ. იღვნენ და მიყურებდნენ. მშვენივრად მიხვდნენ, ალბათ, რაც ხდებოდა. მარინკამ ისეთი დაიკვივლა, მეგონა, ყური გამისკდებოდა. თათარს შევაფლე თვალი, იღვა, რა. ის მეორე ეკიდა მხარზე.

— რაფიკ! — დაფიძახე. — რაფიკ! წინ გამოდი და არც ერთი არ გაინძრეთ!

— მიშველეთ! — იკივლა მარინკამ და კიდევ უფრო მაგრად მოფუჭირე მკლავი კისერზე.

იმ თავის ხროვას გამოეყო დაბალი ჭიჭვი, თმაგაჩილი, ავტომატით ხელში და ჩემკენ წამოვიდა.

გაჩერდი-მეთქი, დაუუძახე.

— რა მოხდა, ძმაო? — შეშინებული ხმა ჰქონდა წამდვილად.

ეს „ძმაო“ მაგიჟებდა.

— მივდივარ, გაიგე?!

— წადი მერე, ძმაო, ვინ გაკავებს?

თვალებში ჩამდიოდა ოფლი.

როგორ მინდოდა, რომ მეგინებინა, თქვენ არ იცით.

— ამათთან ერთად მივდივარ, მისმინე! ერთი რალაც და ამ შენს ჩათლახთან ავფეთქდები... ახლა მისმინე!

— ისე წადი, ძმაო, რა მოგივიდა, — და ისევ წამოვიდა ჩემსკენ.

— ერთი ნაბიჯი და აგიფეთქებ ამ ნაბობარს! ავტომატი დადე, დადე! გაიგე?

ერთხანს იღვა. მიყურებდა.

— გეშლება, ძმაო, — დამიძახა ბოლოს.

— შენ შეგეშალა, — გავეპასუხე აქედან და მარინკას კიდევ უფრო მოფუჭირე კისერზე. დაიკივლა, მაგრამ რა დაიკივლა. მისი ძმაბიჭებიც იქ იყვნენ ალბათ, მაგრამ არ შემიმჩნევია.

— დადე, სამამდე ვითვლი!

ისევ იღვა.

— ერთი...

ვერევე გაუშვა ხელი ავტომატს.

— რატომ აკეთებ ამას, ძმაო.

არ უნდა შემეგინებინა, ცყუილად გაგართულებდი.

— მისმინე. კარგად მისმინე!

უკვე ძალიან მძიმედ ვიყავი. ცოტაც და ველარ გაგუძლებდი.

— მისმინე. ორ მანქანას მოიყვან უკანა სვლით, ბენზინით და რამე. წინაში შენ ჩაჯდები და ამის ძმაკაცს ჩაისვამ. იცოდე, ავაფეთქებ და ავფეთქდები, ფეხებზე მკილია!.. მისმინე! თქვენს ზონაზე გამატარებ და მერე უკან დაბრუნდები. ამას ხვალ დავაბრუნებ. უკეთესი არ იქნება არც შენთვის და არც ჩემთვის, მერე ატყუე შენი ნაბიჭვრები, გაიგე?

იღვა და მიყურებდა.

— გიუმ, — დაიწყო ბოლოს.

— რას მერჩოდი, ცუდად იყავი? — შევანწყვეტინე აქედან, — ნახევარ წუთში ორივე მანქანა აქ იდგეს. შენ არ გაინძრე. აქედან დაუძახე.

ერთხანს იღვა. იქეთ ისინი ბუტბუტებდნენ რალაცეებს. ბოლოს მიიხედა და გასძახა რალაც თავის პოეტურ ენაზე.

მართლა მალე მორეკეს მანქანები. ორივე ვილისი იყო. სხვა, უფრო უბრალო, არ ჰყავდათ, ალბათ. უკანა სვლით შემოაყენეს და ისე გადაცუხცუხდნენ მანქანებიდან, უკან არ მოუხედავთ.

— ეე, სლავიკ! — გაუძახე ხროვას, — მიდი, მანქანაში დაჯექი.

გამოვიდა, ისეთი გაფუჭებული ნაბიჭით მოდიოდა, ვიფიქრე, ესლა წაიქცევა-მეთქი. სულ ჩვენ გვიყურებდა, მე და მარინკას.

— ჩაჯექი, შენც ჩაჯექი, — ვუთხარი რათუკას. — ეგ შენი ავტომატი აქეთ შეაგდე.

აიღო და უკანა მანქანის სავარძელზე დადო. მერე თვითონაც ჩაჯდა.

— კარი არ მიიხურო! — დაუძახე გათამამებულმა.

— უკან ჩასხედით, — მივუბრუნდი ახლა თათარს, — ამას ჩასვამ თუ არა, კეფაში მიაბჯინე ეგ ლულა.

წათორთხილდნენ და შეცოცდნენ. ის მეორე, ბაჰრიმა თუ რაღაც ჯანდაბა, ხელით შეიგანა, რა, ცალი ხელით.

მარინკა გულწასულივით იყო. დაჭრილი თათარივით მივათრიე მანქანამდე და საჭის მხრიდან ჯერ ის შევაგდე, მერე მეც შევჯექი.

მანქანა დავექოქე და დავიყვირე:

— წავედით!

„ლიმონკა“ ჯიბეში ჩავივდე და ნელა, ძალიან ნელა დაეძარი.

წინაც დაიძრა.

სიგნალი მივეცი, გაბმული, ახერული და ბოლო, რაც დავინახე, იმათი თვალმოჭუტული, დაბნეული, დამფრთხალი სახეები იყო, სინათლეების შუქით მოჭმუჭნილი სახეები.

— ნელა იარე! — დავიღრიალე უკანასკნელად და ეზოდანაც გავედიტ...

ღირს დანარჩენის მოყოლა?

წორმალურად ვიარეთ. რაფიკა ყველა საგუშაგოს რაღაცას უყვიროდა და გავდიოდით. მუხლებზე ავტომატი მედო და ჩემი თათრებიც გაყოჩაღდნენ. აქა-იქ რაღაცას წამოიჩიფიფებდნენ ხოლმე. მხოლოდ მარინკა ეგდო გაშტერებული, თეთრი ქუდის ქვემოდან შუშის თვალეები მოუჩანდა, ხმას არ იღებდა და არც აქეთ-იქეთ იყურებოდა.

ვალერა-მხატვარს არ ეძინა, ალბათ, თავის ქოხში, ალბათ, აივანზეც გამოვარდა, როდესაც გავისროლე. ალბათ ფიქრობდა, რომ ჩემში არ შემცდარა, ალბათ, ოცნებობდა ჩვენს კიდევ ერთ შეხვედრაზე. რაც იყო, იყო... მისი გადაჭრილი, კონდახგადაჭრილი შაშხანა ახლა გალუულ თათარს ეჭირა ხელში. ვინ იცის, ეგებ მისთვისაც მიეუთხათ რაფიკას და მის ჯარისკაცებს, შენთან დადიოდანო, დაენყოთ და გაეხურებინათ. არა, მაინც უშიშარი კლიენტი იყო, ყველა „ბაევიკზე“ უფრო უშიშარი...

მეორე სომხური სოფელი არ გავივლია, შემოვუარეთ და ერთადერთი საგუშაგო დაგვხვდა კიდევ, რომელიც მშვენივრად გავიარეთ. მერე ერთხანს სულ ბორცვებზე და ტიტველ ტყეში მივდიოდით, ისე დავმშვიდდი, სიგარეციც კი მოფნიე იმ გონებაზე მყოფ

თათართან ერთად. სანყალი, სულ მშვიერი იყო, თურმე ღღეში ათჯერ სცემდნენ და მხოლოდ წყალს ასმევდნენ, ის მეორე კი დაჭრილი და რამე, ეგრევე დაეგდოთ და არც უვლიდნენ, არც არათყერი.

მოკლედ, ომი კი არა, ყაჩაღობა იყო. რომელი რომელს მოასწრებდა, წაგლეჯდა და წაიღებდა.

ბოლოს რათუკას მანქანა გაჩერდა. მეც დავამუხრუჭე.

— გზას გააგნებ? — ვკითხე სამანდარას.

— კი, კი უკვე იოლია, — მითხრა კმაყოფილმა. ძაან პატივი კი ვეცი. საქმეში გავიყვანე, რა.

ავტომატი ავიღე და კარი გავაღე.

რათუკა უკვე გადმოსულიყო მანქანიდან.

ის წვერცანცარა დემოკრატი მწერალიც აწვალეხდა კურტკის ღილს.

— იქეთ ვეღარ წავალ, — დამიძახა რათუკამ.

— მოატრიალე და წადი, ოღონდ ეგ „მაკაროვი“ სლაფიკას მიეცი, — გაუუცინე აქედან. ვიცოდი, თავი ქუდში მქონდა უკვე, მოფუტყდი და რამე.

— მარინა გაგვატანე, — დამიძახა იქედან.

ათ ნახიჭში იყო.

— არა, ხვალ გამოგიგზავნი! დაახვიე და წადი, გელოდები. ვთქვი და კაბინაში შევტყევი ავტომატმომარტყეხული. გათამამებულ თათარს შაშხანა მიებტინა თეთრი ქუდისთვის.

— მე გამოგყვებით, გთხოვთ, — სლაფიკას ხმა იყო.

აქედან გაფხედე. მანქანასთან იდგა, თმაგანწილი და საოცრად თამამი. მაგისტვის ეგ იყო თავდადება თუ რაღაც ჯანდაბა. ერთხანს ვუყურე. მერე ავტომატი მოვიმარტყე და კაბინაში შევყავი თავი.

— არ გაინძრე, — ვუთხარი მარინკას. არც გამოუხედია ჩემკენ. და მერე მის ძმაკაცს დაუუქნიე ხელი. გამოიქცა.

— ნელა, ნელა-მეთქი.

უკვე მანქანასთან იყო. კარი გავაღებინე, მეც ჩავჯექი და მარინკას ვუთხარი:

— წადი და ჩემი სურათი დაბეჭდე, გესმის?

იმან გადაიყვანა მანქანიდან და თვითონ ჩაჯდა.

ექსცესები არ ყოფილა.

ძლივს მიფარტატდა ეგ სანყალი რაფიკას მანქანამდე.

რაფიკა კი ისევ იდგა მანქანასთან. ბოლმისაგან თითქმის სულ დასიებული, ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ჩემი „ვილისის“ სინათლეების შუქზე.

— წადი, რაღას უყურებ შენი დედა-მეთქი, — ვეღარ მოვითმინე.

და უცებ ვიფიქრე, ახლა იძრობს თავის მაკაროვს, ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს და ბოლომდე წამოვა-მეთქი და ავტომატი გადავყავი სარკმლიდან.

შენც არ მომიკვდე, არ რისკავდა და რამე. თავი უყვარდა, მაგრამ ისე, ალბათ, ეს რუსები აჩერებდნენ ყველაზე მეტად. ასე ზუსტად არაფერი გამითვლია ცხოვრებაში, მარინკა რომ გავთვალე. ოღონდ ეგენი გადაერჩინა და ხო აზრზე ხართ, რეებზე წავიდა, მაგის ჭალათი ბიზნესმენი დედა...

ერთხანს მიყურა თვალმოჭუტულმა, მერე ჩაჯდა, მანქანა მოატრიალა და უკან წავიდა. გაგვცდა თუ არა, დავქოქე და მივანეჭი, თათარი მკარნახობდა უკნიდან რაღაცეებს.

სლაფიკა ჩუმი იყო, ხმას არ იღებდა, ხედავდა, არაფერშია არ იყვნენ არც ეგ, არც ის ფოტოხელოვანი ჩერჩეტი გოგო.

— თქვენ ტყვე იყავით? — მკითხა უცებ.

— ჰო, — ისე ვუპასუხე, არც მიმიხედია — კარგია, არა, ყარაბაღში მოგზაურობა?!

— გიბლარტარზე უკეთესია, — თქვა სერიოზულად.

— შენს წიგნში არ ჩანერ ამ ამბავს?

არ უპასუხია და აღარც მე ამომიღია ხმა. მხოლოდ სამანდარას ჩიფჩიფს ვუგვდები ყურს და მეორე თათრის კვნესა თუ მომწვდებოდა...

კარგა ხანს ვიჯაყაყეთ.

ეს ჩემი თათარი, სამანდარა, ისე გამოცოცხლდა, ენას აღარ აჩერებდა. მშიერ-მწყურვალნი იყო, მაგრამ ჯანი მოსვლოდა მოულოდნელი გადარჩენით გადარეულს. მეორე კი ეგლო სისხლში მოთხვრილი ფეხით და რამე, თვალეზი არც გაუხელოია.

პირველსავე თათრულ პიკეტს ისე გადავანყდით, ვერც თვითონ დაგვინახეს და ჩემი დამძეული თათარიც როგორღაც გაშტერებული იყო. ღრიალი დაგვინყეს თუ არა, მაშინვე გავაჩერე. შემეშინდა, სროლა არ აგვიტყვონ-მეთქი.

სამანდარას სლუკუნის ხმა რომ მომესმა, დაერწმუნდი, მარტო ამის გირილად ღირდა გამოქცევა და რამე. მარტო ამ სულელი საზამთროების გამყიდველისთვის ღირდა-მეთქი და ეგრეც იყო, ალბათ. საჭეზე დავემხე თავით და ვიგრძენი, როგორ დამისველდა თვალეზი. გამახსენდა მინგრეული სომხური სოფელი და ქეში მხატვარი, საგვარეულო შაშხანა რომ მაჩუქა, მთვრალი რომ ელოდა მის გასროლას ჩემ და მოხეზრებულ თებერვლის ღამით, ნათერდებული სახლის აივანზე მდგომი...

ყარაბაღული ზამთრის შემპარავი მატყუარა ღამეები, საშინელი, ფლიდი სიფათები, ცყუილი, რომელსაც ტაქტიკა ჰქვია, ნაბიჭვრობა, რომელსაც ადამიანურ ურთიერთობებს ეძახიან ჩვენი თმაჭალარა მოლაყბეები და რამე. ყველაფერი ერთად მომანვა ყელში და ისეთი მოთქმა აგტყე, რომ მახსენდება, მრცხვენია, უნამუსო ვიყო.

აბა, წარმოიდგინეთ, რა სანახავეები ვიყავით. ჩვენს უნომრო „ვილისს“ გარს თათრები შემოხვევიან, ავტომატებით და რამე, თვითონაც დაბნეულები და გათიშულები, შიგნით — ჩვენ, ერთი — მომაკვდავი, ერთიც — აბლაღლებული თათარი, მე — ჩემი ნაბანავეები ცხვირ-პირით და რუსი ჟურნალისტი, ისიც თავგზადაბნეული, თითქოს დამამშვიდებელი სიციყების მოხუტბუტე და დაქლიავებული.

მერე ყველაფერი აენყო, სამანდარა მანქანიდან გადაფორთხდა, მეც გადავიტანე ჩემი დანგრეული გვერდები და იქ რაც ატყდა, მერე აღარ მახსოვს ხეირიანად, მარტო იმათი კბილები, გაკრეჭილი სიფათები მიდგას თვალწინ. სამანდარა იცნეს, ბაჰრამა სხვა მანქანაში გადაიყვანეს და წავედით...

ყველა საგუშაგობე თითო მანქანა გვემატებოდა.

გვეგონებოდათ ქორნილი იყო, რა. ოღონდ, წინ ერთი „ლუაზი“ ჩაგვიდგა და ისე ვანვებოდით. სიგნალებით და რამე, როგორც შევატყვე დიდი ზეიმი მზადდებოდა. ამდენი გადარეული რამის შემდეგ ძლივს გოგლივო არ გამახსენდა? კარგი დრო კი იყო. ამას ძმაკაცებში „ჭამა“ ჰქვია. ჰამ, ჰამ, კოვზით მირთმევა. მაგრამ ბედი ჩემი, რომ გოგლივოსთან დამემართა ასე. ერთხელ არ გამახსენებია სომხის ტყვეობაში ყოფნისას, თუმცა, ალბათ თვითონაც არ იფიქრებდა თავს ჩემზე ფიქრით. უკვე ვიცოდი, შევხვდებოდი ერთმანეთს და არც არაფერი.

— სად იყავი, შეჩემა? — ამის მეგს არაფერს მკითხავდა.

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ვნახავდი? იმ დეგენერატულ ღამით ვინ იცის, საით გაშპა, რა მოიმოქმედა და ეგეთები. მაგის უტვიზო თავი. მოკლედ, ისე გამოვიქეცი, რომ ერთადერთი, რაც ვიცოდი, იქ უნდა მივსულიყავი, საიდანაც წამოვედი, იმ ახვარ თიზულისთან და ნაბიჭვარ ლიპიან პოლკოვნიკთან. რას მიზამდნენ, რა უნდა ექნათ, ძღვენით მივდიოდი და რამე, მაგარი პადაგრევი მიმქონდა. „ვილისი“, ორი სასიკვდილოდ გამზადებული თათარი, ერთიც — „აკაემი“, ერთიც — დემოკრატი აურნალისტი... ცოცხა ხომ არ იყო?

არ ვიცი, არ ვიცი.

მივდიოდი რა, კოლონაში ჩამდგარი ვანვებოდი ამ ბუზღუნა და მძიმე მანქანით. ისე ვიყავი თითქოს სტალიონზე ერთი საპირთარემო კაბინიდან მეორეში შევედი. რა თქმა უნდა, სტალიონის საპირთარემოს ყველა კაბინაში ერთი და იგივე ამბავი ხდება, უფრო სწორად, ჰაერს და იატაკს ერთნაირი შემცველობა აქვს ორივეგან. აღარ მიხაროდა. ის გირილი, თუ რაც გავაჩალიჩე, ნერვების პონტი იყო, სიხარულისა და რამისა კი არა. ან რა სიხარული. ბულკივით ჩავიარე სომხურ ტერიტორიაზე იმ ჩვენი აურნალისტების იმედით. შოკის პონტი იყო. იოლად კი გამოვსრიალდი, მაგრამ თავიდან ბოლომდე შოკი არ ვარ, მენაცვალოს მამა, ფასდაუდებელი ძიაკაცი?!

მოკლედ სისულელეებს ვლაპარაკობ.

თან საქმე. თან საქმე.

ისევე ღამეა, თუმცა უკვე დილისკენ იწევს, ისევე ცალახია აქეთ. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, აზერბაიჯანის მთავარი კოლორიტი ცალახია. უცებ ვიცანი ადრე, ბნელში შემჩნეული სახლები და ჭუჭა ხეები. ის რაღაც მაგათი სუნიც მეცა ცხვირში.

სამანდარა გაუჩერებლად გიროდა, ერთს ჩაისუნთქავდა და ამოუშვებდა. ჩვენი სლაგიკა თითქოს კაითში იყო, გამტვრებული იჭდა, თითქმის გაუნძრევლად. ის მესამე თათარი აღარ

ოჯა ჩვენს მანქანაში, სადღაც სხვაგან გადაიტანეს, წინილებით ეხვეოდნენ და რამე. სამანდარასაც უთხრეს, გადმოდიო, მაგრამ წამოვიდა და ისევ ჩვენთან ჩაჯდა...

აჰა, დავინახე ამ გილიანი დასახლების მთავარი ნაგებობა, განათებული ფანჯრებით, ღია კარით და...

მოკლედ, ჩემი მამალი „ძეჟიატკა“ დალენილი, დახვრეტილი, ტალახიანი ისევ იმ ადგილას იდგა, სადაც დავტოვეთ.

და კიდევ..

აჟოეეეე...

ჩვენი კოლონა ისე მარიაჟულად შეგულავდა შენობის წინ, პატარა მოედანზე, თავი ფალიაშვილზე მეგონა. ავტომატები, პისტოლეტები, ხელები, მაგათი ქონიანი ბოხობები, ყველაფერი ფანჯრებიდან გადმოეყოთ და ჩხაოდნენ. დიდი სიხარული იყო. იმათთვის, რა თქმა უნდა, და ჩემთვისაც, რახან ჩემი შვინდა დავინახე.

იქ სროლა ატყდა?!

თაჰი მაცხრა

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ერთხელ, ახალ წელს, ტელევიზორს ვუყურებდი და ერთი ვინმე გაეძრო, დაქაჩა თვალები, მოისვა ნიკაპზე ხელი და დაიბღავლა, ზუსტად ესე:

— რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

რით უნდა გამახარო, ახალი წელია, ნადი რა, „ამარეტო“ დალიე. იმარიაჟე შენი სტუდიის პრეტენზიულ ნაშებში...

უკვე აშუარად მეცყობა, რომ თბილისში ვარ, სტადიონის საპირფარეშოს ყველაზე დიდ, ყველაზე მთავარ, ყველაზე ტეჟად, ყველაზე მყრალ კაბინაში, არა?

ისევ ძველებურადაა ყველაფერი, ისევ სუსტი ვარ, ისევ მარტო ვარ. აღარც ყელსახვევი მაქვს და არც არაფერი. მხოლოდ ვალერა მეფუნჯის ნაჩუქარი მოკლე შაშხანა მიგდია

გარდერობის თავზე და საერთოდ, ახლა ლოგინში ვწევარ, სქელი საბანი მახურავს და ოთახში რეფლექტორი ანთია.

იქეთ, სასტუმრო ოთახში, გოგლიკო, ღუდა და ვიკა კინგს თამაშობენ. გოგლიკოს, რა თქმა უნდა, ებარება, ღუდა, რა თქმა უნდა, მთელი ძალით უბერავს, ვიკა, რა თქმა უნდა, წერს. სამზარეულოში ნანა ჩალიჩობს, ნახევარ საათში ერთხელ თენგიზა რეკავს და რამე.

მე ვითომ მძინავს, ვითომ აქ არა ვარ.

თან იმასაც ვარკვევ, სომხებს მართლა ტყვედ ვყავდი, თუ არა. ახლა, შორიდან, ვერც კი ვწყვევ, მართლა ასე იყო თუ არა. მომეჩვენა თუ არა. რეები ვაკეთე? ასი წელი მეყოფა, ალბათ. ასი წელი და კიდევ მთელი სიცოცხლე.

გარეთ მერალი თბილისური ამინდია, მარცის არეული, უხეში სიცივე. ყველაფერი ძველებურადაა, თითქოს არც მომხდარა რამე, თითქოს რაღაცამ გაიარა და მორჩა, არაფერი არ ცვლის აქაურობას, რაც არ უნდა გადახდეს, აქ ყველაფერი შეურყევლადაა, ისევ იგივე ფიქრები და იგივე გარეკვები.

მესამე დღეა, ვწევარ და ვფიქრობ, რომც მეხვეწონ, მაინც არ ავდგები. ბიჭებმა ტელევიზორი და ვიდეო შემომიგორეს ოთახში, დასხდნენ და ყურება დაიწყეს, მე ვერ ვუყურებ, არ მინდა და საერთოდ, არაფერი არ მინდა. თენგიზა ძალიან არეკლილია, შემოვა, მიყურებს, მიყურებს რაღაცნაირი, დამფრთხალი თვალებით, მერე მკითხავს:

— მითხარი, რა მოგიგანო?

რა უნდა მომიგანოს, გიჟი არ არის?! ველარ გაიგო, მახატია ეგ მოგანები და რამე.

სულ შპალერს ვუყურებ, ისე, წიგნიც მომიგანეს, ჭეიშს ჰედლი ჩეიზ — „პარადიზ-სიტი“, ისეთი ბახახუხია პირველივე გვერდიდან, რომ ყურები დაგიგუბდება. რაც წასაკითხია, ის არ წამიკითხავს, ახლა ამ ჩეიზს გადავაკვდები? მარგალიტი თენგიზა მიქატაძის კოლექციიდან და რამე.

ახლა მახსენდება, წიგნი ერთადერთხელ ვიყიდე ცხოვრებაში, ისიც საღლაც თბილისის ბლვზე. იანას ვუყიდე. იცით, რა ერქვა? „გემრიელი და ჯანსაღი საჭმლის ენციკლოპედია“. მაშინ მეგონა, რაღაცაში გამოგვადგებოდა ეგ წიგნი, იანა იქედან გააკეთებდა „სვეცკი“, ლიმონებით და შაფი ქლიავით მორთულ კერძებს და ერთად შემოვუსხდებოდით დიდ მაგიდას ლოჯში. სუფრა აუცილებლად თეთრი იქნებოდა, სანთლებით და რამე, როგორც

ამერიკულ ფილმებშია, ისე. რეი ჩარლზს წავაგდებდი, თარღებს ჩამოვაფარებდი და ვიქნებოდით მარტოები, ჩვენთვის, ჩვენთვის..

ახლა კიდევ.

ჰო, მართლა, მთელი ეს ამბავი რატომაა თუ იცით, რატომ ვწევარ და რამე?

აღარ ვლაპარაკობ თუ ვეღარ ვლაპარაკობ, ყოველ შემთხვევაში, არ მინდა არავისთან არაფერზე ლაპარაკი. სამი დღეა, ხმას არ ვიღებ და ამბავა გადარეული ყველა.

საწყალი ირაკლი შემოვა, მიყურებს, მიყურებს, ერთხანს ჩამოჯდება, თითქოს გაიღიმებს, მერე ისე უცებ გავარდება, მხოლოდ კარის ბრახუნილა ისმის. ვიცი, ნანა უშვებს, თიქრობს, თუ დაეღაპარაკება ვინმეს, ისევე ამასო. რა ვქნა, ვეღარ ვიღებ ხმას, ან ვის რა უნდა ვუთხრა: ყარაბახში თავისუფალი მეგონა თავი და მერე აღმოვაჩინე, ღმერთმა იცის, მართალია თუ ცუდი, რომ ცყვე ვარ. აქ რომ ჩამოვედი, უკვე იქ მომიწინა წასვლა, იქ ჯობდა ჩემთვის, მაგრამ თუ ცყვე ვიყავი და ჩემში გამოსასყიდს მოითხოვდნენ, მაინც აქეთ მომიწევდა გამომგზავრება, აი, ეგეთი „პრიკუპი“ იყო.

მოკლედ, ვწევარ და უკანასკნელ თავგადასავალს ვიხსენებ..

იმ რაიკომის თუ რალაც ჯანდაბის კიბეებზე ოცამდე კაცი იდგა, თავიანთ სუნიან ქურქებში გამობვეულები უყურებდნენ ჩვენს პროცესიას. ალბათ, უკვე გადაცემული ჰქონდათ ამბავი და გველოდებოდნენ.

ორი საფეხურით წინ, ყველაზე დაბლა, მარტოდმარტო, განცალკევებით და მედიდურად ის ბებერი გაჭიმულიყო, პოლკოვნიკი ნურიევი, ყელი მოჰერის შარფით ჰქონდა შეხვეული და თავი რალაცნაირად, გვერდულად ეჭირა.

არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, როგორ უნდა დაეღაპარაკებოდი.

სამანდარა მანქანიდან გადავიდა, კარს ჩამოყრდნო და რალაც დაიბლაღლა თუ დაიჭრიალა. სლაეიკას გადაუხედე.

— რას იზამ, სლაეიკ?

არც შემოუხედია, ისე ჩაილაპარაკა:

— რამეს ვიზამ. სამხედრო ნაწილამდე მივალწევ, ჩვენ ყველა გვერიდება.

— მე ამათ ვეცევი, რომ მეხმარებოდი, — გასალები გამოვაძრე, ავტომატი ავილე და გადავედი.

მთელი ბატალიონი მომაცილებდა, რაღა მე და რაღა ჭოჰარ ლუდაევი.

— საღამ, გრუზინ, — ხელი გამომინოდა პოლკოვნიკმა. აშკარად კისერი ჰქონდა გამეშებული.

ჩამოვართვი, ვერ ვიტან, როცა ვილაც გაიქაჩება, ამას ხელს არ ჩამოვართმევ და რამეო.

— ნუ? — მკითხა მედიდურად.

— ნიჩივო, — გაუცინე მე კარგი კომპანიონივით. გახარებულივით ვიყავი, ატაცებული, რა. ვერც დაღლილობას ვგრძნობდი, ვერაფერი.

— ქაქ თამ?

ფათას ჭამენ-მეთქი.

ისეთი ხარხარი აცედა, შენი მონონებული.

მხარბეც კი მიტყაპუნეს ხელები.

— ფაიდიომ ვდომ, ათმეთიმ და? — ხელკავი გამიყარა იმ ჩათლახმა.

— არა, მეჩქარება, — როგორღაც ძალდაუტანებლად გამოვიდა ყველაფერი.

— ჩემი ძმაკაცი საღაა.

გაეცინა.

აქაა, საღ იქნებაო.

— ილი სფით, ილი ქურით, ილი რუგაეცა.

სივარეტი ამოვილე და მოვუკიდე.

— ეს მანქანა, ეს ავტომატი, ეს თქვენი ხალხი — თქვენ, — ვუთხარი სწრაფად, — მე — ჩემი მანქანა, ბენზინი, გასალები, ფული და გოგლიკო.

ჩაფიქრდა.

რალას ფიქრობდა, ვერ გავიგე. მერე გვერდით გამიყვანა და თითქოს შეწუხებულმა მითხრა:

— დენეგ ნეთ დარაგოი, რეზიათამ ფადელილ. თოქო თრი თისჩი უ მინია...

ისე დიდად არ შეწუხებულვარ. აჩიკო ყიფიანის დედაც, თუ ოცი ათასს ვეღარ ჩავეუტანდი! მაგრამ მაინც ხომ უნდა გამეხურებინა. სწორედ ამ დროს რალაც ჩოჩქოლი ატყდა და მივიხედე.

— მე ვიყო გარეთ, გიუშ! — გავიგონე ნაცნობი ხმა.

გოგლიკო კიბის თავში იდგა, გაბურძენილი, გამხდარი და ყბამოღრეცილი. მისმა გამოჩენამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

— გაინიეთ, თქვენი დედაც... — ქართულად იგინებოდა. — რა გაცინებთ, თქვე ნაბიჭვრებო!

... და პირდაპირ კიბის თავიდან გადმოხტა. ამ მოხორხოცე თათრებს დაასკდა ზედ და ერთი ზედახორა გაიმართა. მე არ მახსოვს, რა ვქენი.

რომ გადავეხვიეთ ერთმანეთს, ის მახსოვს.

განგრეულ კაიფში იყო. ჯერ არ გათენებულიყო და უკვე განგრეულ კაიფში იყო.

— ნავედეთ, გოგლიკ, ნავედით, — გამზადებული ვიყავი სატირლად.

— სად იყავი, შეჩემა?

— რავი, გოგლიკ...

— გამოვქლიაუდი, სიმონ, ამათი დედა... — მერე უცებ ჩაფიქრდა და შემომხედა: — მივდივართ?

— ჰო.

— ყოველდღე ვაქოქინებდი მანქანას ამ ნაბობრებს, ეს ჩათლახი, — ნურიევისკენ გაიხედა — დაუა...

— ჩატექი, ჩატექი.

ჩამსხვრეული მინიდან ხელი შეყვავი და კარი გავალე.

— ვეუბნებოდი, ფულის ჩამოსაგანად გაიქცა-მეთქი, სწორი ვუთხარი?

— ჰო.

— იცი, როგორ უსწორდებოდათ?

— ჰო.

— სად წახვედი, გიუშ?

ძლივს ჩავსვი მანქანაში.

თათრები უკვე ბენზინს ასხამდნენ.

ორი ბალონიც ჩადგეს უკან. სალოლ ამათ!

— აჩიკოს და დაუშას ფული, გიუშ? — კარგ დროს არ გაახსენდა?

— ფადაჟდი მინია, — მითხრა უცებ პოლკოვნიკმა და კიბეს აუყვავ.

მანქანასთან ვიდექი, უკვე ახალ სიგარეტს ვწვოდი.

გოგლიკო თვალებშილულული ეგდო სავარძელზე.

ფიზულის ვეძებდი თვალებით. ვერ ვიპოვე.

კიბებზე ნურიევი გამოჩნდა. უკან ორი ოფიცერი მოჰყვებოდა. ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა.

მომიახლოვდა და შარტი შეისწორა კისერზე.

— თი მუჟიქ. მუჟიქოვ მი ცენიმ. ფროსთო, თვაის დენეგ უჟე ნეთ... ვაზმი სვოი ავთომათ, ი ვაზმი ეთო. თებია ნიქთო ნი ასთანოვით, — და ქაღალდები გამომიწოდა.

არც დამიხედა, ისე დავეკეცე და ჩავიდე ჯიბეში.

მადლობთ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ავტომატის წაღებისა შემეშინდა, ისედაც მიმეწინა ჩემი პაგარა შაშხანა, რომელიც „ვილისიდან“ გადმოვიტანე.

ზუსტად ასე ვუთხარი.

— მი სფრიაჩემ, — მითხრა საქმიანად და თავის არწივებს რაღაც ანიშნა.

მანქანას უკანა სავარძელი მოხსნეს და სადღაც ღრმად, ბორბალთან შეტენეს ავტომატიც და შაშხანაც.

— ნუ... — მეცა და გადამეხვია ეს აქოთებული პოლკოვნიკი, — მუჟიკ...

„მუჟიკ“ არა, ფლავი. მე თვითონ არ ვიცი, ვინცა ვარ? არაფერი შემიძლია, არაფერი ვიცი, ერთი გამოქლიავებული... გასაღები ამოიღო და მოძცა.

გოგლივს უკვე ეძინა. ფიცარია, რა. ნერვები და ეგეთი რამეები არ აწუხებს. ჩაგუქი და დაგუქი. უცებ ამ თათრებს ერთი პატარა, ქურქში გამოხვეული ავტომატიანი ჯარისკაცი გამოეყო და მანქანასთან მოვიდა.

— ეთა თვაემუ დრუგუ, — მითხრა და რაღაც შემოაგდო. მუჭისხელა შეკვრა იყო. არც გამიხსნია. გასაღები იყო, რითაც გაეფსოთ.

გაზი მივეცი და დავატრიალე.

— ნი ასთანოვიათ!.. — მომწვდა პოლკოვნიკის ხმა. უკანასკნელი ვინც დავინახე, ჩვენი დემოკრატი აურნალისტი იყო. ჩემს გამოტაცებულ ვილისთან იდგა და გვიყურებდა.

უკვე თენდებოდა.

არც ვიცი, რა ძალით მოვდიოდი.

წითელ ხიდს აქეთ ჰაერი უფრო სუფთაა, მაგრამ არეულობა მეტია. წითელ ხიდს აქეთ ავტომატი სხვანაირად უჭირავთ. უკვე საღამოა და ქართლის სოფლებზე მოვდივართ. კარგი გამოძინებული ვარ, მაგრამ აწინილი, დაშლილი, გამოშტერებული.

გვერდით გოგლივო მიზის, მწვანე, აწანგინი, დაუღლეელი და მოუსვენარი. „მხედრიონის“ მედალიონს ათამაშებს ხელში და წითელ ხიდთან, მილიციელისთვის გამორთმეულ სიგარეტს ეწევა.

— მეტეი, მოცყდა, სიმონ, მარა სად მოცყდა... მერე მეტეი, აქეთ გამოუბერა, მაყუთისთვის და რამე... საღოლ, სიმონ.

ჩვენი „ძეგიატა“ ტრასის მშენებაა, დახვრეტილი, ტალახიანი, ვანვები და ვანვები. გზადგმა „ბეგეერები“ და „რაფები“ დგას. ყველა გვაჩერებს. გასაკვირიცაა, რომ არ გავაჩეროს, ისე გამოვიყურებით.

გოგლიკო გადადის.

მედალიონს ათამაშებს თითებში და მედიდურად კითხულობს:

— რა არის, ძმაო?

რადაცას პასუხობენ და „ჩვენი ძმა“ კმაყოფილი იცინის.

— „საქართველოს მხედრიონი“, ძმაო.

— სეკას ვეთამაშებოდი პლანზე, კაიფობ? მაგრად გავწენე...

— შენ რა უნდა მიგეცა?

— რა უნდა მიმეცა, მაგათი ქლიავი მამის...

— ხომ დაგიპადაგრევეს ბოლოს?

— ვალი ჰქონდა, ნასრედინა-ჩათლახს.

— ხომ გაგისტუმრა, რა გინდა?

— ქაჯები არიან, რა, ისე მაგრად კაიფობენ... სომხები არ კაიფობენ?

— რა ვიცი.

— პლანი არ მოგანევენეს?

— არა, არაყს მასმეფდნენ.

— სალოლ, სიმონ.

ასე მოვდივართ, ვანვები და ვანვები.

— დაუშა დაიცენგრება...

— ავტომატს მიუტან.

— რატომ მიუგან, გაყვიდი და ოც ათასს მიუგან.

თავში ქვა იხალეთ.

თბილისს რომ მოვადგები ხოლმე, სულ დამუხრუჭება მინდა. ახლაც ვერ გავიგე, რატუკას ტყვეობა ჯობდა, თუ აქ გდება, თენგიზა მიქატაძის ტერიტორიაზე მოღვანეობა. ვერ გავიგე, ვერ გავიგე, ვერ გავიგე.

ორთაჭალაში უკვე დამენყო.

გოგლიკოს აღარ ვუსმენდი, სულ ვაგინებდი, გულში.

რუსთაველზე რომ ამოფუხვიე და გავიარე იმ ნაომარ ადგილებს შორის, კინალამ საჭე გამექცა, ისე მომინდა, აქაურობას მოვშორებოდი. ვიფიქრე, წყნეთში ავალ და იქ ვიქნები-მეთქი, მაგრამ ახლოა, რა. ძალიან ახლო. რა — წყნეთი და რაღა — კავსადის ქუჩა. სადმე შორს, სადმე ისეთ ადგილას, რომ... რა ვიცი, სად წავიდე, როგორ მოვუტყდე აქაურობას.

ყველაფერი ხელახლა დატრიალდა. დაკარგული იანა, არეული ცხოვრება, არაფერი, არაფერი, ყველგან არეული. სახლში ახვალ, იქ გახვალ, აქ გამოხვალ, ბირჟაზე ჩაიკუბები და ასე იქნები ჩაკუბული მთელი ცხოვრება.

გოგლიკო „მწვანე ველთან“ ჩამოვაგდე, პარკამდე ვიარე და მერე ფალიაშვილით წამოვედი. მანქანა ებოში შევიყვანე და გადმოვედი.

თავი მტკიოდა და გული მერეოდა.

ფანჯრებს ავხედე და სადარბაზოში შევედი.

ერთხანს კიბეზე ვიჯექი. იმ კიბეზე, სადაც იანა დამხვდა მაშინ, შობას.

მერე ავდექი და კარი გავაღე.

შუქი აღარ ამინთია.

კურტვა მივაგდე, სავარძელში ჩავეშვი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე.

მერე დავრეკე.

სად დავრეკავდი, ვინ მყავს პატრონი.

ნანამ აიღო.

— გიუშვი, მოიცა... გია, — რაღაცნაირი ხმა ჰქონდა, ცუდი.

თუმცა არც შევწუხებულვარ, არც არათფერი. უკვე ისე ვიყავი, რა. ძველებურად.

— ჩამოვედი, — ვთქვი მე და გადაფურთხება მომინდა, როგორც წიგნებშია, ისე. თითქოს ყელში გამეჩხირა რაღაც.

— გია, სად იყავი, გია, დავიხოცეთ, გია, თენგიზი გაგიჟდა, სულ ვერცმტვრენებით გეძებდათ!.. იმ შენს ძმაკაცს პატრონი არ ჰყავს?

— არა. მამაჩემი სადაა, ისევ პიკეტზე?

— გია, მოსკოვში რეკავდა ბოლოს, ოთხი დღეა, გეძებთ, გია, არ დამჭდარა...

ოჰ, არ დამჭდარა.

— გამოდი აქ, გია.

— არა.

— სად იყავი, გიუშვი?

— ყარაბაღში.

— სად?

— ყარაბაღში ვი...

დავედი. ასე ვიცი ხოლმე, ვითომ გაითიშა და რამე. წაბ!

ისევ სავარძელში ჩაფხავადი.

მერე მოვიდა დიადი თენგიზ მიქაგაძე, გაშავებული, თავისი თოვლისფერი, მათეობური ვარცხნილობით. გავაღე თუ არა, იმნუთას დამარცხა თვალის ქვეშ, ქალაქურად. ლამის დაემსხვრა ის გიშრის ბეჭედი.

მერე შეხედა ქურთუკს, ჩემს სომხურ ფორმას და მაგიდაზე ჩამოჯდა.

— რომ გეკითხა, არ ვგაიფობო, — თქვა ბოლოს.

— არ ვკაიფობ.

— აბა, იმ ნაბიჭურის შოფერი ხარ? ჩაგიტვით ძმობაში...

მერე წამოდგა და გაიზმორასავით.

— მანქანას რა უქენი, ვინ გესროლათ ამდენი?

არ მიპასუხია. წავიდეს ერთი...

— სად იყავით?

— ერევანში წავედით.

— ღაგეძინათ ერევანში, გაგელვითა ყარაბაღში... ბიჭო, შე ნაბიჭვარო, მე რას მატყუებ, წაღი, შენს ძმაკაცებს მოატყუე. სად იყავი? ფული არ წაგიღია, იმას რა ფული ექნებოდა?

ისევ არ ამომიღია ხმა.

— მთელი კვირა... გასაღები მომეცი.

ამოვიღე და მაგიდაზე დაუგდე.

მერე იატაკზე დაფექი და გვერდზე გავიხედე.

წარმოვიდგინე, როგორ შევიდოდა გოგლიკო სახლში, როგორ შეაგდებდა ავტომატს კარადის თავზე და როგორ შეთქვლევდა ბებიამისის აშიშხინებულ ერბოკვერცხს. მერე იბანავებდა, დაეგდებოდა და იძინებდა მეორე დილაამდე.

შემშურდა.

— ივლი გოგია მენავთესავით.

არც მიპასუხია. ისევ არათფერი მითქვამს.

— ვინ გესროლათ?

ისევ გვერდით ვიყურებოდი, არ მინდოდა, არათფერი არ მინდოდა.

ისევ ჩამოჯდა მაგიდაზე.

— ჩადი, ნანამ რალაცეები გამომატანა, ჭამე. — და მანქანის გასაღები გადმომივლო. ჩასაცემელია თუ რალაცეები, ნანამ გიყიდა, დაბადების დღე გქონდა...

ოჰო, დაბადების დღე მქონდა. აღარც მახსოვდა. დაბადების დღე.

შარშან ჩემს დაბადების დღეზე...

მაინც მაგარი ვარ.

— ვერ შევჭამ. გული მერევა, ცხრა დღეა, კუჭში არ გავსულვარ, თირკმელი მტკივა, ფეხები დასიებული მაქვს, ენა — კბილებში მოყოლილი...

ერთხანს ისევ მიყურა, გეგონებოდა, მთელი წელი არ გაინძრევალ.

უცებ ნამოდგა.

— შედი, იბანავე, — მითხრა და გასაღები აიღო, — მე ამოვიტან.

აბაზანაში შევედი და შხაპს შევუდექი.

ძალიან, ძალიან ცუდად გავხდი. არაფერი არ მტკიოდა თითქოს, მაგრამ რალაცის ამოვლეჯა მინდოდა, რალაც ნანილის, მეგონა, მოვიშორებ ამ რალაცას და დავენყნარდები-მეთქი. თვალეხსაც ვეღარ ვახელდი. ვიდექი ასე უაზროდ. მერე ძლივს გადმოვობლდი. სიბნელე იყო, მამაჩემი არ ჩანდა, არ იყო აქ. შუქი არც ამინთია, პირდაპირ დავეგდე ლოგინზე და რალაცეებში გავფხვიე. მერე გავიგე, როგორ გაიღო სადარბაზოს კარი. თვალგახელილი ვინექი და კედელზე რალაც ფიგურებს ვხედავდი. ჩრდილების თუ რალაც სისულელეების თამაში იყო და რამე.

მიფხვდი, ნანა იყო, რალაც მინდოდა, დამეძახა, მაგრამ ვერ დავუძახე, ხმა ვერ ამოვიღე და სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა ვინმესთან ლაპარაკი. შუქი აინთო. ნანა შემოვიდა. არ გავნძრეულვარ, არც მინდოდა ვინმეს ნახვა.

ნანა ჩამეხუტა, მაგრამ არც მიკოცნია, როგორღაც, ამ ჩემი სველი პირსახოცივით ვიყავი, გადამიკიდა ხელზე და მორჩა.

მერე რალაცეების გამოკითხვა დამიწყო, არაფერი მახსოვს, თუმცა ვუსმენდი და ყველაფერი. არც ერთხელ არ მიპასუხია, საერთოდ არ ამომიღია ხმა.

თენგიზაც მოვიდა. ისხდნენ ერთად ჩემი ლოგინის თავთან და მიყურებდნენ. მე ისევ კედელს ვუყურებდი. არ მახსოვს, მეძინა თუ არა. რომ გათენდა, მახსოვს. ნანა ისევ იქ იჯდა, თენგიზი სადღაც გამქრალიყო. ტელეფონი რეკავდა მალიძალ. მკითხულობდნენ, რა.

ლანგარზე შემოდგმული ფინჯანი და საუბრე რომ დავინახე, გული ამერია. როგორღაც გვერდით გადავგორდი და ნანამ თეთრეული გამოცვალა. ყველაფერი მესმოდა და ყველაფერი მშვენიერად მახსოვს. როგორ შემოლაგდნენ ბიჭები სველი შუბებით და დანითლებული ცხვირებით. როგორ იქსინებოდა გოგლიკო და როგორ დასცქეროდა ჯათარა ხალიჩას.

ეგ იყო, არ ვლაპარაკობდი. ვერ ვლაპარაკობდი და ვერც ახლა ვლაპარაკობ. რაიმეს წარმოთქმა კი არ მიჭირს, თავისუფლად შემძლია, ენა გადმოვავლო, მაგრამ, როგორღაც, შიგნიდან მექაჩება რაღაც, ალბათ ის, რომ არ ვიცი, რა ვთქვა, არაფერი მაქვს სათქმელი, მორჩა და გათავდა.

რა უნდა ვუპასუხო.

— რა მოგივიდა?

იგივე.

— გიუშვი, თქვი რამე.

ამას ყველაფერს ნანა მეუბნება. თორემ ის დგას კარებში და მიყურებს, მიყურებს და მიყურებს. მერე გავა და გაიხურავს იმ დეგენერატულ კარს. განცდებშია, რა.

იმ დღეს, დილით, კონსილიუმი დამიგრიალეს. ო-ჰო-ჰო-ჰო, რა მორეკა პროფესურა? მეგრელაძე, ამბოკაძე, მუხამაზია, დანიელაშვილი, წითლანაძე, ქავთარაძე. მაგრიალეს აქეთ-იქეთ ქალის ფეხსაცმელებივით და ილაპარაკეს არეულობაზე, ჩემზე, ჩვენზე, თაობებზე, ეგნატე ფიფიაზე და რა ვიცი, უამრავ რამეზე.

ეს ქავთარაძე ბოლოს მოვიდა და დიდი თილოსოფია შეიყვანა. თურმე უკვე იცოდნენ ყველაფერი. გოგლიკო ხომ მოყვებოდა და უკვე წარმოდგენილი მაქვს, დუდა რა სითათით ააჭრიდა თენგიზასთან, და რამე.

მოკლედ, ამ ქავთარაძემ, დეპრესიას და რამეები, ბავშვს იმდენი რამე გადაუტანია, გასაკვირი არააო, ჩამონწერა წამლების სია და ყავაც დალია ზედ ჩემს ცხვირწინ. იქ რომ ვიყავი, ნეტავ ისე ვიყო ახლაც, ადამიანურად. დიდად არ განმიცდია ეგ ყველაფერი. მაგრამ

რომ ჩამოვედი, თითქოს მაგარი ნაცემი ვიყავი, კუთხეში ვეგდე და წამოდგომის თავი არ მქონდა.

— ეხლა ეგაა ცოტა კაპრიზების ავანცოფობა არისა და გამოვა. სტრესების ავანცოფობა არის, ნებივრობა უნდა მაგას და მთელი კურსი, — აი, ასე დაარიგა ნანა, მერე ბენვისსარჩულიანი ცყავის ქუდი დაიხურა, ღიპი მოიქექა და დამემშვიდობა:

— შემდეგში რომ მოვალ, ლექსები უნდა მითხრა.

მერე თენგიზას ძმაკაცები მოვიდნენ, კონვერტებით გამომიტენეს ბალიში. მე თვალდახუჭული ვინეცი, ვითომ მეძინა, არ მინდოდა მაგათი სიტუაციის დანახვა.

მეხუთე დღეა, ასე ვარ.

არ ვლაპარაკობ, ვერ ვჭამ, კედელს ვერ ვაშორებ თვალს.

ნანა რალაც თაფებს მაგნის ძალით. დღეში ორჯერ ექთანს მოდის, სულ დამილილავა ყველაფერი. არც ვიცი როგორია, მოხუცი, ახალგაზრდა, ლამაზი თუ რამე. არ მაინტერესებს, რა. არაფერი არ მაინტერესებს.

დილაობით, რომ მეღვიძება და თვალს ვახელ, ვხედავ, კარებში თეთრლაბადიანი მაღალი კაცი დვას, შავგვრემანი, მოვლილი სახით. ცალი იდაყვით კარს მიყრდნობია და მიყურებს. თვალს როგორც კი გავახელ, მიგრიადდება და გადის. მეც ვწყნარდები, თითქოს რალაცას გაეგლოს, ისე.

იქეთ ნანა მიდი-მოდის.

ბიჭებიც მოყვრებიან ხოლმე, ერთხანს ჩემთან სხედან, მერე გადიან, ლაქლაქებენ ან კარგს თამაშობენ. მთელი მორიგეობა აქვთ გამართული.

გოგლიკო ჩემს ცხვირწინ ჩაეგდება ხოლმე საეარძელში, მონგრეულ ყბას ისრესს და მიცინის. ჩემს მდგომარეობაში ყველაზე მეტად ეს მომწონს. მისი ჟანგიანი ეშვები, სქელ წარბებს ქვეშ მიმალული უდარდელი თვალები და ის უცნაური რალაც, რითაც ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ.

ყველაფერი მახსოვს, ყველაფერს ვიგონებ. ყარაბაღელ ლოთ მხატვარს, პოლკოვნიკის გაშეშებულ კისერს, ლამეს, როცა სომხების მანქანაში შევხტი და რა ვიცი, კიდევ რას. არაფერი არ ვიცი. არ ვიცი, როგორ ხდება ეს ყველაფერი, როგორ რიგდება ასეთი რამე, როგორ ვხვდებით და ვჭირდებით ერთმანეთს, ვინ აწყობს ამ უცნაურ შემთხვევებს და ვინ

დაგვეტყვიან, თავზე. არ ვიცი, რატომ მივლიან, რატომ მყავს ახალი მანქანა და რატომ ჰგავს ეს ყველაფერი „დინამოს“ სტადიონის საპირფარეშოს. რატომ არაა სიმშვიდე და ყველაფერი უკუღმა რატომ კეთდება.

ვწევარ და ვთვლი.

ახალი ფანგაბიები მაქვს.

ვითომ თენგიზა მიქაგაძე ვარ, ხოლო ჩემს ოთახში თვითონ თენგიზა წევს, არეული და გაჩუმებული. ქალაქის ქუჩებში დავდივარ, რაღაცას ვეძებ, ვათვალიერებ, მონყენილთვალეზიან, ფერმკრთალ გოგონებს ვაკვირდები, სამსახურში აღარ დავდივარ, ტელევიზორს აღარ ვუყურებ, არ ვქეიფობ და არც ნანას ვეჭატლანები. რაღაცას ვთიქრობ, ვყნოსავ, გიუმპის ძმაკაცებს ვეკითხები, ვწოვ, ვცდილობ, ჩუმაღ ვავაკეთო ყველაფერი. მერე მივდივარ. ქალაქის გარეუბანში, მაღალსართულიან, ბათქაშჩამოცლილ სახლთან ვაჩერებ მანქანას და ავდივარ. ზარს ვრეკავ. კარს გამხდარი, სუსტი, თმებჩამოშლილი გოგო მიღებს. მარცხენა ხელზე უამრავი უბრალო ბეჭედი უკეთია. წერილი წერვიული თითები აქვს და გაცრეცილი ჭინსი აცვია. არათერს ვეუბნები. ხელს ვკიდებ და მომყავს. მანქანაში ვსვამ და შლეგიანივით ვანვები ქალაქის ქუჩებში. ბარნოვის ქუჩით მოვდივარ, ქვემოთ ვემვები და დიდ, თალიან ეზოსთან ვაჩერებ. ის, თვალეზდახრილი და მოცახცახე, თვითონაც ხვდება, რა უნდა მოიმოქმედოს. კარს აღებს, გადადის და თალიან ეზოში შედის. მერე, თვალს რომ მიეფარება, ვიცი, კისრისტეხით აირბენს კიბეს და კართან შედგება. დარეკავს, მოკლე ზარზე კედელსმიშტერებული ქლიავი, გიუმპა მიქაგაძე ძველს, რაღაცას ძალიან ძველს და მტკივნეულს გაიხსენებს, ვიჟივით წამოვარდება და კარს გააღებს.

— იანა, — იცყვის ხმადაბლა, ხოლო გოგო თავს დახრის და თმები ჩამოემლება...

მე, თენგიზა მიქაგაძე, უამრავ შოკოლადს ვიყიდი ჭიხურში და სახლში რომ ავალ, ირაკლის მივყარი იმდენს, რომ გაბურძენილი თავის და თეთრი ხელეზის მეტი არათერი მოუჩანდეს...

ეგაა და ეგ.

როგორია, ა?

ამბობენ, რომ ავად ვარ, თავგადასავლებმა იმოქმედა. გაცრუნული ვწევარ და სახეში რეფლექტორის სიმხურვალე მცემს. უკვე ბნელდება და უცნაური ფიგურები იხატება კედელზე.

სარჩევი

წინასიტყვაობა	1
თავი პირველი	4
თავი მეორე	18
თავი მესამე	32
თავი მეოთხე	47
თავი მესამე	59
თავი მეექვსე	73
თავი მეშვიდე	89
თავი მერვე	103
თავი მეცხრე	118